

**შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენსიის იმპლემენტაციის
პრაქტიკა ევროკავშირის
ქვეყნებში**

EMC
2013

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



კვლევა მომზადდა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს (OSGF) შეხედულებებს.

კვლევის ხელმძღვანელი: ლინა ღვინიაიძე

მკვლევართა ჯგუფი:
თათული ჭუბაბრია
ნინო გურული
მარიამ უბერი
სარა დელისი

რედაქტორი: ზაალ ჩხეიძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: შანიძის ქუჩა #3, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 223 15 58

ელ.ფოსტა: humanrightsemc@gmail.com

www.emc.org.ge

Facebook: <https://www.facebook.com/RIGHTSEMC>

1. შესავალი	8
2. UNCRPD-ის შესახებ	10
2.1. რატიფიკაცია	11
2.2. პოლიტიკა/ინსტიტუციური რეფორმები	12
2.3. საკანონმდებლო ჩარჩო/ძირითადი პრინციპები	12
2.4. მისაწვდომობა	13
2.5. განათლება	14
2.6. დასაქმება	14
2.7. დამოუკიდებელი ცხოვრება	15
2.8. ცნობიერების ამაღლება	15
2.9. სტატისტიკა	16
2.10. საერთაშორისო მხარდაჭერა	16
3. UNCRPD-ის რატიფიკაცია	17
3.1. რატიფიცირებამდელი პროცესები	18
4. პოლიტიკის შემუშავება/ინსტიტუციური რეფორმები	20
4.1. ზედედი	20
4.1.1. პოლიტიკის შემუშავება	20
4.1.2. ინსტიტუციური ჩარჩო	21
4.2. დანია	23
4.2.1. პოლიტიკის შემუშავება	23
4.2.2. ინსტიტუციური რეფორმები	23
4.3. ესპანეთი	24
4.3.1. პოლიტიკის შემუშავება	24
4.3.2. ინსტიტუციური რეფორმები	25
4.4. ავსტრია	27
4.4.1. პოლიტიკის შემუშავება	27

4.4.2. ინსტიტუციური რეფორმები	28
4.5. უნგრეთი	29
4.5.1. პოლიტიკის შემუშავება.....	29
4.5.2. ინსტიტუციური რეფორმები	30
4.6. გერმანია	32
4.6.1. პოლიტიკის შემუშავება.....	32
4.6.2. ინსტიტუციური რეფორმები	33
4.7. ბელგია.....	35
4.7.1. პოლიტიკის შემუშავება.....	35
4.7.2. ინსტიტუციური რეფორმები	35
5. ცვლილებები კანონმდებლობაში/ცნებების განსაზღვრა.....	37
5.1. შვედეთი.....	37
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცნება.....	37
დისკრიმინაციისგან დაცვა	37
გონივრული მისადაგება	39
უნივერსალური დიზაინი	39
ჟესტების ენა	40
5.2. დანია	40
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	40
თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლება.....	40
5.3. ესპანეთი.....	41
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცნება.....	41
დისკრიმინაციისგან დაცვა	41
თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლება.....	42
5.4. ავსტრია	43
დისკრიმინაციისგან დაცვა	43
ჟესტების ენა	45
თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლება.....	45
5.5. უნგრეთი	47
<i>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.....</i>	<i>47</i>
დისკრიმინაციისგან დაცვა	48
გონივრული მისადაგება	49
უნივერსალური დიზაინი	49
ჟესტური ენა	50

5.6. გერმანია	51
დისკრიმინაციისაგან დაცვა	51
თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლება.....	51
ჟესტების ენა	52
5.7. ბელგია	52
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცნება.....	52
დისკრიმინაციისაგან დაცვა	53
თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლება.....	54
ჟესტების ენა	54
6. მისაწვდომობა	55
6.1. შვედეთი	55
6.2. დანია	57
6.3. ესპანეთი	58
6.4. ავსტრია	59
6.5. უნგრეთი	62
6.6. გერმანია	64
6.7. ბელგია	65
7. განათლება	68
7.1. შვედეთი	68
7.1.1. სასკოლო განათლება.....	68
7.1.2. უმაღლესი განათლება	70
7.2. დანია	70
7.2.1. სასკოლო განათლება.....	70
7.2.2. უმაღლესი განათლება	71
7.3. ესპანეთი	72
7.3.1. სასკოლო განათლება.....	72
7.3.2. პროფესიული გადამზადება	73
7.3.3. უმაღლესი განათლება	74
7.4. ავსტრია	74
7.4.1. სასკოლო განათლება.....	74

7.4.2. უწყვეტი განათლება.....	77
7.5. უნგრეთი	77
7.5.1. სასკოლო განათლება.....	77
7.5.2. საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.....	78
7.6. გერმანია	78
7.6.1. სასკოლო განათლება.....	78
7.6.2. უმაღლესი განათლება	79
7.7. ბელგია.....	79
7.7.1. სასკოლო განათლება.....	79
7.7.2. უმაღლესი განათლება	80
8. დამოუკიდებელი ცხოვრება.....	81
8.1. შვედეთი.....	81
8.1.1. საცხოვრებლის და სოციალური დაცვის ადეკვატური სტანდარტი.....	81
8.1.2. აბილიტაცია და რეაბილიტაცია.....	82
8.2. დანია	83
8.2.1. მონეტარული ბენეფიტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.....	83
8.2.2. დეინსტიტუციონალიზაცია	84
8.3. ესპანეთი.....	85
8.3.1. ადეკვატური საცხოვრებელი სტანდარტი და სოციალური დაცვა	85
8.3.2. აბილიტაცია და რეაბილიტაცია	85
8.3.3. პერსონალური მობილობა.....	86
8.4. ავსტრია	86
8.4.1. სოციალური მხარდაჭერა/საპენსიო შემოსავალი	86
8.4.2. დეინსტიტუციონალიზაცია	87
8.4.3. რეაბილიტაცია	88
8.5. უნგრეთი	89
8.5.1. პერსონალური მობილობა.....	89
8.5.2. პერსონალური მხარდაჭერის სქემები.....	89
8.5.3. დეინსტიტუციონალიზაცია	90
8.5.4. ჯანდაცვის სისტემა	90
8.6. გერმანია	92
8.6.1. პირადი მოვლის მისაწვდომობა.....	92
8.6.2. დეინსტიტუციონალიზაცია	92
8.6.3. სოციალური დაცვა	93

8.7. ბელგია.....	94
8.7.1. საცხოვრებლის ადექვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა	94
8.7.2. დამოუკიდებლად ცხოვრება და ჩართულობა საზოგადოებაში.....	95
8.7.3. სახლის და ოჯახის პატივისცემა.....	96
8.7.4. პერსონალური მობილობა.....	96
8.7.5. ჯანდაცვის სისტემა	97
9. შრომა/დასაქმება.....	98
9.1. შვედეთი.....	98
9.1.1. მუშაობა და დასაქმება.....	98
9.2. დანია	100
9.2.1. დასაქმებასთან დაკავშირებული მომსახურება.....	100
9.2.2. სამუშაო ადგილის მისაწვდომობა	100
9.2.3. ფინანსური მხარდაჭერა	100
9.3. ესპანეთი.....	101
9.3.1. დასაქმება და მუშაობა.....	101
9.3.2. სამუშაო ადგილების მისაწვდომლობის უზრუნველყოფა	103
9.4. ავსტრია	103
9.5. უნგრეთი	105
9.6. გერმანია	106
9.6.1. საჯარო დასაქმებულთა სქემა.....	106
9.7. ბელგია.....	107
10. ცნობიერების ამაღლება.....	110
10. 1. შვედეთი	110
10.2. დანია	111
10.3. ესპანეთი.....	111
10.4. ავსტრია	112
მასწავლებლების გადამზადება	113
იურისტთა გადამზადება	113
ექიმთა გადამზადება.....	113
10.5. უნგრეთი	114

მასწავლებელთა გადამზადება.....	114
გადამზადება ექიმებისთვის	115
10.6. ბელგია.....	115

1. შესავალი

წინამდებარე კვლევა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პრაქტიკა ევროკავშირის ქვეყნებში“ მომზადდა პროექტის „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

კვლევა მიზნად ისახავს, გაანალიზოს ევროკავშირის ქვეყნების როგორც საუკეთესო გამოცდილება, ისე არსებული ხარვეზები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (შემდგომში: UNCRPD) იმპლემენტაციის თვალსაზრისით, რაც ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ საერთაშორისო დოკუმენტთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების გაძლიერებასა და გაღრმავებას საქართველოში რაც მის იმპლემენტაციას უნდა ისახავდეს მიზნად.

კვლევის ფარგლებში შეირჩა ევროკავშირის ის ქვეყნები, რომელთაც გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტში წარდგენილი აქვთ ანგარიში UNCRPD-ის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით და რომელთა მიმართაც კომიტეტს გამოქვეყნებული აქვს საკუთარი შეფასებები. ეს ქვეყნებია: ესპანეთი, უნგრეთი, ავსტრია, შვედეთი, დანია, ბელგია, გერმანია. ამ ჩამონათვალში არის ის ევროპული სახელმწიფოები, რომელთა სტანდარტები ჩვენთვის ერთგვარი ორიენტირი შეიძლება იყოს, ასევე მაგალითი საიმისოდ, თუ რამხელა შრომაა საჭირო არსებული მინიმალური სტანდარტებიდან საუკეთესო მდგომარეობამდე მისაღწევად.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მნიშვნელოვანი წყარო, მათ შორის, ექსპერტული შეფასებები, ქვეყნების ადგილობრივი საკანონმდებლო აქტები, ქვეყნების მიერ კომიტეტში წარდგენილი ანგარიშები, ამავე ქვეყანაზე მომზადებული ალტერნატიული (ჩრდილოვანი) ანგარიშები და თავად კომიტეტის შეფასებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კვლევა აანალიზებს ევროკავშირის ქვეყნების მიერ UNCRPD-ის იმპლემენტაციის მიზნით შიდასახელმწიფოებრივი სტანდარტების შექმნის პროცესს, მათ შორის, პოლიტიკის შემუშავებას, კანონმდებლობის ცვლილებებს, სამოქმედო გეგმებზე მუშაობას, პარადიგმის ცვლილებისა და რეფორმის კონცეფციებს, საკითხებისა და სფეროების განსაზღვრას პრიორიტეტების მიხედვით, ცნობიერების ამაღლების მიზნით გატარებულ ღონისძიებებს და სხვა.

ამასთან, კვლევა სწავლობს იმ ინსტიტუციურ რეფორმებს, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებმა გაატარეს UNCRPD-ის იმპლემენტაციის, ქვეყნის შიდა ინსტიტუციური

მოდელისა და შიდა სამართლებრივი ჩარჩოს კონვენციის პრინციპებთან ჰარმონიზაციის მიზნით. კვლევაში ასევე გაანალიზებულია სახელმწიფოს პოლიტიკა სხვადასხვა სფეროში, მათ შორის: განათლების, დასაქმების, დამოუკიდებელი ცხოვრების, სოციალური მხარდაჭერისა და სხვა. კვლევის მიზანს არ წარმოადგენს შესწავლილი სახელმწიფოების პოლიტიკის დეტალური ანალიზი და მათ მიერ დანერგილი ყველა მექანიზმისა და პრაქტიკის სრულყოფილი შესწავლა. კვლევის მიზანია აჩვენოს აღნიშნული სახელმწიფოების პოლიტიკის პრიორიტეტული სფეროები და ის ძირითადი მეთოდები/მიდგომები, რომლებიც მათ დანერგეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს ელჩმა გაეროში 2009 წლის 10 ივლისს ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას. 2013 წლის 26 დეკემბერს კი საქართველოს პარლამენტმა კონვენციას რატიფიცირება გაუკეთა თანდართული დეკლარაციის გათვალისწინებით. აღნიშნული მოვლენა უმნიშვნელოვანესია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გზაზე და აუცილებელია იგი რეალურად იქცეს შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელების ათვისების წერტილად.

ვიმედოვნებთ, აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს UNCRPD-ის იმპლემენტაციის პროცესს და გარკვეულ როლს ითამაშებს ადამიანის უფლებების ხედვაზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში.

2. UNCRPD-ის შესახებ

UNCRPD გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2006 წლის 13 დეკემბერს მიიღო. იგი ხელმოსაწერად 2007 წლის 30 მარტს გაიხსნა, ხოლო ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს. დოკუმენტს 2013 წლის დეკემბრის მონაცემებით ჰყავს 158 ხელმომწერი და 140 მონაწილე სახელმწიფო. მისი შესრულების მონიტორინგს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი აწარმოებს.

2008 წლის 3 მაისს მიღებულ იქნა UNCRPD-ის დამატებითი ოქმი, რომელიც მის მხარეებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კომიტეტის უფლებამოსილებით, რაც გულისხმობს ინდივიდუალური საჩივრების მიღებასა და განხილვას. დამატებით ოქმს ჰყავს 92 ხელმომწერი და 79 მხარე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ UNCRPD არ არის ერთადერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს შეეხება. თუმცა, განსხვავებით ყველა სხვა დოკუმენტისგან, UNCRPD ფოკუსირდება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე, გვთავაზობს მათი დაცვის თანამედროვე, ჰოლისტიკურ მიდგომებს და აიძულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები იმ სტარდარტებისა და მექანიზმების გამოყენებით, რომელიც თანხმდება ამ მიდგომებს და უზრუნველყოფს მათი უფლებების პრაქტიკულ/ეფექტურ რეალიზებას.

UNCRPD სრულიად ცვლის აქამდე არსებულ ხედვებსა და წარმოდგენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით და სამედიცინო მიდგომას სოციალურ-კულტურულ მიდგომით ანაცვლებს. აღქმისა და დამოკიდებულების ეს მოდელი შეზღუდულ შესაძლებლობას განიხილავს არა პიროვნების ნაკლად, არამედ საზოგადოების პრობლემად, მის უუნარობად, საკუთარ თავში მოიცივას და დაიტეოს ყველა, განურჩევლად მათი განსხვავებულობებისა.

UNCRPD-ის პირველი მუხლი განმარტავს, რომ დოკუმენტის მიზანია, „ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის ყველა უფლებითა და ყველა ფუნდამენტური თავისუფლებით სრულყოფილი და თანასწორი სარგებლობა და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემა.“

UNCRPD ემყარება შემდეგ მთავარ პრინციპებს: თანდაყოლილი ღირსების, ინდივიდუალური ავტონომიის, მათ შორის თავისუფალი არჩევანის და პიროვნების დამოუკიდებლობის პატივისცემა; დისკრიმინაციის აკრძალვა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და ქმედითი მონაწილეობა და ინტეგრაცია; განსხვავებულობის

პატივისცემა; თანაბარი შესაძლებლობები; მისაწვდომობა; ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა და პატივისცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განვითარების პროცესის/ამ ბავშვების უფლებისა, შეინარჩუნონ საკუთარი პიროვნება.

UNCRPD სახელმწიფოს ავალდებულებს, ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვა არა მხოლოდ საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვითა და გაძლიერებით, არამედ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებამემლახავი პრაქტიკების შეცვლით. UNCRPD სახელმწიფოს ვალდებულებად მიიჩნევს, ებრძოდოს სტერეოტიპებს, არსებულ სტიგმებს და საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენები ახალი მიდგომებით ჩაანაცვლოს.

2.1. რატიფიკაცია

(UNCRPD-ის 34-ე, 35-ე, 36-ე, 42-ე, 43-ე მუხლები და მისი დამატებითი ოქმი)

იმისათვის, რომ სახელმწიფო გახდეს UNCRPD-ის და მისი ფაკულტატური ოქმის მხარე, მან ხელი უნდა მოასწეროს დოკუმენტს და შემდგომ მოახდინოს მისი რატიფიკაცია შიდა ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, ხელმოწერა არ ხდის სახელმწიფოს ხელშეკრულებით დადგენილი გარანტიების შესრულების ადრესატად, არამედ ამ მოვლენას შიდა პროცედურების გავლით რატიფიკაციას უკავშირებს.

მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ თითოეული მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, გაეროს გენერალური მდივნის მეშვეობით კომიტეტს წარუდგინოს ამომწურავი ანგარიში UNCRPD-ით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად გადადგმული ღონისძიებებისა და ამ მიმართულებით არსებული წარმატებების შესახებ. მხარე სახელმწიფოები ამ ტიპის ანგარიშებს წარადგენენ სულ მცირე 4 წელიწადში ერთხელ და შემდგომ კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად. თითოეულ ანგარიშს კომიტეტი განიხილავს და მის რჩევებსა და რეკომენდაციებს უგზავნის წევრ სახელმწიფოს.

2.2. პოლიტიკა/ინსტიტუციური რეფორმები

(UNCRPD-ის მე-4 და 33-ე მუხლები)

UNCRPD-ის თანახმად, სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებები კონვენციით აღიარებული უფლებების განსახორციელებლად. მათ შორის, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს შეცვლილ იქნეს არა მხოლოდ საკანონმდებლო ნორმები, არამედ უფლებაშემლახავი ჩვეულებები და პრაქტიკა. ამასთან, UNCRPD განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას მისი პოლიტიკის ყველა მიმართულებასა და პროგრამაში გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხები.

UNCRPD ასევე ადგენს, რომ სახელმწიფოებმა, თავიანთი სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემების შესაბამისად, უნდა შეინარჩუნონ, გააძლიერონ, გამოყონ ან შექმნან ჩარჩო მექანიზმი, ერთი ან მეტი დამოუკიდებელი მექანიზმის ჩათვლით, UNCRPD-ის იმპლემენტაციის ხელშეწყობის, დაცვისა და მონიტორინგის მიზნით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის პროცესში სრულად მონაწილეობდნენ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათ მიერ შექმნილი ორგანიზაციები (შემდგომში: DPO). მთავრობამ უნდა შექმნას ან გამოყოს საკოორდინაციო მექანიზმი სხვადასხვა სექტორსა და დონეებზე საჭირო ქმედებების დასაჩქარებლად.

2.3. საკანონმდებლო ჩარჩო/ძირითადი პრინციპები

(UNCRPD-ის პრეამბულა, მე-2, მე-3, მე-5, მე-12 მუხლები)

UNCRPD თავად იძლევა ცალკეული ცნებების განმარტებას, რათა წევრმა სახელმწიფოებმა კონვენციაში არსებული პრინციპების თანახმად და მათ შესაბამისად განმარტონ იგივე ცნებები ეროვნულ დონეზე.

UNCRPD-ის მიხედვით:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს წარმოადგენენ ის პირები, რომელთაც გააჩნიათ ხანგრძლივი ეფექტის მქონე ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევები და ამან სხვადასხვა ბარიერთან ურთიერთქმედებისას შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ, სხვებთან თანასწორ პირობებში მიიღონ სრულფასოვანი და ეფექტური მონაწილეობა საზოგადოების ცხოვრებაში.

შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაცია ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან შეზღუდვას, რომელსაც გააჩნია მიზანი ან შეუძლია ზიანი მიაყენოს ან უგულვებელყოფს სხვებთან თანასწორ პირობებში უფლებებით სარგებლობა.

გონივრული მისადაგება გულისხმობს აუცილებელ და შესაფერის მოდიფიცირებას ან ცვლილებას, რომელიც არ აკისრებს არაპროპორციულ ან მიუღებელ ტვირთს, და როდესაც ეს საჭიროა ცალკეული შემთხვევებში, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვებთან თანასწორ პირობებში მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ან განახორციელონ ყველა უფლება;

უნივერსალური დიზაინი ნიშნავს პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების დიზაინს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა პირის მიერ მაქსიმალურად მისაწვდომ პირობებში, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის საჭიროების გარეშე. თუმცა, იგი არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში დამხმარე საშუალებების გამოყენებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფისათვის, როდესაც ეს საჭიროა.

თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლების მიხედვით კი წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სხვათა მსგავსად სარგებლობდნენ თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლებით ცხოვრების ყველა სფეროში.

2.4. მისაწვდომობა

(UNCRPD-ის მე-9, მე-13, 21-ე მუხლები)

კონვენციის თანახმად, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულყოფილი მონაწილეობისათვის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში. აღნიშნული ზომები მოიცავენ არსებული წინააღმდეგობებისა და ბარიერების გამოვლენა–აღმოფხვრას და შეეხებიან:

- შენობა-ნაგებობებს, გზებს, ტრანსპორტს, შიდა და გარე ობიექტებს, სკოლებს, საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებსა და სამუშაო ადგილებს;
- ინფორმაციას, კომუნიკაციასა და სხვა სამსახურებს, ელექტრონულ და სასწრაფო-საავარიო სამსახურებს;

2.5. განათლება

(UNCRPD-ის 24-ე, 26-ე მუხლი)

კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას განათლებაზე. ამ უფლების დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში რეალიზებისათვის მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობას, რაც ემსახურება:

- პიროვნების პოტენციალის სრულ გამოვლენას, ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის გაღვივებას, ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებებისა და ადამიანთა მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცებას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი პიროვნების, ნიჭისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უზრუნველყოფას თავისუფალ საზოგადოებაში ეფექტური ჩართვის შესაძლებლობით.

2.6. დასაქმება

(UNCRPD-ის 27-ე მუხლი)

კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები სხვებთან თანასწორობის საფუძველზე დაყრდნობით აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას შრომაზე. აღნიშნული გულისხმობს საკუთარი შრომით ცხოვრების უზრუნველყოფის შესაძლებლობას, და ეს მაშინ, როდესაც შრომითი ბაზარი და

სამუშაო გარემო არის ღია, ინკლუზიური და მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. მონაწილე სახელმწიფოები, შესაბამისი საფეხურების გავლით, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე, იცავენ და ხელს უწყობენ შრომის უფლების რეალიზებას.

2.7. დამოუკიდებელი ცხოვრება

(UNCRPD-ის მე-19, მე-20, 25-ე, 28-ე მუხლები)

კონვენციის თანახმად, წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის თანაბარ უფლებას სხვებთან თანასწორი არჩევანით იცხოვრონ საზოგადოებაში და იღებენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, რათა ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ამ უფლების სრულ რეალიზებასა და ამ ადამიანების სრულყოფილ ჩართვას ადგილობრივ საზოგადოებაში. ასევე იღებენ ეფექტურ ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური მოხილობისა და მაქსიმალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

2.8. ცნობიერების ამაღლება

(UNCRPD-ის მე-8 მუხლი)

კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, მიიღონ გადაუდებელი, ეფექტური და შესაბამისი ზომები, რათა:

- აამაღლონ საზოგადოების ცნობიერება, მათ შორის, ოჯახის დონეზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში; ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ღირსების პატივისცემას;

- ებრძოლონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, სქესსა და ასაკზე დაფუძნებულ სტერეოტიპებს, ცრურწმენებსა და ზიანის მომტან ჩვევებს;

- პოპულარიზაცია გაუწიონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოტენციალსა და წვლილს.

2.9. სტატისტიკა

(UNCRPD-ის 31-ე მუხლი)

მხარე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, შეაგროვონ შესაბამისი ინფორმაცია, სტატისტიკური და კვლევითი მონაცემების ჩათვლით, რათა შეძლონ შესაბამისი პოლიტიკის ფორმირება და დანერგვა. UNCRPD ასევე განმარტავს, რომ მონაცემების შეგროვების პროცესი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტებს;

2.10. საერთაშორისო მხარდაჭერა

(UNCRPD-ის 32-ე მუხლი)

კონვენციის თანახმად, ეროვნულ დონეზე განხორციელებულ ღონისძიებებთან ერთად მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ საერთაშორისო თანამშრომლობისა და მისი სტიმულირების მნიშვნელობას. აღნიშნულთან მიმართებაში იღებენ შესაბამის და ეფექტურ ზომებს ქვეყნებთან, საჭიროების შემთხვევაში კი საერთაშორისო და რეგიონალური სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან, კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან პარტნიორობით.

3. UNCRPD-ის რატიფიკაცია

შვედეთმა აღნიშნულ საერთაშორისო ხელშეკრულებას 2007 წლის 30 მარტს მოაწერა ხელი, UNCRPD-სა და მისი დამატებითი ოქმის რატიფიცირება კი 2008 წლის 15 დეკემბერს მოხდა. შვედეთს არ გაუკეთებია დათქმა დოკუმენტის არცერთ დებულებასთან დაკავშირებით.

დანია UNCRPD-ის რატიფიცირება 2009 წლის 7 ივლისს მოახდინა, თუმცა, დამატებითი ოქმის ხელმოწერა არ გაუკეთებია. დანიას არც ერთ მუხლზე დათქმა არ აქვს გაკეთებული.

ესპანეთმა UNCRPD-სა და მის დამატებით ოქმს ხელი 2007 წლის 30 მარტს მოაწერა. პარლამენტმა რატიფიკაცია 2007 წლის 3 დეკემბერს გააკეთა. დოკუმენტი კი ესპანეთის ოფიციალურ გაზეთში (BOE) 2008 წლის 21 აპრილს გამოაქვეყნდა. UNCRPD და მისი დამატებითი ოქმი ესპანეთში ძალაში 2008 წლის 3 მაისს შევიდა.¹

ავსტრიამ UNCRPD-ას და მის დამატებით ოქმს ხელი 2007 წლის მარტში მოაწერა. პარლამენტმა მათი რატიფიცირება 2008 წლის ივლისს მოახდინა. ორივე დოკუმენტი ძალაში 2008 წლის ოქტომბერს შევიდა. ავსტრიას დათქმები არ გაუკეთებია.

უნგრეთი UNCRPD-ას 2007 წლის 30 მარტს მოაწერა ხელი. იგი რატიფიკაციის შედეგად ძალაში 2008 წლის 3 მაისს შევიდა. უნგრეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანებიდან პირველი იყო, რომელმაც UNCRPD-ისა და დამატებითი ოქმს თანადროულად მოაწერა ხელი და მისი რატიფიცირებაც მოახდინა. უნგრეთს დათქმა არ გაუკეთებია.

გერმანიამ UNCRPD-ისა და დამატებითი ოქმის რატიფიცირება 2009 წლის 1 იანვარს მოახდინა. გერმანიას არ გაუკეთებია დათქმა კონვენციის არცერთ მუხლზე.

ბელგიამ UNCRPD-ის და მის დამატებით ოქმს ხელი 2007 წლის 30 მარტს მოაწერა, ხოლო რატიფიცირება 2009 წლის 2 ივლისს გაუკეთა. 2009 წლის 1 აგვისტოდან კი ორივე დოკუმენტი ძალაში შევიდა.²

¹ Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012, გვ.12

http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf (ბოლო ნახვა 23. 09.2013)

² გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის ხელმოწერები და რატიფიკატორები, <http://www.un.org/disabilities/countries.asp?id=166>, (ბოლო ნახვა 20.09.2013)

3.1. რატიფიცირებამდელი პროცესები

ცალკეულმა ქვეყნებმა UNCRPD-ის რატიფიცირებისათვის მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწიეს. მაგალითად, **შვედეთში** რატიფიცირების პროცესს წინ უძღოდა გარკვეული ღონისძიებები, რომლებიც შვედეთის კანონმდებლობის ძირეული გადახედვასა და UNCRPD-ის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანას ისახავდა მიზნად. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი გულისხმობდა სპეციალური კანონპროექტის მომზადებას, სახელწოდებით: „ადამიანის უფლებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.“

ამ თვალსაზრისით არაერთი ღონისძიება განახორციელა **დანიაშიც**. კერძოდ, UNCRPD-ის რატიფიცირებისათვის ქვეყანამ კონსულტაციები 2008 წლიდან დაიწყო, კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღეს სამინისტროებმა, სხვადასხვა ორგანიზაციამ და მთლიანად საზოგადოებამ. მისი მიზანი იყო რატიფიცირებისთვის საჭირო, როგორც იურიდიული, ისე ფინანსური წინაპირობების შესწავლა.

მთავრობის განგრძობით სამუშაოებს რატიფიცირების შესახებ საფუძვლად სწორედ კონსულტაციები დაედო. დანიის სოციალური დაცვის სამინისტრომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირების ფუნქცია აიღო. 2008 წელს შეიქმნა სპეციალური შიდა-სახელმწიფოებრივი ჯგუფი, რომელსაც კონვეციასთან მიმართებით ფინანსური და სხვა პირობების შექმნა დაევალა.

ჯგუფი UNCRPD-სთან დაკავშირებული ვალდებულებების შესწავლის შემდეგ, შეთანხმდა, რომ სამუშაოები გაეგრძელებინათ სამი მიმართულებით, კერძოდ: კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ არსებული ვალდებულებების, მე-9 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მისაწვდომობის და ასევე 24-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების - ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით.

შესაბამისად, თითოეულ თემატურ ჯგუფს დაევალა არსებული პრობლემური საკითხების დეტალური ანალიზი. სოციალური დახმარების სამინისტროს დისკრიმინაციის წინააღმდეგ არსებული ვალდებულებების და მისაწვდომობაზე არსებული საკითხების კოორდინაცია ხვდა წილად, ხოლო განათლების სამინისტროს კი განათლების საკითხების. ამასთან ერთად, პარლამენტის მიერ მიღებული იქნა შესაბამისი აქტები, რომელთა უზრუნველყოფა UNCRPD-ის 29-ე მუხლითაა გათვალისწინებული და მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფას.

ცვლილებები ძალაში შევიდა საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებითაც. შიდასამთავრობო ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაო კი UNCRPD-ის შესრულებისთვის საჭირო რეზოლუციის შექმნას დაედო საფუძვლად, რამაც რატიფიცირებისათვის შესაბამისი ბაზისი შექმნა.³

სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით, თუმცა, მსგავსი მიზნით, სამუშაოები გაწეულ იქნა სხვა ქვეყნების მხრიდანაც, რამაც ერთი მხრივ, ხელი შეუწყო UNCRPD-ის რატიფიკაციის პროცესს და მეორე მხრივ, დაეხმარა ქვეყანას არსებული გარანტიების იმპლემენტაციასა და უკეთ დანერგვაში.

³ Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012; გვ. 27-29
http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

4. პოლიტიკის შემუშავება/ინსტიტუციური რეფორმები

4.1. შვედეთი

4.1.1. პოლიტიკის შემუშავება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისკენ მიმართული პოლიტიკა, რომელიც შვედეთში დღემდე ხორციელდება, 2000 წელს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ კანონპროექტს უკავშირდება, სახელწოდებით „პაციენტობიდან მოქალაქეობამდე - ეროვნული სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პოლიტიკისათვის“. პარლამენტის მიერ ჯერ კიდევ 2000 წელს მიღებული ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს ფუნდამენტურ საფუძველს და მნიშვნელოვან ნაბიჯს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში შვედეთის პოლიტიკის ფორმირებისათვის. აქედან მოყოლებული ამ მიმართებით სახელმწიფოს პოლიტიკის მთავარი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრული ინტეგრაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამ თემის მენისტრიმიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სექტორში, ბრძოლა შეზღუდული შესაძლებლობის გამო პირის დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ყველასთვის დამოუკიდებელი ცხოვრების პირობების შექმნა.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის განხორციელება შვედეთის მთავრობამ 2010 წელს დაასრულა. ახალი სამთავრობო სტრატეგია კი 2011 წელს იქნა მიღებული და მასში შვედეთის მთავრობის სხვადასხვა სტრატეგიული მიზნებია წარმოდგენილი, რომელთაგან 9 მიმართულება პრიორიტეტულია. ესენია: ფიზიკური მისაწვდომობა, IT პოლიტიკა, საგანმანათლებლო პოლიტიკა, შრომის ბაზრის პოლიტიკა, სასამართლო სისტემა, სატრანსპორტო პოლიტიკა, კულტურა, მედია და სპორტი. სტრატეგია აღწერს, თუ რა ზომები უნდა მიიღოს სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პოლიტიკის განვითარებისთვის აღნიშნული მიმართულებებით.⁴

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალური სერვისებისა და საჯარო სივრცის მისაწვდომობის გაზრდის მიზნით შვედეთის მთავრობამ 2008 წლიდან გააძლიერა მუშაობა 3 მიმართულებით: მისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მისაწვდომი სამოქალაქო მომსახურება და სამშენებლო გარემოში არსებული მარტივი დაბრკოლებები, რომელთა აღმოფხვრაც მარტივადაა

⁴ იქვე, გვ. 97; http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

შესაძლებელი. ბოლო წლებში კი მთავრობამ, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი, წინა პლანზე წამოწია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მუშაობისა და დასაქმებისთვის შესაძლებლობების გაძლიერება.

შვედეთის სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და DPO-ებთან თანამშრომლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. მთავრობას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა (შემდგომში: NGO) და შვედეთის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ასოციაციას შორის არსებულ შეთანხმებაში მითითებულია, რომ მთავრობასა და NGO-ებს შორის ურთიერთობა უნდა ხასიათდებოდეს პასუხისმგებლობითა და ურთიერთთანამშრომლობით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი ძირითად პრინციპს წარმოადგენს დიალოგის გზა, კერძოდ, მთავრობა რაიმე კონკრეტული ნაბიჯის გადადგამდე პროაქტიულად ატარებს სხვადასხვა სახის საჯარო დებატებს, რაც მის მიერ მომავალში გასატარებელი ცვლილებისა თუ ღონისძიების განხილვას ისახავს მიზანად. სამოქალაქო საზოგადოება ჩართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესში, ამასთან, ამზადებს UNCRPD-ის იმპლემენტაციის ალტერნატიულ ანგარიშებს.

4.1.2. ინსტიტუციური ჩარჩო

ჰანდისამი, შვედეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პოლიტიკის მაკოორდინებელი სააგენტო (Handisam), წარმოადგენს შვედეთის ჯანმრთელობის და სოციალურ საქმეთა სამინისტროზე დაქვემდებარებულ სააგენტოს. ჰანდისამი დაახლოებით 25 წევრისაგან შედგება. იგი 2006 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პოლიტიკის შესახებ მიმდინარე ეროვნული გეგმის იმპლემენტაციის ხელშესაწყობად შეიქმნა.

ჰანდისამის მთავარი ფუნქციებია: აღნიშნული პოლიტიკის იმპლემენტაციის ხელშეწყობა, მთავრობისთვის რელევანტული ფაქტების/ინფორმაციის მიწოდება, მისაწვდომობის მხარდაჭერა. იგი ანგარიშვალდებულია შვედეთის მთავრობის წინაშე.⁵

ჰანდისამს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხელისუფლების წარმომადგენლთა, პოლიტიკოსთა და სხვა პირთათვის ცნობიერების ამაღლება UNCRPD-ის შესახებ

⁵ <http://www.handisam.se/english/>; (ბოლოს შემოწმებულია 18.09.2013)

მუნიციპალიტეტებისა და სოფლის საბჭოების მეშვეობით. ამ მიზნის განსახორციელებლად 2010 წელს ჰანდისამს 190 000 ევროს ოდენობის გრანტი გამოუყვეს.

ჰანდისამი ასევე დახმარებას უწევს ხელისუფლებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პოლიტიკის მიზნების მიღწევის მიმართულებით და შემდეგ აკონტროლებს მისი მუშაობის შედეგებს. იგი ასევე აკეთებს ღია შედარებით ანალიზს ეროვნული ხელისუფლების, მუნიციპალიტეტებისა და საბჭოების მიერ განხორციელებულ საქმიანობებთან და მათ მიერ მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით. ჰანდისამმა შეიმუშავა მისაწვდომობის გაიდლაინები. იგი კონსულტაციას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოძრაობასაც.⁶

საოჯახო და სოციალური მომსახურების ქვედანაყოფი, რომელიც ჯანმრთელობისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებობს, უშუალოდ არის პასუხისმგებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებულ პოლიტიკაზე. კომიტეტი შედგება შვედეთში მოქმედი DPO-ების წევრებისა და სახელმწიფო სამდივნოსაგან, რომელიც თავის მხრივ 7 მინისტრისგან არის დაკომპლექტებული. კომიტეტის წევრები იკრიბებიან წელიწადში ოთხჯერ. შეხვედრების დღის წესრიგს ადგენს მთავრობა, DPO-ების წარმომადგენლებთან შეთანხმების საფუძველზე.

შვედეთში არსებული **მუნიციპალიტეტები** პასუხისმგებელი არიან შემდეგ საკითხებზე: ფიზიკური დაგეგმვა, ინფრასტრუქტურა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა, ბიზნესის განვითარება და სოციალური სერვისების მიწოდება. თითქმის ყველა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში არის ადგილობრივი საბჭო, რომელიც ჩართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პოლიტიკის გატარებაში.⁷

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს **თანასწორობის ომბუდსმენი**. ეს არის სამთავრობო სააგენტო, რომელიც მოწოდებულია დისკრიმინაციასთან ბრძოლისკენ, სქესის, გამოხატვის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის ან რაიმე მრწამსის, შეზღუდული შესაძლებლობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე წარმოშობილი დისკრიმინაციისკენ.⁸

⁶ <http://www.handisam.se/english/>; (ბოლოს შემოწმებულია 18.09.2013)

⁷ Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012; გვ. 99
http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

⁸ <http://www.do.se/en/> (ბოლოს შემოწმებულია 18.09.2013)

შვედეთის მთავრობამ ანგარიშის მომზადება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება შვედეთის ადამიანის უფლებების დელეგაციას დაავალა. ამასთან მთავრობამ დააფუძვნა კომიტეტი, რომელიც ფორუმის სახით ფუნქციონირებდა და ინფორმაციის გაცვლასა და დისკუსიების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

4.2. დანია

4.2.1. პოლიტიკის შემუშავება

UNCRPD-ის რატიფიცირებას დანიის მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით კონკრეტული მიზნებისა და ინიციატივების შემუშავება მოჰყვა, მათ შორის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პროგრესული რეალიზების კუთხით. 2011 წლისთვის დანიას არ ჰქონდა შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმა, თუმცა, სხვადასხვა სამინისტროს მიერ ცელკეული ღონისძიებები განხორციელდა. 2010 წელს სახალხო დამცველმა ანგარიშში მიმოიხილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა, სადაც ვრცლად იყო წარმოდგენილი ამ კუთხით გასატარებელი სამუშაოები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დანიის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას ამ მიმართულებით.

4.2.2. ინსტიტუციური რეფორმები

პარლამენტის გადაწყვეტილების შედეგად 2010 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი ინსტიტუტი დანიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტის სახით, რომლის მიზანია UNCRPD-ის ხელშეწყობა, დაცვა და მონიტორინგი. დანიის ინსტიტუტის მანდატი შეესაბამება პარიზის პრინციპებით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ფუნქციებსა და სტატუსს.⁹ სამოქალაქო საზოგადოება, უფრო ზუსტად კი DPO-ები, UNCRPD-ის დებულების მიხედვით, ჩართულები უნდა იყვნენ მონიტორინგის პროცესში. დანიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტი მჭიდროდ თანამშრომლობს აღნიშნულ ორგანიზაციებთან.

სოციალურ საქმეთა სამინისტროსთან არსებული კომიტეტი რომელიც ყველა სამინისტროს აერთიანებს UNCRPD-ის რატიფიცირების ძირითად მაკოორდინირებელ ორგანოდ განისაზღვრა. შესაბამისად, სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა სამინისტროებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე მუშაობენ.

⁹ პარიზის პრინციპებზე მეტი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ ეწვიოთ ბმულს: <http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/ParisPrinciples20yearsguidingtheworkofNHRI.aspx>

დანის საპარლამენტო ომბუდსმენის „*olketingets Ombudsmand*“ მთავარი ფუნქცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორი მოპყრობის შესახებ მონიტორინგია.

დანის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ორგანოა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და კვლევითი ინსტიტუტების სხვა წარმომადგენლებისგან შედგება. საბჭოს ამოცანაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი, მას ასევე ეკისრება მრჩევლის როლი მთავრობისა და პარლამენტისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხზე. საბჭო შეხვედრებსა და კონსულტაციებს მართავს რეგულარულად ყველა რელევანტურ საკითხზე და იმ თემებზე, რომლებიც პოლიტიკის შექმნას უკავშირდება.¹⁰

4.3. ესპანეთი

4.3.1. პოლიტიკის შემუშავება

ესპანეთმა მოახდინა UNCRPD-ისა და მისი დამატებითი ოქმის ინსტრუმენტებისა და კონცეფციის ინკორპორირება ეროვნულ სამართალში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სოციალური მოდელი ესპანეთში ამ საერთაშორისო დოკუმენტის ძალაში შესვლამდეც არსებობდა.

ესპანეთში სოციალური მოდელის განვითარება დაიწყო 1982 წელს, როდესაც მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის შესახებ კანონი და კულმინაციას მიაღწია 2003 წელს მიღებული კანონით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების, დისკრიმინაციის აკრძალვისა და უნივერსალური მისაწვდომობის შესახებ (შემდგომში: LIONDAU). მასში დეტალურად გაიწერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებები. 2011 წელს მოხდა ამ კანონში ცვლილებების და დამატებების განხორციელება მასში მოცემული დებულებების UNCRPD-ის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.¹¹

¹⁰ Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012; გვ. 29

http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013);

¹¹ <http://www.zeroproject.org/policies/y2012/spain/> (ბოლოს შემოწმებულია 19.09.2013)

ესპანეთში შეიქმნა რამდენიმე სამოქმედო გეგმა. უახლესი სტრატეგია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ 2011 წელს დამტკიცდა და მოიცავს 2012-2020 წლების პერიოდს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ესპანეთში გატარდა, იყო UNCRPD-ის გავრცელება. იგი გამოიცა და გავრცელდა სხვადასხვა მისაწვდომ ფორმატში: ადვილად საკითხავი ფორმით, აუდიო ფორმით, ესპანური და კატალონიური ნიშნების ენაზე და ბრაილის შრიფტით. ასევე ითარგმნა ესპანურ, ბასკურ, გალიციანურ და კატალონიურ ენებზე.¹²

4.3.2. ინსტიტუციური რეფორმები

ესპანეთის კონსტიტუციაში¹³ მოცემულია ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების ჩამონათვალი. ეს უფლებები ვრცელდება ყველა პირზე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და თანაბრად იცავს მათ. თუმცა, გამომდინარე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებიდან, მათი უფლებების ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით საჭირო გახდა საზედამხედველო მექანიზმების დაარსება და სანქციათა სისტემის შემოღება.

ესპანეთის მხრიდან გადადგმული პირველი ნაბიჯი UNCRPD-ის იმპლემენტაციისკენ იყო მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული **სამინისტროთაშორისი სამუშაო ჯგუფის** შექმნა, რომელიც შეისწავლიდა ესპანეთის სამართალს მისი UNCRPD-ის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ჯანმრთელობის, სოციალურ საქმეთა და თანასწორობის სამინისტრო და იგი მოიცავდა თითოეულ სამინისტროს. ეს ჯგუფი დღესაც აგრძელებს მუშაობას სხვადასხვა სფეროში.

კანონმდებლობის და გარემო-პირობების UNCRPD-ასთან შესაბამისობის მონიტორინგს და ხელშეწყობას ახორციელებს **მთავრობის მაკოორდინებელი მექანიზმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საბჭო**. ეს ორგანო შეიქმნა 2009 წელს, როგორც UNCRPD-ის იმპლემენტაციის და უფლებების დაცვის ხელშეწყობის ორგანო. ეროვნული საბჭო არის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც

¹² Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012; გვ. 93-94;

http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

¹³ ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუცია, მე-10 მუხლი;

http://legislationline.org/download/action/download/id/2325/file/Spain_Const_1978_eng.pdf (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

შედგება ყველა სამინისტროსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლებისაგან.

UNCRPD-ის შესრულების მონიტორინგს ახორციელებენ საგარეო საქმეთა და თანამშრომლობის სამინისტრო, ჯანმრთელობის, სოციალური სერვისების და თანასწორობის სამინისტრო და ასევე **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პოლიტიკის მხარდამჭერი დირექტორატი**, რომელიც ორივე სამინისტროს მაკოორდინებელი ორგანოა.

ესპანეთში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საბჭოს ფარგლებში დაარსდა **მუდმივი სპეციალიზებული ოფისი (OPE)**. ამ ორგანოს ფუნქციებში შედის: წარდგენილი საჩივრების შეფასება, ანალიზი და შესწავლა, ასევე კონსულტაციების გაწევა დისკრიმინირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. 2008 წელს დაარსდა **საარბიტრაჟო სისტემა**, მას აკისრია პასუხისმგებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაძლებლობის თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული საჩივრებისა და მოთხოვნების განხილვა.¹⁴

ესპანეთში კომპეტენციები განაწილებულია ცენტრალურ მთავრობასა და **ავტონომიურ რეგიონებს** შორის. ჯანმრთელობის, სოციალური სერვისების და თანასწორობის სამინისტრო მართავს პერიოდულ შეხვედრებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ყველა ავტონომიური რეგიონის გენერალურ დირექტორატთან **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პოლიტიკის მხარდამჭერი გენერალური დირექტორატის** მეშვეობით.

ერთობლივი საქმიანობის მეთოდოლოგია ეროვნულ მთავრობასა და ავტონომიური რეგიონების გენერალურ დირექტორატებს შორის ხელს უწყობს UNCRPD-ის პირობების და დებულებების მოქმედებას როგორც რეგიონულ, ისე სამთავრობო დონეზე.¹⁵

ასევე ესპანეთში შეიქმნა **სპეციალური ფორუმები**, მაგალითად, ინკლუზიური განათლების ფორუმი, რომელიც მუშაობს საუნივერსიტეტო სამართლის მოდიფიკაციაზე. ასევე შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფორუმი,

¹⁴ესპანეთის თავდაპირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2010 წლის მაისი, გვ. 4

<http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0>

¹⁵ Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012; გვ. 92-93;

http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

რომლის ფუნქციასაც UNCRPD-ის მე-12 მუხლის ანალიზი წარმოადგენს, ეს მუხლი კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობას შეეხება.

მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა სხვადასხვა მექანიზმი, როგორც სამინისტროს, ისე DPO-ების წარმომადგენლების ინიციატივით. მაგალითად, მადრიდის კარლოს მესამის სახელობის უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური სექტორი და იგი ამუშავებს ანგარიშებს ესპანეთის იმ კანონების შესახებ, რომლებსაც ესაჭიროებათ UNCRPD-ის დებულებებთან ადაპტაცია.¹⁶

4.4. ავსტრია

4.4.1. პოლიტიკის შემუშავება

შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ 2012-2020 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე სოციალური უსაფრთხოების სამინისტროა პასუხისმგებელი. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ავსტრიის მთავრობის სტრატეგიას UNCRPD-ის იმპლემენტაციის თაობაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს არის ფედერალური რესპუბლიკის გეგმა და არ განიხილავს პროვინციების პასუხისმგებლობას. დოკუმენტი ითვალისწინებს 250 სხვადასხვა სახის ქმედების განხორციელებას, ადგენს დროში გაწერილ ვადებს და კონკრეტულ აქტორებს პასუხისმგებელ სუბიექტებად განსაზღვრას, რომელთა უმეტესობას სამინისტროები წარმოადგენენ. ავსტრიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საბჭოს¹⁷ მოხსენების მიხედვით, ეროვნული გეგმის ნაკლი ის არის, რომ გარკვეულმა პროვინციებმა (ლანდებმა), უარი განაცხადეს მონაწილეობაზე. გარდა ამისა, გასატარებელი ზომების აღწერა ზოგჯერ ძალზედ ბუნდოვანია და დროში დაუსაბუთებლად ხანგრძლივ ვადებზეა გათვლილი. ამასთან, ეროვნული საბჭოს მოსაზრებით, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საკმარისად არ იყო უზრუნველყოფილი გეგმის შემუშავების პროცესში.¹⁸

¹⁶ იქვე, გვ. 95;

¹⁷ ავსტრიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საბჭო ქოლგა ორგანიზაციაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასოციაციებისა. შედგება 78 წევრი ორგანიზაციისაგან და 400 000-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინტერესს წარმოადგენს;

¹⁸ ზოგადი შენიშვნები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საბჭოს მოხსენება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ წარმოდგენილ საკითხთა ნუსხაზე, 2;

<http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/CRPD/9thSession/LoIAustrianNCWithDisabilities.doc> (ბოლო ნახვა 23.09.2013)

4.4.2. ინსტიტუციური რეფორმები

ავსტრიაში ფედერალურ დონეზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხები ეხება სოციალური უსაფრთხოების, დასაქმებისა და მომხმარებელთა დაცვის სამინისტროს (შემდგომში - BMASK). ამ საკითხებს ასევე კურირებენ რეგიონული უწყებები 9 სხვადასხვა პროვინციაში.

2008 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფედერალური აქტის მიხედვით, სოციალური უსაფრთხოების, დასაქმებისა და მომხმარებელთა დაცვის სამინისტროში *შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე ფედერალური მრჩეველთა საბჭოს* ერთ-ერთ დამოუკიდებელ კომიტეტად 2009 წლიდან ავსტრიაში შეიქმნა სადამკვირვებლო კომიტეტი UNCRPD-ის იმპლემენტაციისთვის. მისი წევრები არიან DPO-ების წარმომადგენლები (4 წარმომადგენელი), ადამიანის უფლებებზე და საერთაშორისო განვითარების პროგრამებზე მომუშავე NGO-ები (თითო-თითო წარმომადგენელი) და აკადემიური წრეების წარმომადგენლები (ერთი წარმომადგენელი). კომიტეტში ერთი სათათბირო ხმა აქვს სოციალური უსაფრთხოების, დასაქმებისა და მომხმარებელთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს და ერთი ხმა ეკუთვნის რომელიმე სხვა სამინისტროს წარმომადგენელს (განხილული საკითხის მიხედვით). სადამკვირვებლო კომიტეტი ანგარიშებს ახარებს შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე ფედერალურ მრჩეველთა საბჭოს, აქვეყნებს რეკომენდაციებს და წინადადებებს¹⁹. კომიტეტი დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება სამინისტროს დირექტივებს, სამინისტრო უბრალოდ კომიტეტის დაფინანსებას უზრუნველყოფს²⁰.

ავსტრიის ომბუდსმენის საბჭო (AOB) 2012 წლის პირველი ივლისიდან ფუქნციონირებს. AOB-ის მიერ განხორციელებული მონიტორინგი ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე პრევენციული მექანიზმია და მისი მანდატი ეხება ყველა ინსტიტუტს და დაწესებულებას, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განსაკუთრებით დაუცველ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ არაადამიანური მოპყრობის, შეურაცხყოფის თუ თავისუფლების შეზღუდვის მხრივ. AOB 4000-მდე საჯარო და კერძო ორგანიზაციას და დაწესებულებას აკონტროლებს.

¹⁹ ავსტრია, გაეროს კონვენციის სტატუსი, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

²⁰ ავსტრიის პირველი სახელმწიფო ანგარიში, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, მუხლი 33, იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე და მონიტორინგი, 5 ოქტომბერი, 2010, [http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf). (ბოლო ნახვა 23.09.2013)

ეს მოიცავს, მაგალითად, პოლიციის განყოფილებებს, ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, მოხუცებულთა თავშესაფრებს და სხვა.²¹

მისაწვდომობის სტანდარტების შექმნაზე პასუხისმგებელია ავსტრიის სტანდარტების ინსტიტუტი.

4.5. უნგრეთი

4.5.1. პოლიტიკის შემუშავება

UNCRPD-ის რატიფიცირების შემდეგ უნგრეთში არსებული გარემოს კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარდა შემდეგი რეფორმები/ლონისძიებები:

2006 წელს უნგრეთის პარლამენტმა 2007-2013 წლებისათვის დაამტკიცა **შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმა**. სამოქმედო გეგმა ორ ეტაპად უნდა განხორციელებულიყო 2007-2010 და 2011-2013 წლებზე. პოლიტიკის ეს დოკუმენტი და სამართლებრივი ინსტრუმენტი UNCRPD-ის რატიფიცირებამდე შემუშავდა, თუმცა, თავიდანვე შესაბამისობაში მოდიოდა ამ ხელშეკრულების ძირითად მიზნებთან; უნგრეთის პარლამენტმა 2009 წელს მიიღო **უნგრული ქესტური ენის აქტი**;

2008 წლის ივლისში შემუშავდა აუტიზმის ეროვნული სტრატეგია **უნგრეთის აუტიზმის მქონეთა საზოგადოების** მიერ. 5 წლიანი გეგმა შეეხება დიაგნოსტიკას, მომსახურე პერსონალის გადამზადებას, განათლებას, განვითარებას, დასაქმებას, მოზარდთა გადამზადებას და ოჯახთა მხარდაჭერას აუტიზმის დაავადების მქონეთვის²².

მთავრობის ბრძანებულებით უნგრეთის სახელმწიფომ დიდი ინსტიტუციების თემზე დაფუძნებული მომსახურებით ჩანაცვლების სტრატეგია შეიმუშავა 2011-2041 წლებისთვის. შესაბამისი აქტის მიხედვით, ეროვნული რესურსების სამინისტრომ ჩამოაყალიბა **დეინსტიტუციონალიზაციის ეროვნული ორგანო**. აღნიშნული ორგანო სტრატეგიის მიხედვით გაწერილი მოქმედებების კოორდინირებას ახდენს. სამ

²¹ ავსტრიის სახელმწიფოს პასუხები, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის დასკვნა, გვ. 5; <http://www.ohchr.org/Documents/Issues/Disability/SubmissionWorkEmployment/ResponseAustria.pdf> (ბოლო ნახვა 23.09.2013)

²² Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012; გვ.51-53; http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

წელიწადში ერთხელ აღნიშნული ორგანოს მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმას ეროვნული რესურსების სამინისტრო მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად. პირველი სამოქმედო გეგმა 2012 წლის მარტში შეიქმნა და 1500 დაწესებულების რეფორმირებისთვის 24 მილიონამდე ევრო გამოიყო.

4.5.2. ინსტიტუციური რეფორმები

UNCRPD-ზე პასუხისმგებელი/მომუშავე ძირითადი ორგანო ქვეყანაში **ადამიანური რესურსების სამინისტროა**. მოცემული სამინისტროს დაქვემდებარებაშია **სოციალური ინკლუზიის სახელმწიფო მინისტრის აპარატი**, რომელიც უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მუშაობს, მათ შორის UNCRPD-ზეც; სამინისტრო კოორდინირებას უწევს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს.

თანაწორი მოპყრობის ინსტიტუტი 2005 წელს შეიქმნა იუსტიციისა და საჯარო მმართველობის დეპარტამენტის მიერ. თანაწორი მოპყრობის ინსტიტუტი მთავრობისაგან დამოუკიდებელია და არც ერთ სამთავრობო უწყებას არ ექვემდებარება. მოცემული ინსტიტუტის მოქმედების მანდატს თანაწორი მოპყრობისა და თანაბარი შესაძლებლობების 2003 წლის აქტი იძლევა, რაც თავის მხრივ სხვადასხვა ტიპის დისკრიმინაციის საკითხებს ფარავს. მოცემული დამოუკიდებელი ორგანიზაციის პრეზიდენტი 9 წლის ვადით ინიშნება უნგრეთის პრეზიდენტის მიერ.²³ თანაწორი მოპყრობის ინსტიტუტი მუშაობს დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ სასამართლოს წინაშე საჩივრების მომზადებაზე, სტრატეგიულ სამართალწარმოებასა და ცნობიერების ამაღლებაზე.

საჯარო ფონდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობებისთვის (FSZK) შეიქმნა უნგრეთის პრემიერ მინისტრის მიერ 2007 წლის 20 ივლისს. ფონდის მიზანია, იზრუნოს თანაბარი შესაძლებლობისთვის, სოციალური ინტეგრაციისა და კომპლექსური (რე)აბილიტაციისთვის.²⁴

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების ეროვნული საბჭო (OFT) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტის საფუძველზე უნგრეთში 1998 წელს შეიქმნა. OFT წარმოადგენს ერთადერთ ორგანოს, რომელსაც 2008 წლის მთავრობის განკარგულებით UNCRPD-ის საკითხებზე კოორდინაციის გაწევა დაევალა. OFT უფლებამოსილება:

²³ Equal Treatment Authority Hungary, http://www.equineteurope.org/IMG/pdf/PROFILE_ETA_HU.pdf (ბოლო ნახვა 24.09.2013)

²⁴ უნგრეთი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის კოორდინირება, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

- კოორდინაციის გაწევა და კონსულტაციების დაგეგმვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით; ასევე ინიციატივებისა და ახალი შემოთავაზებების გაცნობა;
- ამგვარი გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის პროცესში ანალიზისა და შეფასებების გაცნობა;
- საკუთარი შენიშვნების გამოქვეყნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით;
- კანონპროექტებსა და სხვადასხვა ინიციატივებზე მოშაობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებაში ჩართვა;
- სახელმწიფოსთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე ანგარიშების მომზადება; ეროვნული პროგრამის შემუშავება და იმპლემენტაციის მონიტორინგი.²⁵

OFT 27 წევრისაგან შედგება. საბჭოს 14 წევრი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელია, 13 კი მთავრობის.

მთავრობის შეთავაზებით საბჭოს უნდა ეკვლია უნგრეთის საკანონმდებლო სისტემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით და ამის საფუძველზე შეემუშავებინა სამოქმედო გეგმა, რომელიც **შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის** ნაწილი გახდებოდა. აღნიშნული კვლევისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსები გამოიყო.²⁶

2011 წლის ივნისში გაეროში წარდგენილი სახელმწიფო ანგარიშის მიხედვით, საბჭოს ანგარიშგების დროისათვის განხორციელებული აქვს 12 კვლევა ეროვნული კანონმდებლობის UNCRPD-ასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. თუმცა 2012 წლის ჩრდილოვან ანგარიშში უკმაყოფილება გამოხატული იმის გამო, რომ საბჭოს შედგენილი კვლევები სრულად იქნა უგულველყოფილი სახელმწიფოს მხრიდან და მას UNCRPD-ის იმპლემენტაციისთვის ბიძგი არ მიუცია. ახალი მთავრობის დამტკიცების შემდეგ კი, 2010 წლიდან, ჩრდილოვანი ანგარიშის მიხედვით, ის საჭირო სიხშირით საერთოდ არ ფუნქციონირებდა. უნგრეთის სახელმწიფომ ვერ შეძლო UNCRPD-ის 33-ე მუხლის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ის იშვიათად აკმაყოფილებდა NGO-ის მოთხოვნას საბჭოს შეკრებასთან დაკავშირებით, აწესებდა სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო არაგონივრულ ვადებს,

²⁵ Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012; გვ.51-53; http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013);

²⁶ იქვე; გვ.51-53

ჰქონდა არაეფექტური მექანიზმები საბჭოს წევრებთან კომუნიკაციისათვის, არ მართავდა პლენარულ სხდომებს, სადაც ყველა წევრი იქნებოდა წარმოდგენილი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და რის შესახებ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კომიტეტის საბოლოო დასკვნაშიც არის მითითებული - უნგრეთის სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საბჭოს დამოუკიდებლობა.

კომიტეტმა 2012 წლის დასკვნაში უნგრეთის მთავრობას მოუწოდა მონიტორინგისთვის საჭირო დამოუკიდებელი მექანიზმების შექმნისაკენ და არსებული სტრუქტურების პარიზის პრინციპებსა და კონოვენციის 33-ე მუხლთან შესაბამისობაში მოყვანისაკენ. საბჭოსთან დაკავშირებული მითითება ეხებოდა იმასაც, რომ სახელმწიფოს უზრუნველყო საბჭოს ინკლუზიურობა და NGO-ების მაქსიმალური ჩართულობა მის საქმიანობაში. ეს უკანასკნელიც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კრების მიერ წარდგენილი ანგარიშის მიხედვით, არაეფექტურად ხორციელდება უნგრეთში.²⁷

4.6. გერმანია

4.6.1. პოლიტიკის შემუშავება

UNCRC-ის შინაარსის მატარებელი გერმანიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური და თანასწორობის აქტია, რომელიც ინიცირებული იყო ქვეყანაში არსებული ხედვებისა და პარადიგმების შესაცვლელად. გერმანიის ფედერალური მთავრობა იყენებს UNCRC-ს, რათა გააძლიეროს და განავითაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული მიმართულებები და ხელი შეუწყოს მათ დამკვიდრებას.

გერმანიის მე-17 საარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით (1999-2003) მიღწეულ იქნა შეთანხმება სამოქმედო გეგმების შემუშავებზე, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა UNCRC-ის დანერგვის სტრატეგია.

გერმანიის შრომისა და სოციალურ საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა შემუშავებული გეგმის სტრუქტურა და გზამკვლევი, რომლის მოკლე მონახაზი შემდეგნაირია:

²⁷ უნგრეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კრების ანგარიში, გვ. 3-4, სექტემბერი, 2012 http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:JPwUeytQiSgJ:mdac.info/sites/mdac.info/files/commcrpd_hu_september2012.pdf+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

- სამოქმედო გეგმა განაგრძობს UNCRPD-ის დანერგვისთვის ფედერალური მთავრობის გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელებას, სადაც შრომისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს დაეკისრება კურატორის როლი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული არსებული პროექტები და ამოცანები ჩართეს ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. მეორე ძირითადი მიმართულება იქნება ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებრივი ურთიერთობები.²⁸

- ფედერალური მთავრობის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულები იქნებიან გერმანიის ტერიტორიული ერთეულები, ადგილობრივი მმართველობა, კომპანიები და ა.შ. ამ პროცესში შრომისა და სოციალურ საქმეთა სამინისტრო თანამშრომლობს და კონსულტაციებს უწევს აღნიშნულ ორგანიზაციებს;

- სამოქალაქო საზოგადოება, კერძოდ, DPO-ები და ის ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ამ თემატიკაზე, ქმნიან მრჩეველთა საბჭოს; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობა, არა მხოლოდ UNCRPD-ითაა გათვალისწინებული, არამედ მნიშვნელოვანია ფედერალური სამინისტროებისა და ფედერალური კომისრისთვისაც.

სამოქმედო გეგმისთვის მზადება 2010 წლის აპრილში დაიწყო ფედერალურ მთავრობებთან თანამშრომლობის შემდეგ.²⁹

4.6.2. ინსტიტუციური რეფორმები

UNCRPD-ის ეფექტური იმპლემენტაციისათვის ძირითად ორგანოდ განისაზღვრა **გერმანიის შრომისა და სოციალურ საქმეთა სამინისტრო**. გერმანიის ფედერალური მოწყობიდან გამომდინარე UNCRPD-ის იმპლემენტაციისათვის განსაკუთრებული როლი გერმანიის მიწებს ეკისრებათ. გერმანიის ზოგიერთმა მიწამ ადგილობრივ დონეზე სპეციალური კოორდინატორები დანიშნა.

UNCRPD-ის მონიტორინგი, 33-ე მუხლის მიხედვით, დაევალა **გერმანიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტს**. ინსტიტუტი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც მოქმედებს გაეროს პარიზის პრინციპების მანდატის ქვეშ. ინსტიტუტი დაფინანსებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ და მისი დამოუკიდებლობა განპირობებულია მისი სამართლებრივი ფორმით. ინსტიტუტმა მუშაობა 2001 წელს დაიწყო და UNCRPD-ის 32.2.-ე მუხლის თანახმად ცალკე დეპარტამენტი შექმნა.

²⁸ Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012; გვ.43

http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013);

²⁹ იქვე, გვ.45

ინსტიტუტს ექვსი თანამშრომელი ჰყავს და შედგება მკვლევარების, იურისტებისა და სოციალური მეცნიერებათა სპეციალისტებისგან;³⁰

გერმანიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტმა 2009 წელს დააფუძნა **ეროვნული მონიტორინგის ორგანო**. ეროვნული მონიტორინგის ორგანოს საქმიანობა ეფუძნება მის მიერ გაცხადებულ პრინციპს, რომლის თანახმადაც UNCRPD-ის განხორციელება მოიცავს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანოების ჩართვას - საერთაშორისო დონეზე, როგორცაა გაეროს კომიტეტი, ხოლო ადგილობრივ დონეზე, სამოქალაქო საზოგადოება, რომლებთანაც შეხვედრა წელიწადში სამჯერ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს მანდატი განიხილოს პრეტენზიები, ის იღებს ღია განცხადებებს მათი შესწავლის მიზნით.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა მონიტორინგის პროცესში უზრუნველყოფილია სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით. კერძოდ, ყველა ტიპის უწყება, რომელიც გერმანიაში ამ თემატიკაზე მუშაობს, ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ფორმისა და ხარისხის ჩართულობას მისი ინსტიტუციის საქმიანობაში, როგორც უშუალოდ პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, ასევე საკონსულტაციო თუ სხვა ტიპის ღონისძიებებში.³¹

UNCRPD-ის 33-ე მუხლის თანხამად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში **კოორდინატორის ფუნქცია კი ფედერალური მთავრობის კომისარს** მიენიჭა.

2010 წელის სექტემბერში, კომისარმა, გერმანიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საბჭოსთან და მრჩეველთა საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობის შემდეგ შექმნა „**ინკლუზიის კომიტეტი**“, რათა უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადოებასთან კომუნიკაცია UNCRPD-ის დანერგვისთვის საჭირო გრძელვადიანი და სტრატეგიული საკონსულტაციო პროცესის განმავლობაში. ამ მიზნით, კომიტეტი უმეტესად შედგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისგან. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტი ნერგავს ოთხ თემატურ სამუშაო ჯგუფს, რომლის მიზანია, ჩაერთოს ფართო სამოქალაქო საზოგადოებრივ პროცესში და ამ მიმართულებებით განავითარონ სხვადასხვა საკითხი. ³²

³⁰ Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012; გვ.46

http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013);

³¹ იქვე, გვ.44

³² იქვე, გვ.45

4.7. ბელგია

4.7.1. პოლიტიკის შემუშავება

ბელგიაში 33-ე მუხლის შესაბამისად UNCRPD-ის იმპლემენტაცია და მონიტორინგი საკმაოდ გვიან დაიწყო. მნიშვნელოვანი საკითხების და მითითებების ამოქმედებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. ბელგია ყურადღებას ამახვილებს ეროვნული რეფორმის პროგრამაზე (NRP), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმებასა, განათლებასა და სიღარიბის შემცირების სპეციალურ მიზნებზე.

2011 წლის აპრილში მინისტრთა კომიტეტმა წარუდგინა NRP ევროპის კომისიას. ეს პროგრამა მოიცავს ბელგიის მიერ წამოწყებულ პრიორიტეტულ მოქმედებებს სოციო-ეკონომიკური საკითხების „ევროპა 2020-ის სტრატეგიის“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. განსაკუთრებული საჭიროების სამიზნე ჯგუფების (ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ა.შ) საკითხები გათვალისწინებულია ტრენინგის, დასაქმების და სიღარიბის შემცირების მიმართულეებში.

ფლანდრიაში არ არსებობს სტრუქტურული ჩარჩო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ამ საკითხებზე პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ამდენად რეკომენდირებულია რეგულირებული სტრუქტურის შექმნა, რაც აღმოფხვრის აღნიშნულ პრობლემას. ამასთან, მთავრობა არ ხდის ნათელს მის პრიორიტეტებს, კერძოდ, UNCRPD-ის რომელი მუხლის იმპლემენტაცია უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ და რომელი უფლებები უნდა განავითაროს ქვეყანამ დროთა განმავლობაში. ეს კი ბელგიის პოლიტიკის ერთ-ერთ ნაკლად მიიჩნევა.

4.7.2. ინსტიტუციური რეფორმები

UNCRPD ძალაში შევიდა 2009 წლის ივლისში და ამავე პერიოდში FPS-ს სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის მხარდამჭერი გენერალური დირექტორატი დაინიშნა ფედერალურ და შიდა-ფედერალურ მაკოორდინებელ ორგანოდ ამ სფეროში.

მათ შორის, 15/02/1993 კანონის თანახმად, დაარსდა CGKR - თანაბარი შესაძლებლობებისა და რასიზმის საწინააღმდეგო ცენტრი, რომლის ფუნქციად შეზღუდული შესაძლებლობის ნიადაგზე დისკრიმინაციის შემთხვევების მართვა განისაზღვრა. 2011 წლის 12 ივლისს სამინისტროთაშორის პლენარულ კონფერენციაზე სახელწოდებით „კეთილდღეობა, სპორტი და ოჯახი“ მიღებულ იქნა შეთანხმება დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნის თაობაზე. აღმასრულებელი

მანდატი მიენიჭა CGKR/CECLR-ს. შესაბამისად, თანაბარი შესაძლებლობებისა და რასიზმის საწინააღმდეგო ცენტრი წარმოადგენს დამოუკიდებელ ფედერალურ ინსტიტუციას, რომელიც ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის მონიტორინგს. აღნიშნული ცენტრი წარმოადგენს კომპეტენტურ სამართლებრივ ორგანოს ამ საკითხებთან დაკავშირებით და ზოგიერთმა რეგიონებმა ხელი მოაწერა მასთან თანამშრომლობის პროტოკოლებს.

ცენტრმა დააარსა მრჩეველთა კომიტეტი ფართო სამოქალაქო საზოგადოების UNCRPD-ის იმპლემენტაციის პროცესში ჩასართავად. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმს კი ძირითადად რჩევების მიცემა წარმოადგენს.

რეგიონულ დონეებზე შემდეგი ინსტიტუციური მექანიზმები შეიქმნა:

- ფლანდრია: გენერალური სამთავრობო პოლიტიკისთვის სერვისები - თანაბარი შესაძლებლობები ფლანდრიაში;
- ვალონია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციის ვალონიის სააგენტო;
- ბრიუსელის მეტროპოლიტენის რეგიონი: ბრიუსელის სამინისტრო, მეტროპოლიტენის რეგიონი, საგარეო ურთიერთობების სამინისტრო;
- ფრანგული თემი: ვალონია-ბრიუსელის საერთაშორისო (WBI) გლობალური მრავალმხრივი სამსახური; ბრიუსელის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ავტონომიურობის ხელშეწყობის სერვისი;

გერმანულენოვანი თემი: სერვისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.³³

³³ Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012; გვ.17-22
http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

5. ცვლილებები კანონმდებლობაში/ცნებების განსაზღვრა

5.1. შვედეთი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცნება

შვედეთის კანონმდებლობაში ტერმინი შეზღუდული შესაძლებლობა სხვადასხვაგვარად არის განმარტებული. მაგალითად, დისკრიმინაციის აქტის³⁴ მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობა არის პირის ფუნქციური უნარების განუწყვეტელი (მუდმივი) ფიზიკური, მენტალური ან ინტელექტუალური დარღვევა, რომელიც წარმოადგენს დაშავების, ავადმყოფობის შედეგს, არის დაბადებიდან თანდაყოლილი, შემდგომში წარმოშობილი ან მომავალში მოსალოდნელი.

გარკვეული ფუნქციური დარღვევების მქონე პირთა მხარდაჭერისა და სერვისების (მომსახურების) აქტი (LSS) კი სამიზნე ჯგუფად მოიაზრებს პირებს:

- ინტელექტუალური დარღვევებით, აუტიზმით ან აუტიზმის მსგავსი მდგომარეობით;
- მნიშვნელოვანი და უწყვეტი ინტელექტუალური ფუნქციური დარღვევით ტვინის დაზიანების შედეგად ზრდასრულ ასაკში, რაც გამოწვეულია გარეგანი ძალადობით ან ფიზიკური დაავადებით;
- სხვა უწყვეტი ფიზიკური ან მენტალური დარღვევით, რაც არ წარმოადგენს ნორმალური განვითარების შედეგს, არის არსებითი, იწვევს მნიშვნელოვან სირთულეებს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამის გამო საჭიროებს მნიშვნელოვან მომსახურებას და მხარდაჭერას.³⁵

დისკრიმინაციისგან დაცვა

შვედეთის კონსტიტუცია შეიცავს დებულებებს თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ. მის თანახმად, ადამიანებს უნდა შეეძლოთ საზოგადოებაში მონაწილეობა თანასწორობის საწყისებზე. საზოგადოებამ ასევე უნდა იბრძოდეს შეზღუდული შესაძლებლობის გამო პირთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.³⁶

³⁴ Swedish Code of Statutes; Discrimination Act, SFS 2008:567; Section 5;

<http://www.government.se/content/1/c6/11/81/87/36dc60a5.pdf>

³⁵ Act Concerning Support and Service for Persons with Certain Functional Impairments; 27 May, 1993; Section 1; <http://www.independentliving.org/docs3/englss.html>

³⁶ Constitution of Sweden (1974), Chapter 1; Art .2;

<http://www.equalrightstrust.org/ertdocumentbank/CONSTITUTION%20OF%20SWEDEN.pdf>

შვედეთის დისკრიმინაციის აქტი უზრუნველყოფს პირთა დაცვას დისკრიმინაციისაგან სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, განათლების, შრომითი ბაზრის, ორგანიზაციის წევრობის, ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების.

დისკრიმინაციის აქტი დისკრიმინაციას განმარტავს როგორც პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას, ძალადობას, სექსუალურ ძალადობას ან დავალებას დისკრიმინაციის განსახორციელებლად. შვედეთის კანონმდებლობით განმტკიცებული ეს კონცეფცია გამომდინარეობს ევროკავშირის კანონმდებლობიდან დისკრიმინაციის შესახებ.

აღნიშნული აქტის თანახმად, პირდაპირი დისკრიმინაცია მიემართება უთანასწორო მდგომარეობაში მყოფ პირს, რომელსაც სხვა პირთან შედარებით მოეპყრნენ, ეპყრობიან ან მოეპყრობიან ნაკლები კეთილგანწყობით და ამგვარი მოპყრობა უკავშირდება შეზღუდულ შესაძლებლობას.

არაპირდაპირი დისკრიმინაცია მიემართება პირს, რომელიც იმყოფება უთანასწორო მდგომარეობაში იმ რეგულაციების, კრიტერიუმების, პროცედურების თუ ბარიერების გამო, რაც ნეიტრალურად გამოიყურება, თუმცა რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეიძლება ჩააყენოს უთანასწორო მდგომარეობაში და იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის მიზნის შესაფერისი და საჭირო მის მისაღწევად.

ამავე აქტის მიხედვით, ძალადობა არის მოპყრობის ფორმა, რომელიც ლახავს ადამიანის ღირსებას და დაკავშირებულია დისკრიმინაციასთან შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველზე.³⁷

ამ საკანონმდებლო რეგულაციების დარღვევისათვის კანონმდებლობა ითვალისწინებს კომპენსაციის გადახდის ვალდებულების დაკისრებას დამრღვევი პირისადმი, ხოლო სასამართლოს შეუძლია ბათილად გამოაცხადოს დისკრიმინაციული შეთანხმებები.

დისკრიმინაციისგან თავის დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა ომბუდსმენისთვის მიმართვა. შვედეთში არსებობს თანასწორობის ომბუდსმენი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება, სასამართლოში იდავოს იმ ინდივიდისთვის, რომელიც თავს დისკრიმინირებულად მიიჩნევს.

³⁷ შვედეთის თავდაპირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2011 წლის იანვარი, გვ. 41; <http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0?page=1>; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

თანასწორობის ომბუდსმენმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევები არ წარმოჩინდეს სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. იგი რჩევებით და სხვადასხვა საშუალებებით ეხმარება იმ პირს ადამიანს, ვინც დაექვემდებარა დისკრიმინაციას. ასევე იგი ვალდებულია გაავრცელოს ინფორმაცია, ჩაატაროს ტრენინგები, მოახდინოს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება საკანონმდებლო ორგანოში და სხვა.

გონივრული მისადაგება

შვედეთის დისკრიმინაციის აქტი მოიცავს დებულებებს გონივრული მისადაგების შესახებ დასაქმებისა და განათლების სფეროში. აღნიშნული განმარტების თანახმად, გონივრული მისადაგება იმგვარად უნდა იქნეს იმპლემენტირებული, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იმყოფებოდეს სხვებთან თანაბარ პირობებში.³⁸ ამ დეფინიციასთან დაკავშირებით ალტერნატიულ ანგარიშში ნათქვამია, რომ გონივრული მისადაგების პრინციპი სხვა სფეროებზეც უნდა გავრცელდეს და მისი გავრცელება მხოლოდ განათლებისა და დასაქმების სფეროებზე არასაკმარისია.³⁹

უნივერსალური დიზაინი

შვედეთის კანონმდებლობის თანახმად, უნივერსალური დიზაინი შესაძლოა აღიწეროს როგორც ხედავ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს საზოგადოების კონსტრუირება. უნივერსალური დიზაინი, ანუ დიზაინი ყველასთვის, რაც გამოყენებულია ევროპაში, შეიძლება აღიწეროს, როგორც დიზაინის მეთოდოლოგია, რაც გამოწვევებს უქმნის არსებულ შემოქმედებით ხერხებს არქიტექტურაში, დიზაინსა და სოციალურ დაგეგმარებაში სამიზნე ჯგუფების მისაწვდომობის გაფართოებისთვის, რათა რაც შეიძლება მეტი მოსარგებლის საჭიროება დაკმაყოფილდეს.⁴⁰

³⁸ შვედეთის თავდაპირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2011 წლის იანვარი, გვ. 7

<http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0?page=1>; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013);

³⁹ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტისადმი წარდგენილი შვედეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოძრაობის ალტერნატიული ანგარიში; გვ. 15.

<http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0?page=1>; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

⁴⁰ შვედეთის თავდაპირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2011 წლის იანვარი, გვ. 4;

<http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0?page=1>; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

ქესტების ენა

შვედეთის ენის აქტის თანახმად, ქესტების ენა გამოცხადებულია 5 ეროვნული უმცირესობის ენის თანასწორად. აქტში წერია, რომ საჯარო სექტორს აქვს სპეციალური პასუხისმგებლობა, დაიცვას და ხელი შეუწყოს შვედეთის ქესტების ენას. თუმცა, ამასთან დაკავშირებით ალტერნატიულ ანგარიშის ავტორები მიუთითებენ, რომ მიუხედავად საკანონმდებლო განმტკიცებისა, მთავრობის საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც მიმართულია ენის აქტის დებულებების და ეროვნული უმცირესობების ენების ხელშეწყობისკენ, არ მოიცავს ქესტების ენას.

5.2. დანია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

დანია გაეროს თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის სტანდარტულ წესებს იყენებს, სადაც ცნება „შეზღუდული შესაძლებლობა“ მოიცავს პირის მოკლებულ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს სრულად და ეფექტურად საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვა პირებთან თანაბარ პირობებში. ეს განსაზღვრება ასევე მიუთითებს იმ ბარიერებზე, რომელიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ამ უფლების განხორციელებაში. დანიის კანონმდებლობაში მოცემული განმარტების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობა განხილულია მხოლოდ გარემოსთან კავშირში.⁴¹

თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლება

დანიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ქმედუნარიანია, ვიდრე მეურვე დაენიშნებოდეს. კანონი მეურვეობის შესახებ განსაზღვრავს სხვადასვა ტიპის მეურვეობას. კანონის მე-6 თავი არეგულირებს იმ შემთხვევებს, როდესაც პირი კარგავს ქმედუნარიანობას, მათ შორის, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებს. კანონის მე-5 თავი მიემართება პირად და ეკონომიკური საკითხებს და შემთხვევებს, როდესაც პირი ქმედუნარიანობას ინარჩუნებს. კანონი ასევე განიხილავს სხვა შემთხვევებსაც. ყველა შემთხვევაში კი ქმედუნარიანობა იზღუდება იმ პირობით, რა

⁴¹ Fifth Disability High Level Group Report on the Implementaion of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; მაისი, 2012; გვ.30;
http://ec.europa.eu/justice/discrimination/files/dhlg_5th_report_en.pdf; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

პირობითაც ეს შეფასებულია აუცილებელ შეზღუდვად ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში.⁴²

5.3. ესპანეთი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცნება

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ესპანეთში UNCRPD-ის რატიფიცირებამდეც არსებობდა მის სტანდარტებთან შესაბამისი ტერმინოლოგია, მაინც საჭირო გახდა მისი გადახედვა და UNCRPD-ის დებულებებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა. მაგალითად, LIONDAU-ში მოცემული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დეფინიცია, თუმცა, რატიფიცირებამ მოითხოვა მისი შეცვლა და დღესდღეობით მასში მოცემული განმარტება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შესახებ სრულად შეესაბამება კონვენციით მიერ დადგენილ შინაარსს. ამ კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად მიიჩნევა პირი, ვისაც აქვს ხანგრძლივი ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევა, რომელმაც გარკვეული სახის ბარიერებთან ურთიერთქმედებაში, შესაძლოა მას შეუშალოს ხელი მიიღოს სრული და ეფექტური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორ საწყისებზე.⁴³

დისკრიმინაციისგან დაცვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და მათი დისკრიმინაციისგან დაცვის თვალსაზრისით ესპანეთის კონსტიტუციაში რატიფიცირებამდეც იყო ჩადებული სპეციალური ნორმები, ასევე ამასთან დაკავშირებული რეგულაციები არსებობს LIONDAU-ში. კერძოდ, ამ აქტის მეორე თავი ეძღვნება თანაბარ შესაძლებლობებს. LIONDAU-ის პირველ მუხლში მოცემულია, თანაბარი შესაძლებლობების უფლების დეფინიცია და ასევე ზომები, რომლებიც მთავრობამ უნდა მიიღოს აღნიშნულის გარანტირებისთვის. კერძოდ კი ანტი-დისკრიმინაციული და პოზიტიური სამოქმედო ზომები. დამატებით LIONDAU-ის მე-10 მუხლი ავალდებულებს მთავრობას, მოაწესრიგოს საბაზისო

⁴² Law on Guardianship (LBK nr 1015 af 20/08/2007)

⁴³ ესპანეთის თავდაპირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2010 წლის მაისი, გვ.5;

<http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0>; (ბოლო ნახვა 20. 09. 2013)

მდგომარეობა სხვადასხვა სფეროსა და მიმართულებებში მისაწვდომობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის მიზნით.

ესპანეთის მთავრობა დისკრიმინაციის თავიდან აცილების და თანასწორობის დამკვიდრების საშუალებად მიიჩნევს LIONDAU-ში არსებული დებულებების იმპლემენტაციის კვალდაკვალ საზედამხედველო მექანიზმების შექმნას და განსაზღვრულ შემთხვევებში სანქციების დაწესებას/გამოყენებას, სამოქმედო გეგმების და პროგრამების შემუშავებას, კონკრეტული რეგულაციებისა და სტანდარტების განმტკიცებას, რომელთა განხორციელებაზე სხვადასხვა სამინისტროების სპეციალური დეპარტამენტები არიან პასუხისმგებელნი.⁴⁴

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ესპანეთთან მიმართებით არსებული ალტერნატიული ანგარიში, რომელშიც მთავრობის მიერ დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები არაეფექტურად არის შეფასებული. ანგარიშში მითითებულია, რომ არსებობს ორი ძირითადი პრობლემა ზემოთ განხილული უფლებების დაცვის კუთხით. დარღვევებთან და სანქციებთან დაკავშირებით არსებული აქტი თანაბარი შესაძლებლობების და დისკრიმინაციის აკრძალვის კუთხით არაეფექტურია, რაზეც მეტყველებს დიდი რაოდენობის საჩივრები. ასევე პრობლემაა დროში გაწელილი სამართლებრივი პროცედურები, რასაც ცალკეულ შემთხვევებში გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს.

თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლება

ესპანეთში არსებობს ტრადიციული სამეურვეო ორიენტაციის სისტემა. პირის ქმედუუნაროდ აღიარება ხდება მენტალური დარღვევების მქონე პირის ოჯახის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსადმი წარდგენილი წერილობითი თხოვნის საფუძველზე. ამ თხოვნაში მითითებულია, რომ პირი საჭიროებს მეურვეს. ამ თხოვნის საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. სასამართლოს გადაწყვეტილებით თხოვნა პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ შეიძლება დაკმაყოფილდეს სრულად ან ნაწილობრივ. გადაწყვეტილებაში მიეთითება მეურვის ვინაობა.⁴⁵

პირის ქმედუუნაროდ აღიარების შემთხვევაში, მის ნაცვლად გადაწყვეტილებებს იღებს მისი წარმომადგენელი, რომელიც დანიშნულია სასამართლოს მიერ. ⁴⁶ თუმცა, ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 299-ე მუხლში მითითებულია ადვოკატის

⁴⁴ იქვე;

⁴⁵ ესპანეთი, სამართალსუბიექტობა, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 19.09.2013)

⁴⁶ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტისადმი წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში; ესპანეთი, 2010წ. გვ.9 <http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0>; (ბოლო ნახვა: 19.09.2013)

დანიშვნის წესზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მათი უფლებების დაცვის მიზნით, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირსა და მის წარმომადგენელს შორის.

5.4. ავსტრია

1992 წლიდან ავსტრია შეზღუდული შესაძლებლობის ჰოლისტიკური კონცეპტით ხელმძღვანელობს: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრება ყოფიერების მრავალფეროვან ფორმათაგან ერთ-ერთია“⁴⁷. კონცეფციაზე მუშაობის პროცესში ჩართული იყო **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საბჭო** (ქოლგა ორგანიზაცია DPO-თვის). კონცეფცია საკითხის მენისტრიმიზაციას ისახავს მიზნად და საზოგადოების მოვალეობად მიიჩნევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების დაცვას ნებისმიერ სფეროში პოლიტიკის დაგეგმარებისას⁴⁸.

დისკრიმინაციისგან დაცვა

1997 წლის საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად სახელმწიფომ ვალდებულება აიღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართებით თანასწორი მოპყრობის შესახებ. ავსტრიის კანონმდებლობის თანახმად, დისკრიმინაცია აღნიშნულ პირთა მიმართ სამართალდარღვევად ითვლება.

2006 წელს მიღებულ იქნა **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის აქტი**. ასევე ძალაში შევიდა შესწორება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების აქტში (რომელიც შეეხება დასაქმების დროს დისკრიმინაციის აკრძალვის შემოღებას) და ამოქმედდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფედერალური აქტის შესწორება, რომლის მიხედვითაც შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფედერალური ომბუდსმენის ოფისი. ამ სამ დოკუმენტს ერთად მოიხსენიებენ, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის პაკეტს.

დისკრიმინაციისაგან დაცვა, რასაც მოცემული პაკეტი არეგულირებს, მხოლოდ ფედერალური სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ეხება. ლანდებს, პროვინციებს,

⁴⁷ პირველი სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია; დეფინიციები, მუხლი 2; 5 ოქტომბერი, 2010, [http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf) (ბოლო ნახვა 23.09.2013)

⁴⁸ იქვე, ძირითადი პრინციპები, მუხლი 3

საკუთარ კანონმდებლობაში დამატებით ანტი-დისკრიმინაციული დებულებები აქვთ მიღებული.⁴⁹

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის აქტი ადამიანებს იცავს როგორც **პირდაპირი**, ასევე **არაპირდაპირი** დისკრიმინაციისაგან. ეს უკანასკნელი გულისხმობს დისკრიმინაციის იმგვარ შემთხვევებს, როდესაც პირი უთანასწორო მდგომარეობაშია ჩაყენებული შედარებით ნეიტრალური რეგულაციების, კრიტერიუმების, პროცედურებისა თუ ბარიერების გამო. პირდაპირი დისკრიმინაცია კი გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის გამო ადამიანი უთანასწორო მოპყრობის ობიექტია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ადამიანი. ამავე აქტით განმარტებულია ჩაგვრაც, რაც გულისხმობს: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ არასასურველი, შეუსაბამო ან უღირსი ქმედების განხორციელებას, რაც მიზნად ისახავს ან ლახავს პიროვნების ღირსებას, ამცირებს პირს ან ქმნის მტრულ თუ შეურაცხმყოფელ გარემოს მისთვის. აქტი ასევე ეხება იმ მითითებებს/დავალებებს, რომლებიც გაიცემა სხვების მიერ დისკრიმინაციული აქტების განხორციელებისათვის⁵⁰.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის აქტი ასევე ეხება დისკრიმინაციის იმგვარ შემთხვევებსაც, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომი არ არის საჯარო მოხმარების საქონელი და მომსახურება.⁵¹ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის პაკეტი აწესებს კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევებში.

აღსანიშნავია, რომ დავების სასამართლოში განხილვას ავსტრიაში ყოველთვის წინ უძღვის სავალდებულო შემრიგებელი პროცესი სოციალური საკითხების ფედერალურ ოფისში. შემრიგებელი პროცესების მიზანია, ხელი შეუწყოს დავის სასამართლოს გარეშე/გარეთ გადაწყვეტას. ეს შესაძლებელს ხდის, თავიდან იქნას აცილებული ხანგრძლივი და მოცულობითი სასამართლო საქმეები.

⁴⁹ პირველი სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, 5 ოქტომბერი, 2010, თანასწორობა დაანტიდისკრიმინაცია; მუხლი 5; [http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf) (ბოლო ნახვა 23.09.2013);

⁵⁰ იქვე; მუხლი 5

⁵¹ ავსტრია, ძირითადი საკანონმდებლო ბაზა, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

ქესტების ენა

2005 წლის სექტემბრიდან ქესტების ენა ავსტრიის ოფიციალურ ენად გამოცხადდა. მას ფედერალური სახელმწიფოს კონსტიტუცია ითვალისწინებს: „ავსტრიული ქესტური ენა წარმოადგენს დამოუკიდებელ ენას“.

სოციალური დაზღვევის ინსტიტუტებში რელევანტური მომსახურების მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს 2010 წლიდან შეუძლიათ მოითხოვონ ქესტური ენის თარჯიმნის უფასო მომსახურება⁵².

ამასთან, ავსტრიაში გარანტირებულია ყრუ, მხედველობა და სმენადაქვეითების მქონე ადამიანებისათვის ადმინისტრაციულ და სასამართლოს წარმოებებში მონაწილეობის შესაძლებლობა თანაბარ პირობებში. მათი კომუნიკაცია სახელმწიფო დაწესებულებებთან და სასამართლოებთან ხელშეწყობილია ქესტების ენის თარჯიმნებით, მათთვის დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობით, ბრაილით და სხვა რელევანტური მეთოდებით.

ავსტრიის სამაუწყებლო კომპანია, 2001 წლიდან ვალდებულია, ჰქონდეს სატელევიზიო პროგრამები სმენადაქვეითებულ და სიყრუის მქონე ადამიანებისთვის. კერძო აუდიო-ვიზუალური მედია მაუწყებლობები ასევე არიან კანონით ვალდებულნი, ეტაპობრივად შეძლონ საკუთარი მომსახურების ბარიერებისაგან განთავისუფლება სმენადაქვეითების მქონე ადამიანების სასარგებლოდ⁵³.

თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლება

ავსტრიის იუსტიციის ფედერალური სამინისტრო მიზანად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფას მათი ქმედების შეზღუდვის გარეშე.

⁵² პირველი სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, 5 ოქტომბერი, 2010, [http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf) (ბოლო ნახვა 23.09.2013)

⁵² ავსტრია, დამოუკიდებლად ცხოვრება, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

⁵³ ავსტრია, ქესტური ენა და ბრაილის შრიფტი სკოლებში, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს მეურვე ენიშნება სასამართლოს გადაწყვეტილებითა და შემთხვევის ინდივიდუალურად განხილვის საფუძველზე. სასამართლოვე განსაზღვრავს, თუ რა დონეზე შეზღუდება პირს სამართალსუბიექტობა.

ე.წ. suitable association შესაძლებელია დაინიშნოს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მზრუნველი. მზრუნველის დანიშვნის მექანიზმი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც პირის თავისებურებები და სოციალური მდგომარეობა მოითხოვს სპეციალური კვალიფიციური მხარდაჭერის აღმოჩენას სოციალური მუშაკისაგან. ხოლო იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტებს საავადმყოფოსა თუ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მხარდაჭერა აღმოუჩინონ, საჭიროა, **პაციენტის ომბუდს-პერსონის** დანიშნვა suitable association-ის მიერ. მოხუცებულთა თავშესაფრებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პირადი თავისუფლების უფლების უზრუნველსაყოფად suitable association-ები ნიშნავენ სპეციალურ პირებს - **რეზიდენტთა წარმომადგენლებს**.

სამივე ეს ინსტიტუტი - მეურვეობისა, პაციენტთა ომბუდს-პერსონისა და რეზიდენტთა წარმომადგენლისა - იუსტიციის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ ფუნქციონირებს და ფედერალური სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. იგივე სამინისტრო ზრუნავს ხარისხსა და პერსონალის გადამზადებაზე⁵⁴.

ავსტრიაში მოქმედი NGO-ები მეტად აკრიტიკებენ მეურვეობის შესახებ კანონმდებლობას ავსტრიაში, რადგან, მათი თქმით, ის უშვებს, რომ მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის სურვილების გაუთვალისწინებლად იქნას გადაწყვეტილებები მიღებული. მათივე შეფასებით, იზღუდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ავტონომიურობა, დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება და მეურვეობის სანაცვლოდ სათანადოდ არ არის განვითარებული ალტერნატიული მხარდაჭერის მოდელები.

განსაკუთრებულ კრიტიკას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ერთ მეურვეს უფლება აქვს 25-ზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის წარმომადგენელი იყოს. DPO-ები ასევე უარყოფითად აფასებენ რეგულაციას, რომლის მიხედვითაც, თუკი პირის მეურვეობა ოჯახის წევრებს აკისრიათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აღარ აქვს უფლება საკუთარ საბანკო ანგარიშზე.⁵⁵

⁵⁴ პირველი სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, 20, 5 ოქტომბერი, 2010, [http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf) (ბოლო ნახვა 23.09.2013)

⁵⁵ პირველი სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, 5 ოქტომბერი, 2010,

5.5. უნგრეთი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის განსაზღვრებას 1998 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტი შეიცავს, რომლის თანახმადაც, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან ადამიანები, რომლებსაც სრულად ან მნიშვნელოვნად აქვთ დაქვეითებული სენსორული (განსაკუთრებით მხედველობა და სმენა), მოტორიკული თუ გონებრივი უნარები, ან პირები რომლებსაც უჭირთ კომუნიკაცია და შესაბამისად, მუდმივად აწყდებიან დაბრკოლებებს სოციალურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისას.“⁵⁶

უნგრეთის სამართლებრივ ლექსიკონში ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ არ მოიაზრებს ფსიქო-სოციალური დარღვევის მქონე ადამიანებს.⁵⁷ ამიტომაც მათ უფლებები არ არის დაცული კანონმდებლობის რომელიმე კონკრეტული მუხლით. თუმცა, სახელმწიფოს განმარტებით, ფუნდამენტური უფლებებით უნგრეთში პრაქტიკულ დონეზე სარგებლობს განურჩევლად ყველა და არ ხდება არც ერთი ნიშნით (შესაბამისად, არც ფსიქო-სოციალური ნიშნით) მოქალაქეთა დისკრიმინაცია. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტმა ეს საკმარის არგუმენტად არ მიიჩნია უნგრეთის მხრიდან ეროვნულ დონეზე ამ კუთხით საკანონმდებლო ცვლილებების განუხორციელებლობისთვის.⁵⁸

თუმცა, UNCRPD-თან მიერთების შემდეგ ფსიქო-სოციალური დარღვევის მქონე პირთა წარმომადგენლები ჩართულნი არიან *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხთა ეროვნული საბჭოში*, სადაც ზოგადად სახელმწიფოსა და

[http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf) (ბოლო ნახვა 23.09.2013)

⁵⁶ სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტს, ოქტომბერი, 2010, კონვენციის ძირითადი დებულებები, პუნქტი 1;

http://www2.ohchr.org/SPdocs/CRPD/futuresession/CRPD.C.HUN.1_en.doc; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁵⁷ იქვე; მუხლი 1

⁵⁸ ძირითადი პრინციპები და ვალდებულებები, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კომიტეტის დასკვნა, სექტემბერი, 2012,

<http://womenenabled.org/pdfs/HUNGARY%20CRPD%20Concluding%20Observations%20WWD%20Highlights.pdf>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებადამცველ ორგანოებს შორის კონსულტაციები იმართება⁵⁹.

აღსანიშნავია, რომ უნგრეთს ჯერ არ გადაუხედავს 1998 წლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტისათვის“. დოკუმენტი UNCRPD-ის რატიფიცირების შემდეგაც იმ ფორმით არის შენარჩუნებული, რა ფორმითაც მანამდე იყო. იგი კვლავ სამედიცინო მოდელს ეფუძნება და სრულად უგულებელყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, ხოლო სოციალური და ეკონომიკური უფლებების მხოლოდ ძალიან კონკრეტულ ასპექტებს ეხება.

ამასთანავე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კრების ანგარიშებსა და დასკვნებში პრობლემურ საკითხადაა გამოყოფილი ის ფაქტი, რომ მოძველებული და სტიგმის ელემენტების შემცველი უნგრული ტერმინი, რომელითაც ინტელექტუალური შეფერხების მქონე პირებს ახასიათებენ, კვლავაც გამოიყენება. ამ ტერმინის დეფინიცია არ მოიცავს ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე ადამიანებს, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის პირველ მუხლს.

კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, 1998 წლის აქტი უნდა გაიდიხედოს და მოვიდეს სრულ შესაბამისობაში UNCRPD-ის პრინციპებთან. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული აქტი ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების ხედვას და ამკვიდრებდეს შეზღუდული შესაძლებლობის, როგორც სოციალური ფენომენის ინკლუზიურ გაგებას, რაც ყველა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის ფსიქო-სოციალური დარღვევების მქონე, პირებსაც მოიაზრებს.⁶⁰

დისკრიმინაციისაგან დაცვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს უნგრეთის ძირითადი კანონი შეიცავს. ასევე კონკრეტული დებულებები 1998 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის აქტშია (შემდგომში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტი) დაცული. ამასთან, დეტალური ანტიდისკრიმინაციული რეგულაციები განსაზღვრულია 2003 წელს მიღებული თანასწორი მოპყრობის აქტით. 2012 წელს

⁵⁹ კონვენციის ძირითადი დებულებები, პუნქტი 1, სახელმწიფოს ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტს, ოქტომბერი, 2010;

http://www2.ohchr.org/SPdocs/CRPD/futuresession/CRPD.C.HUN.1_en.doc; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁶⁰ ძირითადი პრინციპები და ვალდებულებები, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კომიტეტის დასკვნა, სექტემბერი, 2012,

<http://womenenabled.org/pdfs/HUNGARY%20CRPD%20Concluding%20Observations%20WWD%20Highlights.pdf>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

მიღებული შრომის კოდექსი ასევე ერთ-ერთი საკანონმდებლო დოკუმენტია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს იცავს.

გონივრული მისადაგება

გონივრულ მისადაგება მხოლოდ უნგრეთის შრომის კოდექსშია მოხსენიებული. 2012 წლის ამ დოკუმენტის 51-ე მუხლის მიხედვით: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისას შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა გონივრული მისადაგება იქნას უზრუნველყოფილ“.⁶¹ თუმცა, ზოგადი ხედვა⁶² დაფუძნებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის და არა ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების პრინციპზე. როგორც წესი, ინტეგრაციისთვის არ არის აუცილებელი მოხდეს გარემოს მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებთან, რის გარეშეც ინტეგრაციის აუცილებელი შედეგი არ არის ინკლუზიური საზოგადოება, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თანასწორობა სრულყოფილად იქნებოდა გარანტირებული. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კრება მიიჩნევა, რომ ამ დრომდე ტერმინი გონივრული მისადაგება უნგრეთში ხშირად უგულველყოფილია. კომიტეტის დასკვნაში უნგრეთის მთავრობამ მკაცრი მითითება მიიღო იმასთან დაკავშირებით, რომ კანონმდებლობა, რომელიც ნათლად არ განმარტავს „გონივრულ მისადაგებას“ დაუშვებელ დისკრიმინაციულ ქმედებას ახორციელებს⁶³.

უნივერსალური დიზაინი

ტერმინი „უნივერსალური დიზაინი“ ჯერ არ არის განმარტებული უნგრული კანონმდებლობის მიხედვით.⁶⁴ თუმცა, პარლამენტის რეზოლუცია 10/2006 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნულ პროგრამაზე ტერმინს შემდეგი მნიშვნელობით იყენებს: „უნივერსალური დიზაინის პრინციპი ნიშნავს, რომ

⁶¹ Act I of 2012 on the Labor Code; Section 51 (5);

<http://www.ilo.org/dyn/natlex/docs/MONOGRAPH/89886/103369/F-622727815/HUN89886.pdf>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁶² პარლამენტის რეზოლუცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნულ პროგრამაზე 10/2006 <http://www.szmm.gov.hu/download.php?ctag=download&docID=13606>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁶³ განსაკუთრებული უფლებები, მუხლები 5-30, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კომიტეტის დასკვნა, სექტემბერი, 2012, <http://womenenabled.org/pdfs/HUNGARY%20CRPD%20Concluding%20Observations%20WWD%20Highlights.pdf>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁶⁴ კონვენციის ძირითადი დებულებები, პუნქტი 21, სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტს, ოქტომბერი, 2010, http://www2.ohchr.org/SPdocs/CRPD/futuresession/CRPD.C.HUN.1_en.doc; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

სამყარო, რომელიც ჩვენს გარშემო არსებობს, არათუ უნდა გარდაიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შესაბამისად, არამედ ის დასაწყისშივე უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ მისაწვდომი იყოს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეეძლოთ მისი გამოყენება.”⁶⁵

ქესტური ენა

2009 წლის 125-ე აქტით სმენადაქვეითებულნი ლინგვისტურ უმცირესობას განეკუთვნებიან და ქესტური ენა სახელმწიფო ენად ცხადდება. 2009 წლის უნგრეთის ქესტური ენის აქტის მიხედვით, განათლება უნგრეთის ქესტურ ენაზე სავალდებულო იქნება ყრუ ბავშვებისთვის სპეციალურ სკოლებში 2017 წლიდან, ხოლო ინტეგრირებულ სკოლებში ეს სერვისი მისაწვდომი გახდება იმ შემთხვევაშიც კი თუ ერთი მშობელი აირჩევს მას⁶⁶.

2003 წლიდან უნგრეთში ქესტური ენის თარჯიმანთა სერვისის დანერგვა დაიწყო. უნგრეთში ფუნქციონირებს 19 სოფლის და 3 საქალაქო ქესტური ენის სერვის ცენტრი. ამგვარ ცენტრებს სამართლებრივი საფუძველი ქესტური ენის აქტმა მისცა.⁶⁷ აქტი განსაზღვრავს სმენა და სმენა-მხედველობადაქვეითებული ადამიანების კომუნიკაციის უფლებას სხვადასხვა ოფისებში ქესტური ენის თარჯიმანების მეშვეობით.

1996 წლის აქტი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის შესახებ ადგენს ვალდებულებას საჯარო განცხადებებსა, ახალი ამბებსა და ფილმებში გამოყენებულ იქნეს სუბტიტრები ან ქესტური ენა სულ ცოტა 2 საათის განმავლობაში 1 კალენდარული დღის მანძილზე. საათების ეს რაოდენობა 2015 წლისთვის დღეში 2 საათით უნდა გაიზარდოს⁶⁸.

⁶⁵ პარლამენტის რეზოლუცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნულ პროგრამაზე 10/2006 <http://www.szmm.gov.hu/download.php?ctag=download&docID=13606>, (ბოლო ნახვა: 24.09.2013);

⁶⁶ ხელმისაწვდომობა, Academic Network of European Disability Experts, http://www.disability-europe.net/dotcom?term%5B%5D=203&term%5B%5D=142&term%5B%5D=161&term%5B%5D=162&term%5B%5D=163&view_type=detail_list (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁶⁷ სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტს, ოქტომბერი, 2010, პუნქტი 60, http://www2.ohchr.org/SPdocs/CRPD/futuresession/CRPD.C.HUN.1_en.doc; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁶⁸ სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კონმიტეტს, ოქტომბერი, 2010, პუნქტი 61, http://www2.ohchr.org/SPdocs/CRPD/futuresession/CRPD.C.HUN.1_en.doc; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

5.6. გერმანია

დისკრიმინაციისაგან დაცვა

გერმანიის სამი მთავარი სამართლებრივი აქტი ადგენს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე. პირველ რიგში, ეს არის გერმანიის კონსტიტუციის მე-3 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ყველა პირის თანასწორობას კანონის წინაშე და ასევე ადგენს, რომ „არავინ შეიძლება ჩაყენებულ იქნეს უთანასწორო მდგომარეობაში შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.“ გერმანიაში ასევე მოქმედებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ეროვნული აქტი, რომელიც ძალაში 2002 წელს შევიდა და ითვალისწინებს მისაწვდომობის უზრუნველყოფას ყველასათვის. იგი ძირითადად საჯარო სექტორს ეხება, თუმცა, აქვს გარკვეული მოქმედების არეალი კერძო სექტორზე. ამ დროისთვის გერმანიის ყველა ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედებს თანასწორობის შესახებ კანონები, რათა შესრულდეს მისაწვდომობის ფედერალური სტანდარტები. შესაბამისად, გერმანიას ამ მიმართებით აქვს 16 აქტი ფედერალურ დონეზე და ერთი ეროვნული აქტი. მესამე საკანონმდებლო აქტს კი წარმოადგენს ზოგადი თანასწორობის აქტი, რომელიც ძალაში 2006 წელს შევიდა. ის იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დისკრიმინაციისაგან სამუშაო ადგილზე და სამოქალაქო ურთიერთობებში. კანონი ასევე აფუძვლებს ახალ ინსტიტუტს ფედერალურ ანტიდისკრიმინაციულ სააგენტოს, რომელიც მიზნად ისახავს კვლევების განხორციელებას, დისკრიმინაციული პრაქტიკის მონიტორინგს, ცნობიერების ამაღლებას და ამ თემაზე საჯარო დოსკურსის არსებობის სტიმულირებას.⁶⁹

თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლება

გერმანიაში მეურვეობა (მზრუნველობა) შეიძლება დაინიშნოს, თუ პირს არ შესწევს შესაძლებლობა, მართოს საკუთარი საქმეები ყოველდღიური ცხოვრებაში. აღნიშნულ რეგულაციებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს. ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია პირის მდგომარეობაზე. მეურვეობა შეიძლება დადგინდეს შემდეგი მიზეზებით: მენტალური დარღვევები, დემენცია, მაღალი ხარისხის ინტელექტუალური დარღვევები (კოგნიტური ხასიათის) და სხვა ქრონიკული მდგომარეობა, რაც პირს არ აძლევს შესაძლებლობას, იზრუნოს საკუთარ საქმეებზე.

⁶⁹ ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო, გერმანია; Academic Network of European Disability Experts; <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდამჭერის ინსტიტუტი, რომელსაც კონცენციის მე-12 მუხლი ითვალისწინებს ჯერ კიდევ არ არის დანერგილი გერმანიის საკანონმდებლო სივრცეში.⁷⁰

ქესტების ენა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ეროვნული აქტის (მუხლი 6, პარაგრაფი 1) თანახმად, ქესტების ენა 2002 წლიდან აღიარებულია, როგორც ოფიციალური ენა.⁷¹

5.7. ბელგია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცნება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დეფინიცია, რომელიც სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში არის გაბნეული აჩვენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცნების ევოლუციას სამედიცინო მოდელიდან სოციალურ-კულტურულ მოდელამდე. მიუხედავად ამისა, მაინც ნათელია, რომ პარადიგმის ცვლილება UNCRPD-ის მიზნებისთვის ნაწილობრივია. მაგალითად, დეფინიციები საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზნებისათვის, რომლებიც გასული საუკუნის 70-იან წლებში არსებობდა და სამედიცინო მოდელს ეფუძნება, კვლავ გამოიყენება.⁷²

ბელგიის კანონმდებლობაში არ არის შეზღუდული შესაძლებლობის ნათელი და უნივერსალური განმარტება.⁷³ კერძოდ, პირი, რომელიც ერთი კანონის განმარტებით ხვდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დეფინიციაში, შესაძლოა, სხვა

⁷⁰ იქვე

⁷¹ იქვე

⁷² GRIP (2011). Human Rights and Persons with Disabilities. Shadow report Flanders (Belgium), Brussel, België. Randnummer 2;

⁷³ Federale Overheidsdienst Sociale Zekerheid (2011). *Implementatie van het VN-Verdrag inzake de Rechten van Personen met een Handicap: eerste periodiek verslag van België*. Brussel, België. Randnummer 4

კანონში მოცემული ცნების მიხედვით, იგი გამორიცხული იყოს კანონის მოქმედებისაგან.⁷⁴

დისკრიმინაციისაგან დაცვა

ბელგიასა და ფლანდრიაში დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა საკმაოდ კარგად არის განვითარებული. ამიტომაც შეზღუდული შესაძლებლობის გამო დისკრიმინაციისგან დაცულობის ზოგადი დონე საკმაოდ ნორმალურია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორობა და მათი დაცვა დისკრიმინაციისგან ემყარება ბელგიის კონსტიტუციას და ასევე სხვა სამთავრობო დონის საკანონმდებლო რეგულაციებს.

ფედერალურ დონეზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ნორმები მოცემულია შემდეგი ტიპის კანონმდებლობებში:⁷⁵

- ანტიდისკრიმინაციული სამართალი;
- ანტირასისტული სამართალი;
- გენდერის სამართალი;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ისევე, როგორც სხვა პირები, სარგებლობენ ამ კანონმდებლობით. თუმცა, სრული სამართლებრივი დაცვის გარანტირებისთვის ბელგიის მიერ სხვადასხვა ზომები იქნა მიღებული (ყესტების ენის თარჯიმნების ჩათვლით).

10/05/2007 ანტიდისკრიმინაციული კანონი კრძალავს ყველანაირი ფორმის პირდაპირ თუ არაპირდაპირ დისკრიმინაციას, დისკრიმინაციის დავალებას/მითითებას და დაშინებას, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, არსებული ან სამომავლო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ანტიდისკრიმინაციული სამართალი ვრცელდება საჯარო ცხოვრების მრავალ სფეროზე, დასაქმებასა, სასაქონლო და მომსახურებების სექტორსა, ყოველ ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკური ღონისძიებასა და სოციალური დაცვაზე.

⁷⁴ GRIP (2011). *Human Rights and Persons with Disabilities. Shadow report Flanders (Belgium)*. p. 9-10, Brussel, België

⁷⁵ Law on combating certain acts of discrimination, B.S., 30 May 2007

თანასწორი სამართალსუბიექტობის უფლება

ბელგიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ყოველი ადამიანი გამონაკლისის გარეშე მოიაზრება საკუთარ მოქმედებებზე პასუხისმგებლად. თუმცა, ეს პრინციპი არ ვრცელდება კანონით დადგენილ სამართლებრივი ქმედუნარობის შემთხვევებზე.⁷⁶

არსებული კანონმდებლობა, რომელიც ეხება ქმედუნარიანობის საკითხებს არ არის UNCRPD-ის მოთხოვნებთან თანხვედრაში. სხვადასხვა საკანონმდებლო რეგულაცია ქმედუნარობის შესახებ, არ რთავს მოსამართლეებს ნებას, იმოქმედონ ინდივიდუალური შემთხვევების შეფასებისა და პროპორციულობის პრინციპებით.

ბელგიაში თითქმის არ არსებობს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერას მათი სამართლებრივი ქმედუნარიანობის განხორციელებისას. თუმცა, მხარდაჭერით გადაწყვეტილების მიღების წესს ენიჭება უპირატესობა უფლებამონაცვლის მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან შედარებით.⁷⁷ სხვისი მხარდაჭერით გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს იმას, რომ პირს შეუძლია გააკეთოს დამოუკიდებელი არჩევანი და დაიხმაროს სხვა პირი, რომელიც გააკეთებს მისი არჩევანის ინტერპრეტირებას და მისი სურვილების განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა ბელგიაში პრაქტიკულ დონეზე განვითარებული, საკანონმდებლო დონეზე მაინც არ მომხდარა მისი გამყარება.⁷⁸

ჟესტების ენა

„ფლამანდრიული ჟესტების ენა“ დარეგისტრირებულია ოფიციალურ ენად.⁷⁹ ერთ-ერთი ბელგიური საინფორმაციო საშუალება (VRT) უზრუნველყოფს მისაწვდომობას სატელევიზიო არხებზე მხედველობის და სმენის შეზღუდვის მქონე პირებისათვის. 2012 წლის დასასრულს ყველა ახალი ამბების პროგრამა გადაიცემა სუბტიტრებით. 2014 წლის დასასრულისთვის VRT ყველა შემეცნებით და საინფორმაციო გადაცემას სუბტიტრებს დაამატებს.⁸⁰

⁷⁶ Federale Overheidsdienst Sociale Zekerheid (2011). *Implementatie van het VN-Verdrag inzake de Rechten van Personen met een Handicap: eerste periodiek verslag van België*. Brussel, België. Randnummer 55

⁷⁷ <http://www.un.org/disabilities/default.asp?id=242>

⁷⁸ GRIP (2011). *Human Rights and Persons with Disabilities. Shadow report Flanders (Belgium)*. p. 20-23, Brussel, België

⁷⁹ Federale Overheidsdienst Sociale Zekerheid (2011). *Implementatie van het VN-Verdrag inzake de Rechten van Personen met een Handicap: eerste periodiek verslag van België*. Brussel, België. Randnummer 89

⁸⁰ GRIP (2011). *Human Rights and Persons with Disabilities. Shadow report Flanders (Belgium)*. p.33-36, Brussel, België

6. მისაწვდომობა

6.1. შვედეთი

შვედეთის მთავრობა ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის და თანასწორობის პრინციპის უზრუნველსაყოფად. ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამოქალაქო სერვისების ხელმისაწვდომობას, სამშენებლო გარემოში ადვილად აღმოფხვრადი დაბრკოლებების აღმოფხვრას და მისაწვდომი საზოგადოებრივ ტრანსპორტის ხელშეწყობას.

ზემოთმოყვანილი მიზნების მიღწევისა და მისაწვდომობის პროცესის გააქტიურების მიზნით, 2010 წელს შვედეთის პარლამენტმა მიიღო დაგეგმარების და მშენებლობის აქტი. ეს აქტი აწესებს ზოგად ნორმებს ფიზიკური გარემოს შესახებ და ადგენს შენობების მისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაადგილებისა და ორიენტაციისთვის. დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტი იმგვარად განსაზღვრავს შენობების მოწყობის წესს, რომ მისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ამავე აქტის თანახმად, ადვილად აღმოფხვრადი დაბრკოლებები დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს. ეს მოთხოვნა ვრცელდება როგორც კერძო, ისე საჯარო საკუთრებაში მყოფ შენობა-ნაგებობებზე.⁸¹

მთავრობამ ასევე მიიღო აქტი ბინების მისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის გრანტების გამოყოფის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს გრანტების გამოყოფას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმული პირების ბინების მისაწვდომობას მათი მოთხოვნების შესაბამისად. 2008 წელს დაახლოებით 75 000 ბინაზე გაიცა მსგავსი გრანტი და ამ მიზნისთვის გახარჯულმა თანხამ 959 მილიონ დოლარს მიაღწია.

შვედეთის საკანონმდებლო ჩარჩო გარანტირებულს ხდის ტრანსპორტის და მობილური სერვისების შესაბამისობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მოთხოვნებთან და საჭიროებებთან. საგანმანათლებლო აქტი ასევე მოიცავს დებულებებს უსასყიდლო სასკოლო ტრანსპორტის შესახებ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჯარო ტრანსპორტის მისაწვდომობა გრანტირებულია სპეციალური სატრანსპორტო აქტით (1979) და 1980 წელს მიღებული სპეციალური რეგულაციით. შვედეთის სატრანსპორტო

⁸¹ სამშენებლო გარემოს ხელმისაწვდომობა, შვედეთი, Academic Network of European Disability Experts; <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

ადმინისტრაცია, შვედეთის საზღვაო ადმინისტრაცია და შვედეთის სატრანსპორტო სააგენტო თანამშრომლობენ და შეიმუშავენ ინიციატივებს, გეგმებს და ახორციელებენ მონიტორინგს მისაწვდომობაზე. ამ ფუნქციის განხორციელებისას შვედეთის სატრანსპორტო ადმინისტრაციას კოორდინატორის ფუნქცია აქვს. ისინი ასევე პასუხისმგებელი არიან შესაბამისი რეგულაციის შემუშავებაზე.⁸²

შვედეთში მოქმედი რეგულაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პოლიტიკის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო დაწესებულებებთან დაკავშირებით (SFS 2001:526) შეეხება შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლების ვალდებულებას, მათი მოქმედებებისა თუ ინიციატივების შესახებ ინფორმაცია მისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ამგვარი ვალდებულება არ ეკისრებათ მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული პროცედურების აქტის (1986) მე-8 მუხლში აღნიშნულია, რომ როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელს ურთიერთობა აქვს ისეთ პირთან, რომელმაც კარგად არ იცის შვედური ენა ან აქვს გარკვეული დარღვევები სმენასთან, მხედველობასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს თარჯიმანის დახმარება.

შვედეთის მთავრობამ ასევე შეიმუშავა სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპები ვებ-გვერდების მისაწვდომობასთან დაკავშირებით.⁸³

შვედეთის ეროვნულმა სასამართლო ადმინისტრაციამ განავითარა სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს, რომ არც ერთი ადამიანი, სტუმარი თუ თანამშრომელი, არ იქნეს გამორიცხული სასამართლო ღონისძიებებიდან და საქმიანობიდან შეზღუდული შესაძლებლობის გამო. ამავე მიზნისთვის შვედეთის ყველა სასამართლოს ვებ-გვერდი მისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაც. იგი მოიცავს როგორც მარტივად წასაკითხ ზოგად ინფორმაციას, ასევე აქვს ხმოვანი კითხვის რეჟიმიც.

მათთვის, ვინც მონაწილეობას იღებენ სასამართლო პროცესებში, აქვთ სასამართლოების მიერ ორგანიზებულ სპეციალურ კურსებს დასწრების შესაძლებლობა, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების, ადამიანის უფლებების, ბავშვთა უფლებების და დისკრიმინაციის შესახებ სწავლებას. ეს კურსები ხელმისაწვდომია თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაც.

⁸² იქვე, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა
⁸³ იქვე, ვებ-გვერდების ხელმისაწვდომობა

დისკრიმინაციის თემას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს შვედეთის ციხის და პრობაციის სამსახურიც და აწყობს სხვადასხვა ტრეინინგებს, რაც შესაბამისი კანონმდებლობის და ადამიანის უფლებების სწავლებას ითვალისწინებს.⁸⁴

6.2. დანია

დანიაში არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. თუმცა, დანიის კანონი „ტრანსპორტის შესახებ“ ავალდებულებს კომპანიებს შექმნან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტრანსპორტის მომსახურების სერვისი, რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეღავათიანი პირობებით ისარგებლებენ; მათ წელიწადში 104 მგზავრობა მაინც უნდა შესთავაზონ თითოეულ პირს. 2010 წელს ტრანსპორტის სამინისტრომ გამოაქვეყნა „ტრანსპორტის მისაწვდომობის სტრატეგია“, რომლის მიზანია სატრანსპორტო სისტემისთვის ეფექტური და პრაქტიკული პოლიტიკის შექმნა. ამ პოლიტიკის განვითარებასთან ერთად, ტრანსპორტის დეპარტამენტმა გახსნა დიალოგის პლატფორმა, სადაც განხილული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მომსახურებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შენობების მისაწვდომობის უზრუნველყოფი მოწყობილობით აღჭურვა 2010 წლიდან რეგულირდება მშენებლობების შესახებ სპეციალური აქტით R10. აქტის შესაბამისად, ეტლით მოსარგებლებს შეუძლიათ ბარიერების გარეშე შეაღწიონ ყველა შენობაში. აღნიშნული აქტი ასევე კატეგორიზაციას აძლევს ყველა შენობას მისაწვდომობის მიხედვით, მაგალითისთვის, C-ნიშნული, ნიშნავს, რომ შენობა ნაკლებად არის მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, B-არის სტანდარტული დაშვებადობის განმსაზღვრელი, ხოლო A-უმაღლესი სტანდარტია, როგორცაა, მაგალითად, საავადმყოფოს შენობები. ამგვარ კატეგორიზაციას ახორციელებს შესაბამისი ასოციაცია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შენობების მისაწვდომობაზე მუშაობს. ამ ნიშნულის მისაღებად შენობა უნდა აკმაყოფილებდეს აქტით გათვალისწინებულ სტანდარტებს.⁸⁵

⁸⁴ შვედეთის თავდაპირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2011 წლის იანვარი, გვ. 22-23;

<http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0?page=1>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁸⁵ ხელმისაწვდომობა, დანია; Academic Network of European Disability Experts; <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

6.3. ესპანეთი

LIONDAU – ს თანახმად, მისაწვდომობა არის ერთ-ერთი არსებითი წინაპირობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფუნდამენტური უფლებების განსახორციელებლად. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, სამეფო დეკრეტები. მაგალითად, სამეფო დეკრეტი #366/2007 ადგენს მისაწვდომობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის სტანდარტებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და საჯარო ადმინისტრაციას შორის ურთიერთობების დროს.

დეკრეტი 1494/2007 ეხება რეგულაციებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ახალი ტექნოლოგიების, პროდუქციის და საზოგადოებრივი და სოციალური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესახებ სერვისების მისაწვდომობას.

ასევე შემუშავებულ იქნა LIONDAU – ს პირველი მისაწვდომობის გეგმა (2004-2012 წ.წ), რომელიც ეფუძნება თანაბარი შესაძლებლობების, დამოუკიდებელი ცხოვრების, მდგრადი განვითარებისა და ჩართულობის პრინციპებს. გენერალურმა დირექტორატმა შეაგროვა შესაბამისი ინფორმაცია შენობების და სხვადასხვა სამინისტროების მისაწვდომობასთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია მოიცავს ხუთ ასპექტს: შეფასებას, წინადადებებს, საბიუჯეტო შეფასებას, პრიორიტეტებს და საფეხურებრივ გეგმას. იგი ფარავს გარემოს მოწყობის ყველა ასპექტს.⁸⁶

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების, დისკრიმინაციის აკრძალვის და უნივერსალური მისაწვდომობის შესახებ კანონის 51/2003 მე-7 მუხლში მოცემულია გონივრული მისადაგების განსაზღვრება, რომელიც შესაბამისობაშია UNCRPD-ით დადგენილ ცნებასთან.

სამეფო დეკრეტში (505/2007) გამყარებულია მისაწვდომობის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვის საბაზისო პირობები, ურბანული საჯარო სივრცისა და შენობების გამოყენების თვალსაზრისით. # 51/2003 კანონი კი ადგენს, რომ ახლადშექმნილი საჯარო სივრცეები და სახლები მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

საკუთრების შესახებ კანონის 49/1960 თანახმად, უზრუნველყოფილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა. მაგალითად, გზების, რკინიგზის, პორტების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნეს

⁸⁶ ესპანეთის თავდაპირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2010 წლის მაისი, გვ.10

<http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0>; (ბოლო ნახვა 19. 09.2013)

მისაწვდომობის უნივერსალური სტანდარტების დანერგვა, რათა არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დისკრიმინაცია.⁸⁷

ესპანეთში ავტონომიურ რეგიონებს ეკისრებათ ექსკლუზიური პასუხისმგებლობა მათ ტერიტორიებზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. სამეფო დეკრეტი 1544/2007 არეგულირებს საბაზისო პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მისაწვდომობასთან, დისკრიმინაციის აკრძალვასთან და ტრანსპორტით სარგებლობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. რეგულაციები ეხება უშუალოდ ტრანსპორტს და ასევე მშენებლობას და მოწყობილობებს, რაც ტრანსპორტთან არის დაკავშირებული.

ესპანეთში არსებობს 2004-2012 წლების მისაწვდომობის უზრუნველყოფის ეროვნული გეგმა, რომელიც ასევე მოიცავს ამ მიმართულებით გასატარებელ პოლიტიკას. მისაწვდომობის ეროვნული გეგმის მიზანია, ესპანეთში შეიქმნას მოდელი – „დიზაინი ყველასათვის“.

კანონი 51/2003, რომელშიც საუბარია ინფორმაციის მისაწვდომობაზე, არ აწესებს პირდაპირ სამართლებრივ ვალდებულებას აღნიშნული პრინციპის აღსრულებაზე. კანონის მე-12 მუხლში მითითებულია, რომ საჯარო ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს და ხელი შეუწყოს ინფორმაციულ ღონისძიებებს, ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, ტრენინგებს და ასევე სხვა საშუალებებს, რაც ხელს შეუწყობს თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის დამკვიდრებასა და, ამ თვალსაზრისით, დისკრიმინაციისაგან დაცვას. თუმცა, ამავ კანონის მიხედვით, სასურველია, რომ მთავრობამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში, ინფორმაციისთან და ახალი მედიის მისაწვდომობასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, პროდუქტებისა და სერვისების მისაწვდომობისთვის შექმნას საბაზისო პირობები. ასევე კანონი 34/2002 საჯარო ადმინისტრაციას აკისრებს ვალდებულებას, მიიღოს შესაბამისი ზომები, ინფორმაციის მისაწვდომობისთვის.⁸⁸

6.4. ავსტრია

ავსტრიის არსებული კანონმდებლობის მიხედვით, მისაწვდომობის უზრუნველყოფა არ არის სავალდებულო საჯარო თუ კერძო უწყებებისთვის. თუმცა, ბარიერებისაგან გათავისუფლების რეალიზებას ეხმარება დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონმდებლობა.

⁸⁷ სამშენებლო გარემოს ხელმისაწვდომობა, ესპანეთი; Academic Network of European Disability Experts; <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁸⁸ ვებ-გვერდების ხელმისაწვდომობა, ესპანეთი; Academic Network of European Disability Experts; <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

მაგალითად, ყველა ტიპის სატრანსპორტო მომსახურებას შეეხება ავსტრიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ფედერალური აქტი. ავსტრიაში საჯარო ტრანსპორტის კომპანიები ვალდებული არიან, 2015 წლამდე ყველა სატრანსპორტო საშუალება მისაწვდომი გახადონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. აქტის მიხედვით, გათვალისწინებულია ფინანსური სანქციის დაკისრება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე მატერიალური თუ არამატერიალური ზარალის მიყენების შემთხვევაში, თუმცა, ეს ბარიერებისაგან განთავისუფლებაზე ვალდებულების აღებას არ გულისხმობს.

ტრანსპორტის სქემის გადაკეთება კი ვენაში „ორი შეგრძნების პრინციპის“ მიხედვით ხდება - მხედველობა/სმენა, სმენა/შეხება, მხედველობა/შეხება⁸⁹.

ავსტრიაში საჯარო შენობებისა და კერძო დაწესებულებების მისაწვდომობასთან მიმართებით არსებული მიდგომები იდენტურია ტრანსპორტის მისაწვდომობასთან.

ფედერალური აქტის მიხედვით, 2015 წლამდე შენობების მისაწვდომობასთან დაკავშირებით დაწესებულმა ვადებმა 2019 წლამდე გადაიწია (დამატებითი საბიუჯეტო სახსრების მოზიდვის მიზეზით). ფედერალური აქტი ის დოკუმენტია, რომლის საფუძველზეც ზარალის მიმყენებელს შეიძლება კომპენსაციის გადახდის ვალდებულება დაეკისროს, თუმცა, ეს არ ნიშნავს ბარიერების გაუქმების შესახებ საკანონმდებლო მოთხოვნების არსებობას.

გარდა ფედერალური კანონმდებლობისა, მშენებლობის საკითხები რეგულირდება ავსტრიის 9 სხვადასხვა პროვინციის კანონმდებლობებით. ტექნიკური რეგულაციები დაგეგმარებასა და მშენებლობასთან დაკავშირებით შეიძლება განსხვავდებოდეს პროვინციების მიხედვით, თუმცა, არ არსებობს ერთიანი ანგარიში/ანალიზი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ამ კუთხით მთელ ავსტრიაში. 2005 წელს ავსტრიის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც სოციალურ საქმეთა სამინისტროსაგან ითხოვდა, ყველა პროვინციასთან საერთო სამშენებლო და დაგეგმარებითი კონტრაქტი შეემუშავებინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომი გარემოს შესაქმნელად. ამის საფუძველზე ავსტრიის სამშენებლო ინჟინერიის ინსტიტუტმა შესაბამისი სახელმძღვანელო შეიმუშავა მშენებლობისა და დაგეგმარების მისაწვდომობისთვის, რის საფუძველზეც 2012 წლისთვის ხუთმა ლანდმა ეს სტანდარტები სავალდებულო რეგულაციებად მიიღო შენობების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის

⁸⁹ პირველი სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, 5 ოქტომბერი, 2010, მუხლი 9, ხელმისაწვდომობა, [http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf), (ბოლო ნახვა 23.09.2013)

უზრუნველსაყოფად. თუმცა, ჯერაც არ არსებობს ანგარიში, რომელშიც ასახული იქნებოდა პროგრესი, კერძოდ, სრულად გატარდა ცვლილებები აღნიშნულ სახელმძღვანელოებში მოცემული პრინციპების მიხედვით თუ მხოლოდ ნაწილობრივ; ასევე, გაურკვეველია, თუ როდის გახდება დანარჩენ 4 ლანდში იგივე სტანდარტების დაკმაყოფილება სავალდებულო⁹⁰.

გარდა ამისა, მრავალი ტიპის სტანდარტი განავითარა ავსტრიის სტანდარტების ინსტიტუტმა, რომელიც ძირითადად შეეხებოდა შენობა-ნაგებობებისა და ტრანსპორტის მისაწვდომობას, რასაც „დიზაინი ყველასათვის“ ჰქვია. ამ სტანდარტს რეკომენდაციის სახე აქვს, თუმცა, რეგულაციებს ახალი შენობების აშენებისას უკვე იცავენ.

ამ მხრივ კანონმდებლობაში ძალიან დიდია თავად ლანდის პრეროგატივა. მაგალითისათვის, ვენაში სავალდებულოა, რომ შენობა, რომელიც აგებულია სულ ცოტა 50 ვიზიტორისთვის ან მომხმარებლისთვის (საჯარო, საგანმანათლებლო, სპორტული, ფარმაცოლოგიული, სამლოცველო თუ სხვა სოციალური დანიშნულების) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ბარიერებისაგან თავისუფალი უნდა იყოს.

სამუშაო გარემოს მისაწვდომობის საკითხებს ფარავს აქტი ჯანმრთელი და უსაფრთხო დასაქმების შესახებ. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების 2007-2012 წლის სტრატეგიის ნაწილი იყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამუშაო ადგილების ბარიერებისაგან განთავისუფლებას. ამ მიზნით გამოქვეყნდა კრებული, რომელიც ბარიერებისაგან თავისუფალი სამუშაო გარემოს მოდელს შეეხებოდა⁹¹.

მისაწვდომობა ავსტრიაში ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით საშუალოზე დაბალია. ელ-წყაროების შეფასება ხდება WCAG (Web Content Accessibility Guidelines 1.0) სტანდარტების მიხედვით, რომელთა დაკმაყოფილების ვალდებულებაც „ინიციატივა ელ-ევროპის“ ფარგლებში ევროკავშირის ქვეყნებმა ერთობლივად აიღეს.

2004 წელს მიღებული კანონის ელექტრონული მმართველობის შესახებ მიხედვით, ავსტრიაში 2008 წლიდან ყველა სახელმწიფო/საჯარო ვებ-გვერდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომია და აღნიშნულ სტანდარტებს შეესაბამება. რაც შეეხება კერძო კომპანიების ვებ-გვერდების ელ-სერვისების

⁹⁰ ავსტრია, ხელმისაწვდომობა, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

⁹¹ ავსტრია, ხელმისაწვდომობა, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

მისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, მათ ფარავს მომხმარებელთა დაცვის აქტი. ხშირია შემთხვევები, როდესაც დისკრიმინაციის არსებობის დადასტურების მიზნით NGO-ებს სარჩელი შეაქვთ ისეთი კერძო ვებ-გვერდების წინააღმდეგ, როგორებიცაა ავიაკომპანიები თუ მობილური კომუნიკაციის სექტორი.⁹²

6.5. უნგრეთი

მისაწვდომობის უზრუნველყოფას 1998 წლის უნგრეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტი ფარავს. მისაწვდომობა აღნიშნული აქტის 2009 წლის შესწორების მიხედვით იქნა განმარტებული და შეეხება სამ კატეგორიას: მისაწვდომობას მომსახურებაზე, შენობებსა და ინფორმაციაზე.⁹³

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტის მე-5 მუხლის მიხედვით: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს აქვთ უფლება უნივერსალურ არქიტექტორულ გარემოზე, რომელიც მისაწვდომი და უსაფრთხოა მათთვის.“⁹⁴

პრობლემურ საკითხად რჩება ის ფაქტი, რომ რატიფიცირების შემდეგ სახელმწიფომ სათანადოდ არ იზრუნა მისაწვდომი გარემოს შესაქმნელად. უნგრეთის სახელმწიფომ დააწესა ვადები, რომლის მიხედვითაც ვალდებულება აიღო კონკრეტული თარიღებისთვის უზრუნველყო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სერვისების მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. შესაბამისი კანონმდებლობა ძალაში 2010 წლის 31 დეკემბრამდე უნდა შესულიყო. საგანმანათლებლო, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისები, ისევე როგორც მუნიციპალური მომსახურება 2008, 2009 და 2010 წლის 31 დეკემბრისთვის შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო.⁹⁵

⁹² ევროპაში ელ-ხელმისაწვდომობის პროგრესი, 2008 <http://www.eaccessibility-progress.eu/country-profiles/austria/websites/>, (ბოლო ნახვა 23.09.2013)

⁹³ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კრების ალტერნატიული ანგარიში, აგვისტო, 2010; გვ.64 http://mdac.info/sites/mdac.info/files/english_crpd_alternative_report.pdf; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁹⁴ Position No. 10.007/3/2006. TT; Equal Treatment Advisory Board on the obligation of providing accessibility, სექტემბერი, 2006; http://www.egyenlobanasmod.hu/data/AB_sp103.pdf; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁹⁵ უნგრეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კრების პარალელური ანგარიში, სექტემბერი, 2012; გვ.6-7; http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:JPwUeytQiSgJ:mdac.info/sites/mdac.info/files/commcprd_hu_september2012.pdf+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

თუმცა, 2012 წლის მონაცემებით, ცვლილებების გატარებისთვის დაწესებულმა ვადებმა უშედეგოდ ჩაიარა. ამგვარმა ზომებმა ვერ უზრუნველყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გარანტირება. მაგალითისათვის, 2010 წლის 31 დეკემბრისათვის საჯარო ტრანსპორტი უნდა გამხდარიყო ფიზიკურად მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, თუმცა უნგრეთის სახალხო დამცველის ოფისის ჩატარებული კვლევის მიხედვით გადაადგილების საშუალებათა 81 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილების 97%, და სარკინიგზო ტრანსპორტის 90.3% არ არის მისაწვდომი. ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მისაწვდომობაზე კი არ არსებობს სანდო ინფორმაცია მსგავსი სტატისტიკის წარმოსადგენად.

როგორც ეს გაეროს კომიტეტისთვის წარდგენილ სახელმწიფო დოკუმენტშიცაა ნახსენები, ზემოთ აღნიშნული ვადების ამოწურვის დღიდან მოქალაქეებს სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმეების აღძვრა შეუძლიათ, იმ ვალდებულებებთან მიმართებით, რაც სახელმწიფომ თავის თავზე აიღო და ვერ შეასრულა დათქმულ ვადებში. უნგრეთის სახელმწიფომ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად ევროკავშირის ფონდიდან დამატებით 27 მილიონამდე ევრო მიიღო 2011-2013 წლის პერიოდში. ამასთან ქვეყანაში კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება შეფასების სისტემა, კერძოდ, სახელმწიფოს არ გააჩნია მისაწვდომობის შეფასების გეგმა და საამისოდ საჭირო მექანიზმებიც.

2012 წლის სექტემბერში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კრების მიერ მომზადებულ დოკუმენტში (ალტერნატიული ანგარიში) წუხილი დაფიქსირებული იყო იმასთან დაკავშირებით, რომ მისაწვდომობის კვლევა ჯერაც არ იყო დაწყებული. სახელმწიფოს არ ჰქონდა წამოწყებული შესყიდვების პროცესი და არც ის ორგანიზაციები ჰყავდა გამოვლენილი, რომელთაც კვლევა უნდა განეხორციელებინათ. შესაბამისად, რადგან ათასობით სოფელი და შენობა იქნებოდა გამოსაკვლევია, კრება არადამაჯერებლად მიიჩნევა დაპირებას იმის შესახებ, რომ პროცესი წლის ბოლომდე დასრულდებოდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კრების შეფასებაში შენიშვნაა გამოთქმული იმასთან დაკავშირებითაც, რომ ზოგ შემთხვევებში, სახელმწიფომ შენობების მისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესში გარკვეული ნაბიჯები უკანაც კი გადადგა. მაგალითისათვის, შემოიღო ახალი ცნება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ გამოყენებული შენობის ნაწილი“. DPO-ები, რომლებიც კონსულტაციების პროცესში არ ჩართეს, არ ეთანხმებიან ამ ტერმინის გამოყენებას. სახელმწიფომ DPO-ებს მხოლოდ მაშინ მიმართა, როდესაც ცვლილების პროექტზე მუშაობა თითქმის დასრულებული იყო.

2009 წლის ბრძანებულების (27/2009 (XII.3.)) „დამხმარე ძალების წვრთნაზე, გამოცდასა და გამოყენებაზე“ მიხედვით, პატრონი და მწვრთნელი უფლებამოსილნი

არიან ძალი გამოიყენონ საჯარო მომსახურების დაწესებულებებში, სერვის-პროვაიდერების ტერიტორიაზე.⁹⁶

უნგრეთში მოქმედებს შესაბამისი ნორმები, რომლებიც ქვეყანას აკისრებს ვალდებულებას ბარიერებისგან თავისუფალი შენობებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების მისაწვდომობის უზრუნველყოფაზე ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი მასობრივი საშუალების სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა და ნაგებობების აგება ხდება ევროკავშირის დაფინანსებული პროექტების მიხედვით.⁹⁷

სოციალურ საქმეთა და სოციალური დახმარებების 1993 წლის აქტის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია ინფორმაციაზე მისაწვდომობაზე უფლება. მისაწვდომობა სავალდებულოა, როდესაც ინფორმაცია სოციალურ სერვისებს ეხება⁹⁸. ინფორმაციაზე მისაწვდომობაზე უფლება ასევე დაცულია 1998 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტით და 2003 წლის თანასწორი მოპყრობის აქტით. 2005 წლის მთავრობის ბრძანებულება კი არეგულირებს ვებ-გვერდებზე განთავსებულ საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე მისაწვდომობის წესებს .

6.6. გერმანია

გერმანიაში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გარემოს თანასწორ მისაწვდომობას ითვალისწინებს, ადგენს, რომ ეროვნულ დონეზე საზოგადოებრივი ტრანსპორტი მისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის თანაბრად. 2012 წლიდან სპეციალური ცვლილებები განხორციელდა კანონში, რომელმაც დამატებით აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის აუცილებელია სრული მისაწვდომობის მიღწევა. თუმცა, ტრასებზე მოძრავი ავტობუსების შეღწევადობის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს 2019 წლამდე.⁹⁹

⁹⁶ სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კონმიტეტს, ოქტომბერი, 2010, პუნქტი 62;

http://www2.ohchr.org/SPdocs/CRPD/futuresession/CRPD.C.HUN.1_en.doc; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁹⁷ სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტს, ოქტომბერი, 2010, პუნქტი 63-64;

http://www2.ohchr.org/SPdocs/CRPD/futuresession/CRPD.C.HUN.1_en.doc; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

⁹⁸ იგივე, პუნქტი 59;

⁹⁹ Section 8 BGG – Disability Equality Act. National Passenger Transport Act [Gesetz zur Änderung personenbeförderungrechtlicher Vorschriften], parliamentary decisions and legal changes: <http://dipbt.bundestag.de/extrakt/ba/WP17/378/37838.html>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯარო შენობების მისაწვდომობას, ეს წესი ეხება როგორც ახალ შენობებს, ასევე ძველი შენობების კონსტრუქციებს. თექვსმეტივე ფედერალურ მიწას იდენტური კანონები აქვთ, რომლებიც არეგულირებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შენობის მისაწვდომობას.¹⁰⁰

6.7. ბელგია

ბელგიაში საკანონმდებლო დონეზე მოხდა გარკვეული ზომების მიღება ინფრასტრუქტურასთან და სადგურებთან დაკავშირებით (ბაქანები, შესასვლელი ზონები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირების საჭიროებები). ბელგიის ფედერალურ სახელმწიფოსა და სამ ეროვნულ ასოციაციას (NMBS Group) შორის არსებობს კონტრაქტი, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსონალურ მობილობას. NMBS Group ასევე სთავაზობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვადასხვა შეღავათებს, მათ შორის სამგზავრო ფასდაკლებებს.¹⁰¹

ამასთან, ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს 2006 წლის 5 ივლისის 1107/2006 რეგულაცია,¹⁰² რომელიც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ბელგიის კანონმდებლობის ნაწილი გახდა. ის იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილების დროს. ბელგიის საზღვაო და შიდა ფლოტილიის სამართალი განსაზღვრავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე უნდა გავრცელდეს ანტიდისკრიმინაციული მიდგომა გემით მგზავრობისას.

საჯარო ტრანსპორტის შესახებ პოლიტიკური შეთანხმებით ბრიუსელში (MIVB) განვითარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტრანსპორტის მისაწვდომობის სტრატეგია.

ბელგიის ეროვნული რკინიგზის კომპანიამ (NMBS) მიიღო გარკვეული ზომები რკინიგზის სადგურების (ბაქანების, მისაწვდომი ზონების და ა.შ.) ინფრასტრუქტურის

¹⁰⁰ Section 8 BGG – Disability Equality Act; Additional links: Section 4 Disability Equality Act of North Rhine-Westphalia (one of 16 examples of an accessibility act at the federal level)

¹⁰¹ ბელგია, ხელმისაწვდომობა; Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹⁰² იხ. ბმული: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2006:204:0023:003:nl:PDF>; (ბოლო ნახვა 23.09.2013);

გასაუმჯობესებლად. ავტობუსის კომპანიებმა იგივე ღონისძიება განახორციელეს, რათა მათი ტრანსპორტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მეტად მისაწვდომი ყოფილიყო.

ფლამანდრიის მთავრობა უზრუნველყოფს საჯარო ტრანსპორტის მისაწვდომობის გაზრდას. ამასთანავე, იგი აფინანსებს სატრანსპორტო სერვისებს იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ ისარგებლონ ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტით;

ფლამანდრიის მობილობის მინისტრი აღნიშნავს, რომ არსებობს მისაწვდომი ტრანსპორტის ნაკლებობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ფლამანდრიის მთავრობამ განახორციელა რამდენიმე ინიციატივა საპილოტე პროექტების სახით, თუმცა, ჯერ კიდევ არ არის მიღებული გადაწყვეტილება მისაწვდომი სატრანსპორტო სერვისების სისტემის განვითარების მიმართულებით;

2005-2010 წლების პოლიტიკური შეთანხმებაში ვალუნის რეგიონსა და საჯარო ტრანსპორტს (SRWT და TEC) შორის მოცემულია რამდენიმე სპეციალური მიზანი, მაგალითად, უფრო დაბალი იატაკები ავტობუსებში და მისაწვდომი ბაქანები;

2010 წლის 9 ივლისის დეკრეტი (COCOF) ეხება დისკრიმინაციის გარკვეულ ფორმებთან ბრძოლას და გონივრული მისადაგების კონცეფციას. 2009 წლის 28 მაისის დეკრეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საზოგადოებრივ სივრცეებზე მისაწვდომობის შესაბამისი სერვისების შესახებ, აწესებს ტექნიკურ, არქიტექტურულ, ფუნქციურ და ბიჰევიორულ ასპექტებს სოციალური სივრცის მისაწვდომობისთვის.

ფლამანდრიის 2009 წლის 5 ივნისის დეკრეტი საზოგადოებრივი ნაგებობების მისაწვდომობასთან დაკავშირებით ეხება რეგიონული ურბანული განვითარების რეგულაციას.

ვალონის 1995 წლის კოდექსი მიწის მართვის, ურბანული დაგეგმარების, მემკვიდრეობის და ენერჯის (CWATUPE) შესახებ, კერძოდ კი მისი 414-ე და 415-ე მუხლები, ახდენს საჯარო და კერძო შენობების მისაწვდომობის ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მაგალითად, ბრიუსელის მეტროპოლიტენის რეგიონში არსებობს რეგიონული ურბანული განვითარების რეგულაცია, რომელიც საჯარო სივრცის მისაწვდომობას ეხება.

ბელგიის მიერ კომიტეტისათვის წარდგენილი ანგარიში აჩვენებს, რომ სამთავრობო დონის ყველა აქტორი კარგად აცნობიერებს მისაწვდომობის მნიშვნელობას. თუმცა, მისაწვდომობის პრობლემა არასაკმარისად არის გათვალისწინებული სახელმწიფოს

შესაბამის პოლიტიკაში. თუმცა, ქვეყანაში მისაწვდომობის დაბალი ხარისხი მაინც არ არის მიჩნეული არსებით პრობლემად.¹⁰³

ბელგიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფორუმი¹⁰⁴, რომელიც გაეროს კომიტეტისათვის წარდგენილი ალტერნატიული ანგარიშის ავტორია, ნათლად წარმოაჩენს სამომავლო სრული მისაწვდომობის ხედვას. ის ასევე მიუთითებს, რომ ხშირად მისაწვდომობის ცნება და მისი გაგება ლიმიტირებულია ფიზიკური და კიდევ უფრო სპეციფიური, ეტლების მისაწვდომობით. ისინი აცხადებენ, რომ სამთავრობო ზომები ვრცელდება ძირითადად ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებზე. თითქმის არ არსებობს ამგვარი ზომები სმენითი, მხედველობითი ან ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე პირების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ბელგიამ განავითარა სისტემა ერთგვარი ხარისხის ნიშნისა (label) ყველა ინტერნეტ ვებ-გვერდების მისაწვდომობის მიზნით. სამთავრობო დაწესებულებების ვებ-გვერდები უკვე შეიცავს ამ ნიშანს. ასევე ჯგუფს „თანაბარი შესაძლებლობები ფლანდრიაში“ სურს მოახდინოს ინფორმაციის მისაწვდომობის სტიმულირება კერძო ორგანიზაციების და მედიის მხრიდან. ვალონიის მთავრობა მუშაობს ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე, რათა მოახდინოს ამ ნიშნის (label) რეალიზება ყველა ვებ-გვერდისთვის. ამას ასევე ცდილობს ბრიუსელის მეტროპოლიტენის რეგიონი.

მოწყვლადი ადამიანებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მართლმსაჯულებაზე ეფექტური მისაწვდომობის გარანტიების მიზნით ბელგიაში გატარდა სხვადასხვა ზომები:

- უფასო სამართლებრივ უზრუნველყოფე მისაწვდომობაზე;
- სამართლებრივი პროცესების დროს თარჯიმანის მისაწვდომობა;
- სასამართლო დეპარტამენტის მიერ გარანტირებულია სასამართლოს ყველა შენობა-ნაგებობის ფიზიკური მისაწვდომობა.

¹⁰³ იხ. ბმული: <http://www.ejustice.just.fgov.be/cgi/api2.pl?lg=nl&pd=2009-01-13&numac=2008029672>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹⁰⁴ The Belgian Disability Forum (BDF) აერთიანებს ბელგიის 19 DPO ორგანიზაციას

7. განათლება

7.1. შვედეთი

შვედეთის საგანმანათლებლო სისტემა დაფუძნებულია ინკლუზიის პრინციპზე. შედეგად, შვედეთში ბავშვებისა და ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი განათლებას რეგულარული ფორმის განათლების ფარგლებში იღებს. მხოლოდ ბავშვების 1.7% იღებს არარეგულარულ განათლებას. კერძოდ, ამ კატეგორიაში მოიაზრებიან ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეები და ბავშვები ცალკეული შეზღუდული შესაძლებლობით.

განათლების აქტის თანახმად, ყველა ბავშვს და ახალგაზრდას, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა, სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობისა, თანაბრად უნდა მიუწვდებიდეს ხელი ეროვნულ სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემაზე.¹⁰⁵

7.1.1. სასკოლო განათლება

ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებას წარმოადგენს უზრუნველყოს ყველა მოსწავლე უფასო სასკოლო ტრანსპორტით დაწყებით კლასებსა და საჭიროების შემთხვევაში მაღალ კლასებშიც. მუნიციპალიტეტი ასევე ვალდებულია, ყველა ბავშვს სულ მცირე 525 უფასო საათი შესთავაზოს. სკოლაში გადასახადის მაქსიმალური ტარიფიც განსაზღვრულია.

შვედეთში ფუნქციონირებს სკოლის საზედამხედველო სამსახური, რომელიც დაარსდა 2008 წელს ეროვნული ზედამხედველობისა და განათლების ხარისხის შესაფასების მიზნით.

ყრუ, სმენადაქვეითებული, მხედველობადაქვეითებული ან რაიმე სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის არსებობს სპეციალური სკოლები, რომელთაც ოპერირებას სპეციალური საჭიროებების განათლების ეროვნული სააგენტო ახორციელებს. შვედეთის სკოლის სამართალის მე-7 თავში (SFS 2010:800) მოცემულია, რომ ბავშვები, რომლებსაც არ შეუძლიათ 9 წლიანი სავალდებულო განათლების მიღება, აქვთ შესაძლებლობა სპეციალური ინტელექტუალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილ სკოლაში

¹⁰⁵ შვედეთის პირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2011 წლის იანვარი, გვ. 4; <http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0?page=1>; (ბოლო ნახვა 18.09.2013);

ისწავლონ, რომელთა ინტეგრირება ასევე შესაძლებელია სავალდებულო დაწყებით და ასევე საშუალო სკოლებთან. სპეციალური სკოლებში ამ ეტაპზე სწავლობს 500-მდე მოსწავლე.

ბავშვის ამგვარ სკოლებში მიღება ხდება პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სოციალური შეფასებების საფუძველზე. ძირითადად აუცილებელია ბავშვის მეურვის თანხმობა, ამგვარ სკოლებში მისაღებად. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, აღნიშნული შესაძლებელია მეურვის თანხმობის გარეშეც თუ ეს გამომდინარეობს ბავშვის ინტერესებიდან.¹⁰⁶

შვედეთის სკოლებში უმთავრესი პრინციპია „სკოლა ყველასთვის“. მოსწავლეები, რომლებიც საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას უფლებამოსილი არიან, მიიღონ იგი. სკოლებს სპეციალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ მოსწავლეების მიმართ, რომლებსაც აქვთ გარკვეული სიმძნელები განათლების მიზნების მიღწევაში. სკოლის დირექტორს ეკისრება ვალდებულება, გამოარკვიოს, რომელიმე მოსწავლეს ესაჭიროება თუ არა დამატებითი მხარდაჭერა, რა სახის მხარდაჭერა სჭირდება და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები.¹⁰⁷

შვედეთის სკოლის სამართალი აღიარებს ჟესტების ენას განათლების საგნად. სკოლის რეგულაციის თანახმად, სკოლებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ ჟესტების ენის სწავლება თუ ამას მოითხოვს ხუთი მოსწავლე მაინც.

დისკრიმინაციის აქტის თანახმად, განათლების სისტემაში დისკრიმინაცია აკრძალულია. ეროვნული განათლების სისტემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ დამატებითი განათლება. განსაკუთრებით, მათ, ვინც მიიღო მხოლოდ დაწყებითი განათლება, ეძლევათ შესაძლებლობა, განათლების დონის ამაღლებით გააძლიერონ თავიანთი მდგომარეობა სამსახურში, კულტურულ ან პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოზარდთა განათლება ხორციელდება სამსაფეხურეობრივი სისტემით საბაზისო, საშუალო და დამატებითი განათლების საფეხურებით. მთავრობა დამატებით უზრუნველყოფს განათლების მიწოდებას იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ განათლების დაბალი დონე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფია ფიზიკური ან ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირები და დაუსაქმებელი ადამიანები.¹⁰⁸

¹⁰⁶ შვედეთი, სპეციალიზებული სკოლები, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹⁰⁷ იქვე, მეინსტრიმული სკოლები

¹⁰⁸ იქვე, პროფესიული გადამზადება

7.1.2. უმაღლესი განათლება

შვედეთის კანონმდებლობის თანახმად, ყველა უნივერსიტეტმა და კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობა.

შვედეთის უნივერსიტეტებში და ინსტიტუტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდასაჭერად მუშაობენ კოორდინატორები. ისინი სხვადასხვა სერვისებს აწოდებენ სტუდენტებს, მაგ. უზრუნველყოფენ მათთვის ნიშნების ენის ინტერპრეტატორის მისაწვდომობას, კითხვაში მხარდაჭერას, პერსონალურ მხარდაჭერის სერვისის მიწოდებას. ასევე უწევენ მათ სხვადასხვა ტექნიკურ მხარდაჭერას, მაგ. საშუალებას აძლევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს ისარგებლონ სპეციალურად აღჭურვილი ოთახებით, გამოცდებზე აძლევენ ხანგრძლივ დროს. აგრეთვე, არსებობს ალტერნატიული გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა. კოორდინატორების მეშვეობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ხმოვანი წიგნებითა და ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნებით.¹⁰⁹

7.2. დანია

7.2.1. სასკოლო განათლება

დანიაში არ არსებობს კანონი სპეციალური განათლების შესახებ, უფრო მეტიც, ის ინტეგრირებულია კანონში განათლების შესახებ. შესაბამისად, სპეციალური განათლება საჯარო განათლების სისტემის განუყოფელი ნაწილია. მხოლოდ 2008 წელს, განათლების სამინისტრომ დაიწყო სკოლის განვითარების პროექტის „ნაკლები სპეციალური განათლება, მეტი პროფესიონალიზმი და ინკულიზიის გაღრმავება“ განხორციელება, რომელშიც 22 მუნიციპალიტეტმა მიიღო მონაწილეობა. პროექტი ასევე მოიცავდა პედაგოგიური პრაქტიკის განვითარებას, რათა უფრო მეტი მოსწავლე შეენარჩუნებინათ ჩვეულებრივ სკოლებში.¹¹⁰

სპეციალურ სკოლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადამისამართების შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტი იღებს. სპეციალური განათლების ხარჯები დაფარულია ჩვეულებრივი სკოლის მიერ, რომელიც

¹⁰⁹ იქვე, უმაღლესი განათლება

¹¹⁰ The Public School Law, LBK nr 998 af 16/08/2010; დანია; სასკოლო განათლება, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

დაფინანსებას მუნიციპალიტეტებისგან იღებენ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების შეფასება და საბოლოო გამოცდები სავალდებულოა. არსებობს ასევე პრეტენზიების მიღების დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ეხება ადგილობრივ სპეციალურ განათლებას მოსწავლეებისათვის, რომელთაც ჭირდებათ სწავლებისას სპეციალური მხარდაჭერა.¹¹¹

განათლების სამინისტროს გამოთვლებით, 2009 წლის მდგომარეობით დაფინანსების დაახლოებით 20 პროცენტი სპეციალურ განათლებაზე დაიხარჯა.

ქესტების ენის შესწავლა ცალკე უფლებად არ მოიზრება, თუმცა, მოსწავლეებს რომლებსთვისაც აუცილებელია ამგვარი მხარდაჭერა, შესაძლებლობა აქვთ, მოითხოვონ მხარდაჭერა ჩვეულებრივ სკოლებსა და სპეციალურ სკოლებში.¹¹²

7.2.2. უმაღლესი განათლება

კანონი უმაღლესი განათლების სფეროში არ განსაზღვრავს არადისკრიმინაციულ მიდგომას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით. თუმცა, კანონმდებელი უზრუნველყოფს რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თანასწორი დაშვება ჰქონდეთ და შეძლონ სწავლების დაწყება/დასრულება. სწავლების მხარდაჭერის სისტემა მოიცავს სპეციალურ მხარდაჭერას სტუდენტებისთვის. მათ სწავლებაზე 1.081 ევრო იხარჯება, რომელიც აღემატება ჩვეულებრივ შემთხვევაში სტუდენტის სწავლის დაფინანსების ოდენობას. დახმარებას იღებს დაახლოებით 4.000 სტუდენტი, აქედან ნახევარი გონებრივი, მეორე ნახევარი კი ფიზიკური დარღვევების საფუძველზე.

სტუდენტებს, რომელთაც უმაღლეს სასწავლებლებში ჭირდებათ სპეციალური პედაგოგიური მხარჭერა, უფლება აქვთ, მოითხოვონ ქესტების ენაზე სწავლა და სხვა სახის მხარდაჭერა, სპეციალური პედაგოგიკური მხარდაჭერის შესახებ კანონის მიხედვით.¹¹³

¹¹¹ დამატებით ინფორმაციისათვის იხილეთ ბმული: <http://www.uvm.dk/Uddannelser-og-dagtilbud/Folkeskolen/Specialundervisning> The Appeal Board's homepage <http://www.klagenævnet.dk>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹¹² Executive Order No. 1375, 15/12/2005; Danish blind society, ob. ბმული: www.dkblind.dk; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹¹³ Study Support Law (LBK nr 661 af 29/06/2009)

7.3. ესპანეთი

ესპანეთის მთავრობამ მიიღო განათლების ორგანიზების აქტი, რომელიც ემყარება განათლების მიღების უფლების ყველასთვის თანაბრად მინიჭების პრინციპს, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ინკლუზიას, დისკრიმინაციის აკრძალვას. ამ უფლებებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადასხვა გზებით.

7.3.1. სასკოლო განათლება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინტეგრაციის სამართალი მოწოდებულია, მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაცია რეგულარული განათლების სისტემაში. სპეციალური განათლების სისტემა, რომელიც შესაძლოა იყოს დროებითი ან მუდმივი, ფუნქციონირებს ისეთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომლებისთვისაც შეუძლებელია ჩვეულებრივი საგანმათლებლო სისტემაში ჩართვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორი უფლებები აღიარებულია ეროვნულ კანონმდებლობაში და ასევე სხვადასხვა სამთავრობო სტრატეგიებში. ორგანული კანონი განათლების შესახებ 2/2006 ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფს განათლების უფლებას. ესპანეთში ფინანსური და პერსონალური მხარდაჭერა მისაწვდომია დაწყებითი და საშუალო განათლების ეტაპებზე, თუმცა ამგვარი მხარდაჭერა მოზარდებისთვის შედარებით ნაკლებია.

სავალდებულო განათლება მოიცავს მრავალმხრივ მხარდამჭერ ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ინტეგრირების უზრუნველსაყოფად, მათ შორის სკოლაში მისაწვდომი გარემოს შესაქმნელად, გადაადგილებისთვის, ურთიერთობისთვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად, სპეციალური კურიკულუმების მოსამზადებლად. დამატებითი მხარდაჭერა აქვთ სპეციალიზებულ მასწავლებლებს, ფსიქოთერაპევტებს, ფსიქოლოგებს, მეტყველების თერაპევტებს. ასევე სკოლებში არის სპეციალური სასწავლო მეთოდები და საშუალებები, მათ შორის ბრაილის შრიფტი, ტაქტილური სენსორული სტიმულაცია, სივრცესა და დროში ორიენტაციის, ჟესტების ენის და ალტერნატიული კომუნიკაციის სისტემები. მენისტრიმულ კლასებში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობაა 25, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რიცხვი მათ შორის შეიძლება იყოს

მაქსიმუმ ორი. არსებობს სპეციალური მეთოდები განათლების სისტემაში პროგრესის შესაფასებლად, მაგალითად, დაკვირვებები, კითხვარები და ინტერვიუები.¹¹⁴

მხედველობის და სმენის პრობლემების მქონე მოსწავლეებს აქვთ უფლება ისწავლონ ბრაილის ან ქესტების ენა სკოლებში. თუმცა, უსინათლო ბავშვები ბრაილს სწავლობენ არა სკოლებში, არამედ უსინათლოთა ეროვნულ ორგანიზაციაში ONCE და სხვადასხვა ასოციაციებში.¹¹⁵

იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ ინკლუზიური განათლების მიღება, მხოლოდ ორი საგანმანათლებლო დონე არსებობს: საბაზისო სავალდებულო განათლება (6-იდან 16 წლამდე) და დამატებითი პროფესიული ტრენინგი ან პროგრამები (16-იდან 19 წლამდე). სტუდენტები ამგვარ ინსტიტუციებში შეიძლება მაქსიმუმ 20 წლამდე დარჩნენ, გამონაკლის შემთხვევაში კი 21 წლამდე. სპეციალურ საკლასო ოთახებში ერთ მასწავლებელზე შეიძლება მიმაგრებული იყოს 10-12 ბავშვი, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ან სმენის სერიოზული დაქვეითება, 8-12 ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვი, 6-8 გარკვეული შეზღუდულობის მქონე მოსწავლე და 3-5 აუტისტური ან მწვავე პიროვნული პრობლემების მქონე ბავშვი.¹¹⁶

7.3.2. პროფესიული გადამზადება

ესპანეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს გადამზადების პროგრამებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით მათი სოციუმში და შრომის ბაზარზე ჩართულობის მხარდასაჭერად. პოლიტიკის მთავარი ცვლილებები, რაც ბოლო წლებში განხორციელდა უკავშირდება შემდეგ ღონისძიებებს: 1. ორგანული კანონით „განათლების შესახებ“ (LOE, 2006, 2/2006) დაინერგა ახალი დაწყებითი პროფესიული კვალიფიკაციის პროგრამები. 2. სამეფო დეკრეტით 1538/2006, განათლების სისტემაში შეიქმნა ორგანიზაცია პროფესიული გადამზადებისთვის 3) შეიქმნა დასაქმების პროფესიული ტრენინგის ციკლი სახელწოდებით განგრძობადი პროფესიული განათლება და ტრენინგი, რომელიც სამეფო დეკრეტის 395/2007 მიხედვით განისაზღვრა. ავტონომიურ დონეებზე არსებობს ვალდებულება ამ თვალსაზრისით სხვადასხვა კურსების განხორციელებისა. სტუდენტებს, რომლებსაც სავალდებულო საშუალო განათლების მიღება არ შეუძლიათ, სპეციალური საგრანტო პროგრამებით სარგებლობენ. ორგანულ კანონში „განათლების შესახებ“ ასევე მოცემულია ზომები პოზიტიური მოქმედებებისთვის (მუხლი 75), სადაც

¹¹⁴ ესპანეთი, მეინსტრიმული სკოლები, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹¹⁵ იქვე, ნიშნების ენა და ბრაილი სკოლაში

¹¹⁶ იქვე, სპეციალიზებული სკოლები

მითითებულია, რომ საგანმანათლო დაწესებულებებმა უნდა გამოყონ ადგილების გარკვეული ქვოტა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების პროფესიული მომზადებისთვის.¹¹⁷

7.3.3. უმაღლესი განათლება

ესპანეთში უნივერსიტეტები არ არის სპეციალურად დაქვემდებარებული დისკრიმინაციის აკრძალვის კანონებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით. თუმცა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტებს აქვთ თავიანთი ნორმატიული კანონმდებლობა, მაგ. ორგანული კანონი „უნივერსიტეტების შესახებ“, რომელიც ატარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორობის პოლიტიკას. ასევე სამეფო დეკრეტში 1393/007 მოცემულია საუნივერსიტეტო სწავლების ორგანიზება და ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის გარკვეული ზომები თანასწორი მისაწვდომობისთვის.

საუნივერსიტეტო დონეზე არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ოფისი, რომელშიც სტუდენტს შეუძლია მიიღოს შემდეგი სახის პრაქტიკული მხარდაჭერა: კურიკულუმების ადაპირება, გამოცდების დროს მხარდაჭერა, მოხალისეობრივი მხარდაჭერა, ბრაილით თარგმნა, ჟესტების ენაზე ინტერპრეტირება და ა.შ. საშუალო განათლების ჩათვლით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, უფასოდ მიიღონ უმაღლესი განათლება საჯარო უნივერსიტეტებში.

7.4. ავსტრია

7.4.1. სასკოლო განათლება

დაწყებითი განათლების მიზნებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაცია რეგულარულ სკოლებში 1993 წელს დაკანონდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლებს მიენიჭათ არჩევანის უფლება თავიანთი შვილები სპეციალურ სკოლებში შეიყვანონ თუ ჩვეულებრივ სასწავლებლებში. 1996 წელს არჩევანის უფლება დაკანონდა V-IX კლასის დონეზეც. თუმცა, სპეციალური

¹¹⁷ იქვე, პროფესიული ტრეინინგი

სკოლები კვლავ აქტუალურია ავსტრიაში. ამასთან, ლანდებს შორის სკოლების ინტეგრაციის ხარისხი ძალზე განსხვავდება ერთმანეთისგან (35%-80%).

იმ შემთხვევაში თუ მშობლები გადაწყვეტენ, რომ ბავშვმა ინტეგრირებულ გარემოში უნდა ისწავლოს, უბნის სასკოლო საბჭო კანონით არის ვალდებული სპეციალური ზომები მიიღოს ოჯახის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად.

ინკლუზიური განათლება ორი სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება: 1. ინტეგრირებულ კლასებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები სხვა ბავშვებთან ერთად მუშაობენ კლასში და 2. სრულ განაკვეთზე დაქირავებულ, სპეციალურად გადამზადებულ, მასწავლებელთან ერთად. ინდივიდუალური ინტეგრაციისას ერთ ან ორ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს ამეცადინებს სპეციალურად გადამზადებული მასწავლებელი საათობრივი დატვირთვით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სკოლის ასაკის ბავშვები, რომლებიც ჩვეულებრივ სკოლებში არ დადიან, სავალდებულო სასკოლო განათლებას სპეციალურ სკოლებში ან სპეციალურ კლასებში იღებენ. სპეციალური სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა გულისხმობს 11 განსხვავებული სასკოლო დეპარტამენტის არსებობას, სადაც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი შემოთავაზებები და მხარდაჭერა სხვადასხვა უნარის მქონე ბავშვებისათვის. უკვე რამდენიმე წელია, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა 50%-ზე მეტი ავსტრიაში ინტეგრირებულ კლასებში სწავლობს. ეს კი იქიდან გამომდინარეობს, რომ დაწყებითი სკოლების ნახევარზე მეტში ინტეგრირებული კლასებია შექმნილი, V-IX კლასებში კი 2/3-ია ასეთი. ფიზიკური და სენსორული შეზღუდვის მქონე მოსწავლეებისათვის სპეციალური დამატებითი მხარდაჭერის პროგრამები მოქმედებს.

ფიზიკური და სენსორული შეზღუდვის მქონე ადამიანები უმეტესწილად ინტეგრირებულნი არიან პროფესიულ ტექნიკუმებში, კომერციის, ბიზნესის, სოციოლოგიის, ტურიზმისა და ხელოვნების სკოლებში. მოსწავლეები, რომლებმაც სპეციალური მოთხოვნების შესაბამისად უკვე მიიღეს სავალდებულო სასკოლო განათლება მეცხრე კლასის ბაზაზე, ინტეგრირებული არიან ბიზნესისა და სხვადასხვა მიმართულების სკოლებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის შექმნილი ეს კურსები შესაძლოა ორ წელიწადზე გადანაწილდეს და ეს ისევ და ისევ მეცხრე სასკოლო წლად ჩაითვალოს¹¹⁸. ამას გარდა, მეცხრე კლასის

¹¹⁸ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საბჭოს მოხსენება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ წარმოდგენილ საკითხთა ნუსხაზე, განათლება

შემდეგ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ შესაძლებლობა, სწავლა გააგრძელონ ინტეგრირებული პროფესიული გადამზადების კურსებზე. შედეგად, 2010 წელს 4750-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი გადამზადდა და პროექტში მონაწილე კომპანიების ¾ -ს მათი დასაქმების საშუალება მიეცა.

გაურკვეველია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ფედერალური აქტი, რომელიც პროდუქციასა და სერვისებზე მისაწვდომობას ფარავს, ასევე ეხება განათლებაზე მისაწვდომობის უფლებასაც თუ არა. მართალია, სახელმწიფომ ფედერალურ დონეზე უკვე დაიწყო სკოლების მისაწვდომობაზე ზრუნვა, მაგრამ ეს ძირითად ლანდების მიერ რეგულირდება. 9 პროვინციას რეგულაციების საკუთარი ნორმები გააჩნია. მაგალითისათვის, არის ოლქები, სადაც გააუქმეს სპეციალური სკოლები და ოლქები, სადაც დებატები და დისკუსიები ინტეგრირებული სწავლების თაობაზე მხოლოდ ახლა იწყება.

ფედერალურ სკოლებში მხედველობის პრობლემების მქონე მოსწავლეებს მისაწვდომი მასალა სპეციალური ცენტრების საშუალებით მიეწოდებათ, რომლებიც ბრმათა განათლების ფედერალური ინსტიტუტის მიერ შეიქმნა.

მოსწავლეებისთვის, რომელთაც სმენასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, ამჟამად იქმნება ჟესტური ენის ელექტრონული ბაზა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის კომუნიკაციისა და ჟესტური ენის ცენტრის მიერ, რომელიც კლაგენფურტის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს.

2005 წლიდან საავადმყოფოში მოთავსებულ მოსწავლეებს ლეპტოპები და სპეციალურ ქსელში ჩართული კომპიუტერები მიეწოდათ, რათა საშუალება ჰქონოდათ გაკვეთილებს დისტანციურად დასწრებოდნენ. მსგავსი ტიპის სასწავლო მასალები ფინანსდება სპეციალური ფონდიდან.

მეოთხე სტადიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს პირადი ასისტენტი ენიშნებათ და ამას განათლების, ხელოვნებისა და კულტურის სამინისტრო აფინანსებს. პირადი ასისტენტის მოვალეობაა მოსწავლე სკოლაში წაიყვანოს, სახლში დააბრუნოს და მხარდაჭერა აღმოუჩინოს სკოლის საათებში. ეს გულისხმობს ტანსაცმლის ჩაცმაში და გახდაში დახმარებას, დახმარებას საკლასო ოთახისა თუ საპირფარეოს მოძებნაში, საკვების მიღებასა თუ კომპიუტერის მოხმარებაში. მაგრამ ეს არ გულისხმობს გაკვეთილის ხელმეორედ ახსნას მოსწავლისათვის. პირადი ასისტენტის დაფინანსება სავალდებულო განათლების ეტაპებზე ლანდის ვალდებულებაა, ფედერალურ დონეზე კი ამ ტიპის მხარდაჭერა მხოლოდ 9 კლასს ზევით განათლების მიმდებთანათვისაა განკუთვნილი.

<http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/CRPD/9thSession/LoIAustrianNCWithDisabilities.doc> (ბოლო ნახვა 23.09.2013)

7.4.2. უწყვეტი განათლება

2001 წელს ავსტრიაში შეიქმნა სპეციალური ცენტრი ინტეგრირებული განათლებისთვის, რომელიც განათლების გეგმებთან დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს კონსულტაციებს სთავაზობს. მოზარდთა ინტეგრირებული განათლების ქსელი (NetwebIn) 2003 წელს ჩამოყალიბდა და აერთიანებს ექსპერტებს მოზარდთა განათლებაში სხვადასხვა ლანდებიდან და წარმომადგენლებს მრავალი სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობისა. 2007 წელს ქსელმა გამოაქვეყნა ბროშურა „ბარიერებისაგან თავისუფალი მოზარდთა განათლება“, რომელშიც საგანმანათლებლო დაწესებულებების მისაწვდომობასთან დაკავშირებით სრული ინფორმაციაა თავმოყრილი¹¹⁹.

7.5. უნგრეთი

7.5.1. სასკოლო განათლება

1993 წლის საჯარო განათლების აქტის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის არსებობს ორი არჩევანი: მიიღონ განათლება სპეციალურ სკოლაში ან რეგულარულში.

*საჯარო განათლების აქტის მიხედვით: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა საბავშვო ბაღში თუ სკოლაში შესაძლებლობის შეზღუდვის არმქონე ბავშვებთან ერთად შეუძლია იაროს იმავე ჯგუფსა და კლასში, თუკი მისი შესაძლებლობის განვითარებისთვის ეს ხელსაყრელია“.*¹²⁰

თუკი ბავშვი განათლებას იღებს რეგულარულ სკოლაში, მისთვის გამოიყოფა დამატებითი დრო აბილიტაცია/რეაბილიტაციისათვის. დამატებით გაკვეთილებს ატარებენ სპეციალური ან უბრალოდ მასწავლებლები, რომელთაც საგანგებო გადამზადების კურსი აქვთ გავლილი. კლასის ზომა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს იღებენ შედარებით მცირეა. ასევე შესაძლებელია რომ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა დაწყებით ოთხი კლასი ე.წ.

¹¹⁹ პირველი სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, 5 ოქტომბერი, 2010, მუხლი 5, განათლება;

[http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf) (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹²⁰ უნგრეთი, განათლება; Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

ინდივიდუალური განვითარების გეგმის მიხედვით დახუროს, ისე, რომ ბავშვს არ მოუხდეს იგივე მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც სხვა მოსწავლეს¹²¹.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლის შენობები 2005 წლისთვის უნდა ყოფილიყო ფიზიკური ბარიერებისაგან განთავისუფლებული. თუმცა, ეს დათქმა ჯერაც არ არის სრულად შესრულებული.

7.5.2. საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება

სახელმწიფო დაფინანსება საშუალო პროფესიულ განათლებაზე (რეგულარულად ერთწლიანი) შეიძლება 4 სემესტრზე გავრცელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაში.¹²²

უმაღლესი განათლების შესახებ აქტი გვაწვდის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტის“ განმარტებას. აქტის მიხედვით, უმაღლესი განათლების დაწესებულებაში მისაღები გამოცდებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აპლიკაციები სპეციალური საგამონაკლისებით რეგულაციებით უნდა სარგებლობდნენ. ეს უფლება უნდა ვრცელდებოდეს მათზეც, ვინც საშუალო განათლების დონეზე ვერ მიიღო მსგავსი მომსახურება შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

7.6. გერმანია

7.6.1. სასკოლო განათლება

გერმანიის კონსტიტუცია არ შეიცავს დებულებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის რეგულარულ სკოლებში განათლების მიღების უფლებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ, ამ თვალსაზრისით მიდგომები არ არის უნიფიცირებული. თითოეულ მიწას გააჩნია შესაბამისი კანონები, რომლებიც არეგულირებენ ბენეფიტების გასცემის წესსა და ოდენობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე და მათთვის სპეციალური განათლების შეთავაზების წესს. ზოგიერთ მიწაზე, მშობლებს თავად შეუძლიათ გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობა მიიღონ, ზოგ მიწაზე კი ასეთი უფლება გათვალისწინებული არ არის. განათლების მარეგულირებელი კანონები, როგორც წესი, ითვალისწინებს

¹²¹ იქვე

¹²² იქვე

ინტეგრირებული განათლების შესაძლებლობას. თუმცა, ამგვარი უფლება მხოლოდ მაშინ ხორცილდება, როცა ე.წ. ტვირთი დისპროპორციული არ არის.¹²³

გერმანიის კანონმდებლობა არ არეგულირებს ჟესტების ენაზე სწავლებას ან მის ჩართვას რეგულარულ სკოლებში. 2010 წლის სასამართლო გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ადმინისტრაცია ვალდებული იქნა დაეფინანსებინა ჟესტების ენაზე თარგმანი იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც რეგულარულ სკოლებში სიარული სურთ.¹²⁴

7.6.2. უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების შესახებ ეროვნული კანონი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების თანასწორ წვდომას უნივერსიტეტზე. ასევე სტუდენტებს უფლება აქვთ მოითხოვონ საჭიროებისამებრ ყველა სახის მხარდაჭერა, რომელიც სწავლების წარმატებით დასრულებას უზრუნველყოფს. გერმანიის ყველა ფედერალურმა მიწამ მიიღო შესაბამისი წესები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სწავლის თანასწორი უზრუნველყოფისთვის.¹²⁵

7.7. ბელგია

7.7.1. სასკოლო განათლება

ფლანდრიის განათლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დისკრიმინაციას. არ არის გარანტირებული ინკლუზიური განათლება და უამრავი მოსწავლე იძულებულია გაკვეთილებს დაესწროს სპეციალურ სკოლებში, რომლებიც განკუთვნილია 2.5-დან 21 წლამდე ასაკის პირებისთვის. 1996-1997 წლებიდან მოყოლებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს შეუძლიათ იარონ ისეთ სკოლაში, სადაც არიან ინტერპრეტატორები და თარჯიმანები.¹²⁶

¹²³ School Law of North Rhine-Westphalia; Update date: Wed, 2012-03-28

¹²⁴ Judgement of the Social Court of Frankfurt to take over the cost of a sign language interpreter in mainstream schools

¹²⁵ Framework Act on Higher Education

¹²⁶ Federale Overheidsdienst Sociale Zekerheid (2011). Implementatie van het VN-Verdrag inzake de Rechten van Personen met een Handicap: eerste periodiek verslag van België. Brussel, België. Randnummer 97-105

ის მიდგომა, რომლითაც მოქმედებს ფლანდრიის განათლების სისტემა რეგულარულ სკოლებში არასაკმარისი ზრუნვისა და ძალისხმევის გაწევის თვალსაზრისით, ნათლად აჩვენებს ფლამანდრიის განათლების სისტემის ექსკლუზიურ ბუნებას. მხარდამჭერი ზრუნვის კონცეფცია ემყარება მოთხოვნილებების და არა მიწოდების მართვას.

ბელგიასა და ფლანდრიას თითქმის არ გადაუდგამს ნაბიჯები ინკლუზიური განათლების სისტემის შესაქმნელად. ბელგიის და ფლანდრიის მთავრობის ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები და ინფორმაცია არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა ზომები იქნა მიღებული ინკლუზიური განათლებისათვის. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ეს პრობლემა წამოჭრეს DPO-ებმაც, თუმცა, შესაბამისი ნაბიჯები არ გადადგმულა.

7.7.2. უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ინსტიტუციები იღებენ დამატებით დაფინანსებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერის მიზნით. უმაღლესი განათლების ყველა ინსტიტუციაში გონივრული მისადაგება მისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის განათლების პროცესის მიყოლისთვის და გამოცდების ჩაბარებისთვის.¹²⁷

¹²⁷ GRIP (2011). Human Rights and Persons with Disabilities. Shadow report Flanders (Belgium). p.37-44, Brussel, België

8. დამოუკიდებელი ცხოვრება

8.1. შვედეთი

8.1.1. საცხოვრებლის და სოციალური დაცვის ადეკვატური სტანდარტი

სოციალური სერვისების აქტის მიხედვით, სოციალური სერვისების უმთავრესი ფუნქციაა ადამიანების ეკონომიკური და სოციალური დაცვის ხელშეწყობა. ეს აქტი პასუხისმგებლობას აკისრებს მუნიციპალიტეტებს უზრუნველყონ თითოეული მცხოვრები ადამიანისთვის საჭირო მხარდაჭერის მიწოდება. ფინანსური ბენეფიტები ეძლევა ისეთ პირს, რომელსაც არ აქვს შემოსავლის არანაირი წყარო. ბენეფიტების გაცემა არის ინდივიდუალური შეფასების პრინციპზე დამყარებული. საცხოვრებელი პირობების შეფასების საფუძველზე ადამიანს ეძლევა შესაბამისი ფინანსური ბენეფიტი მისთვის გონივრული საცხოვრებელი სტანდარტის შექმნის მიზნით. ეს სქემა იმგვარად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული, რომ ის აძლიერებდეს პირის შესაძლებლობას, იცხოვროს დამოუკიდებლად.

გარდა ამისა, შვედეთში არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი კომპენსაცია, რომლის მიზანია, პირისთვის შესაძლებლობის შეზღუდვის გამო არსებული დამატებითი ხარჯების ანაზღაურება. ამგვარი მხარდაჭერა უზრუნველყოფს თანასწორობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა პირებისთვის თანასწორი პირობების შექმნას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის არსებობს სპეციალური მხარდაჭერის პროგრამები. ამ თვალსაზრისით შეიქმნა სამზრუნველო გრანტი, რომლის რაოდენობა განისაზღვრება ბავშვის საჭიროებების შესაბამისად.¹²⁸

შვედეთში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში ჯერ კიდევ 1970-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აქტიურად გადასახლდნენ თავიანთ სახლებში. ფსიქიატრიული მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების დეინსტიტუციონალიზაციამ 1990-იან წლებში განაპირობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობის ზრდა, რომელთაც დაევალათ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებზე ზრუნვა.¹²⁹

¹²⁸ შვედეთის თავდაპირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2011 წლის იანვარი, გვ. 46-47;

<http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0?page=1>

¹²⁹ შვედეთი, დეინსტიტუციონალიზაცია; Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

8.1.2. აბილიტაცია და რეაბილიტაცია

შვედეთის ჯანმრთელობისა და სამედიცინო სერვისის საერთო მიზანია მთელ მოსახლეობას შესთავაზოს თანასწორი პირობები ჯანდაცვის და ზრუნვის თვალსაზრისით. რამდენადაც შესაძლებელია ზრუნვა უნდა განხორციელდეს პაციენტის გადაწყვეტილებით და ამ პროცესში აქტიური ინტეგრირებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემთხვევაში არსებობს ზოგადი რჩევები, ჯანდაცვისა და კეთილდღეობის ეროვნული კოლეგიის მიერ, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სურვილის და აზრის გაგებას ინტერპრეტაციის მეთოდის ან შემეცნებითი მხარდაჭერით.

სამედიცინო სერვისის ფარგლებში მოქმედებს ე.წ. „მაღალი ღირებულებისაგან“ დაცვის პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტი წლის განმავლობაში იხდის დადგენილ თანხას, რომლის მიღწევის შემდეგაც ის იწყებს უფასო ბარათის მოხმარებას და მისი მეშვეობით იგი ნებისმიერი მედიკამენტს წლის ბოლომდე იღებს უფასოდ.

ჯანმრთელობისა და სამედიცინო სერვისების აქტის მთავარი პრინციპია რეაბილიტაციის და აბილიტაციის სერვისების და დამხმარე მოწყობილობების შეთავაზება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. რეაბილიტაციის და აბილიტაციის პროცესში ინდივიდი წარმოადგენს სუბიექტს, რომელიც თანახმაა, აიღოს პასუხისმგებლობა გამოჯანმრთელებაზე. სამედიცინო რეაბილიტაციის დროს მისაწვდომია უნდა იყოს სხვადასხვა პროფესიული კატეგორიები, მაგ. აუდიოლოგი, ფსიქოთერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველებისა და ენის თერაპევტი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი.

რეაბილიტაცია ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით: სამედიცინო, სოციალური და პროფესიული მიმართულებით.

შვედეთის გამოცდილებით მნიშვნელოვანია წარმატებული კოოპერაცია სხვადასხვა დისციპლინებს შორის იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს ინდივიდის წარმატებული რეაბილიტაცია. რეაბილიტაცია, აბილიტაცია იმგვარად უნდა იქნეს შეთავაზებული, რომ მხარდაჭერა და ინიციატივები გლობალური მიდგომებით ხასიათდებოდეს და მორგებული იყოს ინდივიდების საჭიროებებს.¹³⁰

¹³⁰ შვედეთის თავდაპირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2011 წლის იანვარი, გვ.40
<http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0?page=1>;

8.2. დანია

8.2.1. მონეტარული ბენეფიტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის

დანიაში არსებობს მონეტარული ბენეფიტის გაცემის ორი სხვადასხვა სქემა. ორივე სქემა ღიაა ყველა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის 18 წლიდან ზემოთ, მისი მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება. კანონმდებლობის მიხედვით, პირს უფლება აქვს, მიიღოს მხარდაჭერა 20 საათის განმავლობაში ან მხარდაჭერის მაგივრად მიიღოს ფული დამხმარეს დაქირავებისათვის. ეს მხარდაჭერა მოიცავს პირის მოვლას სახლის პირობებში. დამხმარე ასევე ვალდებულია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს დაეხმაროს გადაადგილებაში და თვალყური მიადევნოს მას. დანიაში ასევე ფუნქციონირებს პირადი მხარდაჭერის სამოქალაქო კონტროლის ეროვნული ორგანიზაცია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არსებობს პენსია 18-იდან 64 წლის ჩათვლით. აღნიშნული ზედა ზღვარის გაზრდა დაგეგმილია 67 წლამდე და შემდეგ სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობა არ არის საკმარისი საფუძველი პენსიის მისაღებად. ეს მხოლოდ დასაშვებია იმ პირებისთვის, რომლებიც ვერ ახერხებენ საკუთარი თავის დახმარებას, პირის სამუშაო შესაძლებლობის არქონის გამო. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პენსიის აღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმედუნარიანობა მთლიანად შემცირებულია. მუნიციპალიტეტი ასევე განსაზღვრავს საპენსიო სარგოს, პირის 'შესაძლებლების შესახებ პროფილის' მომზადების შემდეგ. ეს პროფილი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაძლებლობებს. მუნიციპალიტეტი პროფილისთვის შეფასებებს აკეთებს სხვადასხვა კატეგორიზაციის მიხედვით, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის განათლება, გამოცდილება, სოციალური წრე, სამუშაო სურვილები და მისი ჯანმრთელობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პენსიონარს ასევე შეუძლია მოიძიოს ფინანსური ანაზღაურება სამედიცინო და სხვა გაუთვალისწინებელი ერთჯერადი დახმარებისთვის, აქტიური დასაქმების ძალისხმევის შესახებ კანონის მიხედვით.¹³¹

¹³¹ დანია; დამოუკიდებელი ცხოვრება; Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013); Law on Active Employment Effort, LBK nr 706 af 28/06/2012; Additional links: Law on Social Pension, LBK nr 783 af 09/07/2012. <https://www.retsinformation.dk/Forms/R0710.aspx?id=142132>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

8.2.2. დეინსტიტუციონალიზაცია

1998 წელს დანიამ გააუქმა ინსტიტუციონალიზაცია, რომლის შედეგადაც გაიმიჯნა განსახლების, სამოქალაქო მომსახურებისა და ფულადი დახმარების სისტემები. დეინსტიტუციონალიზაციის შემდეგ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება მიეცათ მიეღოთ სხვადასხვა ბენეფიტები სხვებთან ერთად თანასწორ პირობებში. ყოფილი ფსიქიატრიული დაწესებულებები კი ჩანაცვლდა იმგვარად, რომ თითოეულმა მოზინადრემ მიიღო ორი ოთახი სამზარეულოთი. მათ ასევე მიენიჭათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პენსია ბინის, საკვებისა და სხვა სახის მომსახურებების ხარჯებისა დასაფარად.

1998 წლის სოციალური მომსახურების შესახებ კანონის მიზანი იყო, გაემიჯნა იურიდიული, ბიუროკრატიული და პრაქტიკული საკითხები სოციალური საკითხებისგან. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული თვალსაზრისით, ფსიქიატრიული დაწესებულებები არ არსებობს, არსებობს სხვადასხვა ფორმის დასახლებები, სადაც 10-15 პირია დასაქმებული. ამგვარ დასახლებებში უვლიან მძიმე და შედარებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ასევე არსებობს კომპლექსური დასახლებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომლებიც გაერთიანებული არიან ე.წ. რეზიდენტურ საცხოვრებელში, რომელსაც „თემს“ უწოდებენ. თემი Sølund near Silkeborg ერთერთი უდიდესი დასახლებაა, სადაც 220 პირი ცხოვრობს და 550 თანამშრომელია დასაქმებული. სოციალური მომსახურების შესახებ კანონი აღნიშნულ დაწესებულებებში მოზინადრეთა სამ კატეგორიას განასხვავებს, როგორცაა ფსიქიკურად დაავადებული პირები, პირები, რომლებიც კოგნიტიური დაავადებებით არიან დაავადებულები და პირები, რომელთაც მოძრაობის უნარი აქვთ შეზღუდული. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასახლებები განლაგებული უნდა იქნენ იქ, სადაც სხვა პირები ცხოვრობენ, იმ შემთხვევაშიც, როცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს პირადი მომვლელი ესაჭიროება.¹³²

¹³² დანია, დამოუკიდებელი ცხოვრება; Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013); CLH (2008): Fakta om botilbud (Facts on residences); იხ: The Social Service Law (LBK nr 810 af 19/07/2012) <https://www.retsinformation.dk/Forms/r0710.aspx?id=141372> DCH (2010): Årsberetning 2010 (The Central Disability Council: Annual Report 2010); <http://www.dch.dk/beret/beret2010/index.html>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

8.3. ესპანეთი

8.3.1. ადექვატური საცხოვრებელი სტანდარტი და სოციალური დაცვა

ესპანეთში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და მათი ოჯახების სოციალური დაცვა ხორციელდება სხვადასხვა ბენეფიტების მიწოდებით, რომლებიც ფარავს ყოველგვარ პრობლემას, რაც შესაძლებლობის შეზღუდვისთან მიმართებით წარმოიშობა. სოციალური დაცვა შეიძლება გამოიხატოს ფინანსური მხარდაჭერის სახით ან სოციალური სერვისების მიწოდებაში. ამ ღონისძიებების განმახორციელებელ ორგანოებს წარმოადგენენ სოციალური უსაფრთხოების სამსახური, ეროვნული ჯანდაცვის სისტემა და სხვა სამსახურები.

არსებობს სხვადასხვა სახის დახმარებები. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამხმარე პენსია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ბენეფიტი, საოჯახო ბენეფიტები და სხვა.

8.3.2. აბილიტაცია და რეაბილიტაცია

ესპანეთის კანონმდებლობაში ჯანდაცვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გარანტიებს ითვალისწინებს 1978 წლის კონსტიტუციის 43-ე მუხლი, რომელიც აღიარებს ჯანმრთელობის უფლებას და უთითებს, რომ საჯარო თანამდებობის პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საჯარო ჯანმრთელობის ორგანიზებასა და ხელშეწყობაზე. ამავე პრინციპს ეხმაურება 1986 წელს მიღებული ზოგადი ჯანდაცვის აქტი. მასში მოცემულია სხვადასხვა ზომა, რომლებიც თანასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ისევე, როგორც ყველა დანარჩენ ადამიანს, აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ სხვადასხვა მომსახურება, რომელსაც ჯანდაცვის ზოგადი პოლიტიკა ადგენს და მისაწვდომია ყველა მოქალაქისათვის. თუმცა, ზოგიერთი სერვისი სპეციალურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არის შექმნილი. ესპანეთის ჯანდაცვის სისტემაში შემდეგი ძირითადი სერვისები მოქმედებს:

- საჯარო ჯანდაცვის სერვისები;
- ძირითადი ზრუნვის სერვისები;
- სასწრაფო დახმარების სერვისები;
- ფარმაცევტული სარგებლობის სერვისები;
- ორთოპედიული სარგებლობის სერვისები.

8.3.3. პერსონალური მობილობა

ესპანეთში გატარდა სხვადასხვა ღონისძიება პირადი მობილობის უზრუნველსაყოფად. გამოიყო ფულადი ბენეფიტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომლებსაც ფიზიკური სიძნელეების გამო არ შეუძლიათ ისარგებლონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ძირითადი საცხოვრებელიდან გადაადგილებისას და ამისთვის სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებას საჭიროებენ. ამ ბენეფიტის მიზანია მათთვის დამატებითი დანახარჯების კომპენსაცია.¹³³

8.4. ავსტრია

8.4.1. სოციალური მხარდაჭერა/საპენსიო შემოსავალი

ავსტრია როგორც ფედერალურ, ისე ლანდების დონეზე ზრუნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა დამოუკიდებელი ცხოვრება შეძლონ. სულერთია, შეეხება ეს პერსონალური ასისტენტების თუ გრძელვადიანი მხარდაჭერის სისტემის მოქმედებას. გრძელვადიან მხარდაჭერაში იგულისხმება სოციალური მხარდაჭერის სერვისები, მათ შორის, ფულადი ბენეფიტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და მათი ოჯახებისთვის. გრძელვადიანი მხარდაჭერა აღნიშნულ პირებს ენიშნებათ განურჩევლად მათი შემოსავლებისა და ქონებისა. არსებობს შვიდი განსხვავებული პაკეტი მხარდაჭერისა, რომელთა ოდენობა განისაზღვრება 154.2 ევროს ოდენობიდან 1 655.8 ევროს ოდენობამდე.

სხვადასხვა სოციალური სერვისებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ძირითადად ჯანდაცვის უწყებები, ლანდები, ადგილობრივი მმართველობები, NGO-ები, ასოციაციები და კერძო კომპანიები უზრუნველყოფენ. სერვისის ღირებულება მომხმარებელთათვის განისაზღვრება მათი შემოსავლების ოდენობის გათვალისწინებით.

ფედერალურ სახელმწიფოსა და ლანდებს შორის კოორდინირებული დაფინანსების სქემა საშუალებას იძლევა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოფილ იქნას 24-საათიანი მხარდაჭერა მაღალ დონეზე მათთვის ნაცნობ გარემოში (ოჯახებში). 2009 წელს ქვეყანამ ამ მიმართულებით 32 მილიონი ევრო დახარჯა.

¹³³ ესპანეთი, დამოუკიდებელი ცხოვრება, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

ავსტრიის კანონმდებლობა ითვალისწინებს იმასაც, რომ თუკი ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე მზრუნველ პირს აღარ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება - სახელმწიფო მზრუნველის ჩანაცვლებისთვის სუბსიდიებს გამოყოფს. ამასთან პირები, რომლებიც საკუთარი ოჯახის წევრებზე ზრუნავენ სახელმწიფოსაგან სოციალურ დახმარებას იღებენ. BMASK-ს გააჩნია უფასო დახმარების ცხელი ხაზი და ინტერნეტ პლატფორმა არაფორმალური დახმარებისთვის. BMASK აფინანსებს სახლში კვალიფიციური ექთნების ვიზიტებსაც. აღნიშნულ სამსახურში 130-მდე ადამიანია დასაქმებული.

განსაკუთრებულად მრავალფეროვანია სოციალური სერვისები ლანდებში - აქ მხარდაჭერის უზრუნველყოფა ხდება კერძო ბინებში ან სახლებში სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, დასვენების საათებში რეკრეაციით.¹³⁴

დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სოციალური დაზღვევა ეკუთვნით. პენსიაზე გასვლის შემდეგ რეგულარული პენსია ენიშნებათ. თუკი პირს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდება და აღარ შესწევს უნარი სამუშაოს გაგრძელებისა, მას შეუძლია სპეციალურ პენსიაზე შეიტანოს განაცხადი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ენიშნებათ. თუმცა, ამისათვის გარკვეული სტაჟი უნდა ჰქონდეს პირს.

8.4.2. დეინსტიტუციონალიზაცია

ტერმინი დეინსტიტუციონალიზაცია ავსტრიაში გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფსიქიატრიული საავადმყოფოებისგან განსხვავებულ პირობებში ცხოვრებას. მიუხედავად ამ მიდგომის არსებობისა ავსტრიაში, ეროვნული სამოქმედო გეგმაში ნახსენებია, რომ ქვეყანაში საჭიროა ბევრად უფრო კომპლექსური პოლიტიკა დეინსტიტუციონალიზაციისთვის. დიდი ინსტიტუტები უნდა გარდაიქმნას თემზე დაფუძნებულ სერვისებს, მაგრამ ამ მიზნების მისაღწევად გამოსაყენებულ კონკრეტულ მექანიზმებზე ამ გეგმაში არაფერია ნათქვამი.¹³⁵

¹³⁴ პირველი სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, 5 ოქტომბერი, 2010, მუხლი 19, დამოუკიდებლად ცხოვრება [http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf) (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹³⁵ ავსტრია, დამოუკიდებლად ცხოვრება, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

8.4.3. რეაბილიტაცია

ფედერალური ჯანდაცვის სამინისტროს მიხედვით, ქვეყანაში 19 სახელმწიფო სადაზღვევო უწყება ოპერირებს. მათი მომსახურება ყველანაირ სამედიცინო საჭიროებას ფარავს. სამედიცინო მომსახურება დაზღვეულ პირებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისდა მიუხედავად ენიშნებათ.

სოციალური ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულოა. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც ავტომატურად შედიან სისტემაში. შენატანის (კონტრიბუციის) რაოდენობასაც არ განსაზღვრავს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა. პირობები სრულიად თანასწორია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა პირებისთვის.

თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ავსტრიის ეროვნული საბჭოს ანგარიშში პრობლემურ საკითხადაა გამოყოფილი ის ფაქტი, რომ ფსიქოსოციალური და გონებრივი შეზღუდულობების მქონე პირები შეიძლება იძულებითი ჰოსპიტალიზაციის და მკურნალობის ობიექტები გახდნენ იმის გამო, რომ აღნიშნული გარემოებებში გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მეურვეს აქვს. უფლება ინფორმირებული თანხმობაზე ავსტრიაში დაცული არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომ ფორმატში არ არსებობს სამედიცინო ხასიათის ინფორმაცია.¹³⁶

ავსტრიის ჯანდაცვის ფედერალური სამინისტრო რეაბილიტაციაში მოიაზრებს როგორც სამედიცინო ჩარევას - მკურნალობის წარმატებით დასრულებას, ან მკურნალობის შემდგომ პერიოდს, ისე სამსახურეობრივ (მისცეს ადამიანს მუშაობის საშუალება) თუ სოციალურ დონეზე (პირადი ცხოვრების ხელშეწყობა) დახმარებას. ჯანმრთელობის დაზღვევა ფარავს მსგავს მომსახურებასაც. მაგალითად, სარეაბილიტაციო ცენტრებში დარჩენას, პროტეზებს, სამედიცინო თუ თერაპევტულ დახმარებას.

ამასთან, საპენსიო დაზღვევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აძლევს ტრენინგების გავლის საშუალებას და სხვადასხვა მექანიზმებით სთავაზობს მხარდაჭერას, რათა შეძლონ დასაქმება ან სესხის აღება და სხვა.¹³⁷

¹³⁶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საბჭოს მოხსენება გეაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ წარმოდგენილ საკითხთა ნუსხაზე, ზოგადი შენიშვნები, <http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/CRPD/9thSession/LoIAustrianNCWithDisabilities.doc> (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹³⁷ პირველი სახელმწიფო ანგარიში გეაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, 5 ოქტომბერი, 2010,

8.5. უნგრეთი

8.5.1. პერსონალური მობილობა

დამხმარე მოწყობილობების, ისევე, როგორც ინფორმაციისა და მომსახურების მოწოდება, ძირითადად NGO-ების მიერ ხორციელდება. ამაში მოიაზრება თერაპევტული მოწყობილობა და წამლები, ასევე მანქანის კონვერტირებაში დახმარება, ბინის მისაწვდომლობაზე დახმარება, სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო დახმარებაც.

სერიოზული ფიზიკური დარღვევების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ფინანსური დახმარება ერიცხებათ მსუბუქი ავტომანქანების შეძენისა და ამგვარი მანქანების ადაპტირებისათვის. მანქანის პარკირება გამარტივებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. დამხმარე ძაღლები უფასოა რკინიგზით და ავტობუსით სარგებლობისას უნგრეთის მასშტაბით. რაც შეეხება საჯარო ტრანსპორტით მგზავრობას, იგი სრულიად უფასოა ან მასზე მოქმედებს 90%-იანი ფასდაკლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მათი თანმხლები პირებისთვის.

8.5.2. პერსონალური მხარდაჭერის სქემები

უნგრეთში დღის მოვლა უზრუნველყოფილია დღის ცენტრების, საშინაო დახმარების სერვისების და საგანგებო სისტემის საშინაო დახმარების სერვისების საშუალებით (ეს უკანასკნელი ხორციელდება იმ შემთხვევებში, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს გააჩნია უნარი განგაშის მოწყობილობა გამოიყენოს და დამხმარე პერსონალი გამოიძახოს). ჯანდაცვის სისტემის ნაწილია სპეციალური საშინაო დახმარება.¹³⁸

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კომიტეტი თავის მხრივ შეშფოთებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ უნგრეთში ამ დრომდე შენარჩუნებულია სამართლებრივი ჩარჩო იმგვარი პრაქტიკისთვის, როგორცაა შეზღუდული სამართალსუბიექტობის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების დაშვება ამ

მუხლი 26, რეაბილიტაცია და ჰაბიტაცია

[http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf) (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹³⁸ სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კონმიტეტს, ოქტომბერი, 2010; მუხლი 19

http://www2.ohchr.org/SPdocs/CRPD/futuresession/CRPD.C.HUN.1_en.doc; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

უკანასკნელთა თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე (თანხმობის გაცხადების უფლება აქვს მეურვეობის უფლების მქონე პირს).¹³⁹ კომიტეტის მოსაზრებით, ეს უნდა შეიცვალოს. კერძოდ, აუცილებელი უნდა გახდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხრიდან თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის მოპოვება იქამდე, სანამ მათ სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდებათ¹⁴⁰.

8.5.3. დეინსტიტუციონალიზაცია

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი მიესალმება უნგრეთში დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმას, რომლის შედეგადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცხოვრებლები, დიდი დაწესებულებები უნდა გარდაიქმნას თემში ინტეგრირებულ დასახლებებად. თუმცა, სამწუხაროა, რომ ქვეყანამ ამ გეგმის განსახორციელებლად ძალიან ხანგრძლივი 30 წლიანი ვადა დააწესა (2011-2041). ამის პარალელურად არაპროპორციულად დიდი თანხები დაიხარჯა, მათ შორის ევროკავშირის ფონდებიდან, არსებული დიდი დაწესებულებების შეკეთებაზე, რაც თავის მხრივ სეგრეგაციას ხელშეწყობას აგრძელებს და ეწინააღმდეგება სახელმწიფოს გაცხადებულ დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკას. არსებული ვითარება აჩვენებს, რომ სახელმწიფო არასაკმარისად ზრუნავს იმაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეცეთ საშუალება დამოუკიდებლად იცხოვრონ საერთო საცხოვრებლების გარეთ.¹⁴¹

8.5.4. ჯანდაცვის სისტემა

უნგრეთში ჯანდაცვის სფეროში საუკეთესო პრაქტიკად ითვლება ის, რომ საყოველთაო სკრინინგი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნაწილია და საჯარო თანხებით ფინანსდება. სკრინინგი სხვადასხვა ასაკის ადამიანებს ეხებათ და გარკვეული პერიოდულობით ტარდება. ის კეთილდღეობის სამინისტროს მიერ შექმნილი ეროვნული ჯანდაცვის პროგრამის ნაწილია, ზრუნავს მისაწვდომობაზეც

¹³⁹ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კომიტეტის დასკვნა, სექტემბერი, 2012, პუნქტი 29

<http://womenenabled.org/pdfs/HUNGARY%20CRPD%20Concluding%20Observations%20WWD%20Highlights.pdf>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

¹⁴⁰ იქვე

¹⁴¹ იქვე

და უზრუნველყოფს მობილურ სერვისს, შესაბამის ტესტებსა და ტრანსპორტირებასაც¹⁴².

უნგრეთის ეროვნული ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდა ადრეული განვითარებისა და ნევრო-რეაბილიტაციის (ნევრო-თერაპიის) შესაძლებლობის განვითარების პროგრამები ბავშვებისთვის. შემუშავებულ იქნა ერთგვაროვანი მეთოდოლოგია ახალშობილთა და 0-18 ასაკის ბავშვთა მხედველობისა და სმენის სკრინინგისათვის. გამოიცა სახელმძღვანელო DVD-ზე ოჯახის ექიმთა და უბნის ექთნებისათვის. პროგრამამ მულტიმედიური საგანმანათლებლო მასალით უზრუნველყო ექთნები და ექიმები განვითარების ნევროლოგიური, დიაგნოსტიკური და თერაპიული მეთოდების შესახებ¹⁴³.

ჯანდაცვის სამინისტრო ზრუნავს იმაზეც, რომ სრულად მოხდეს ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის გადამზადება იმ მიზნით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მიმართ სხვადასხვა რანგის მოხელენი ამ სფეროში უფრო სენსიტიური გახდნენ. გადამზადების ეს სქემები შეიძლება უნგრეთში საუკეთესო პრაქტიკად დასახელდეს. „ტრენინგის პროგრამა ჯანდაცვის მუშაკთათვის“ ევროკავშირის რესურსებით დაფინანსდა¹⁴⁴.

მნიშვნელოვანი რეფორმები შეეხო მედიკამენტთა გავრცელების წესებს. ამ შემთხვევაში უნგრეთი ევროკავშირის დირექტივებს ექვემდებარება. ფარმაკოლოგიური პროდუქციის გავრცელებასთან დაკავშირებით რეგულაციების შემუშავებისას ყურადღება გამახვილდა უსინათლოთა და მხედველობადაქვეითებული პირების უფლებებზე. შედეგად განისაზღვრა, რომ როგორც მინიმუმ მედიკამენტის დასახელება და მისი მოქმედების ვადა აუცილებლად ბრაილის შრიფტით უნდა იყოს დატანილი მედიკამენტზე. აღნიშნული რეგულაციებისთვის განხორციელების ბოლო ვადა 2010 წელი იყო. რეგულაციების მიხედვით, მედიკამენტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში პაციენტის ინტერესების დამცველ პირს თუ პაციენტს აუცილებლად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მისაწვდომი ფორმით¹⁴⁵.

¹⁴² სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კონმიტეტს, ოქტომბერი, 2010; პუნქტი 155

http://www2.ohchr.org/SPdocs/CRPD/futuresession/CRPD.C.HUN.1_en.doc; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

¹⁴³ სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტს, ოქტომბერი, 2010; პუნქტი 160

http://www2.ohchr.org/SPdocs/CRPD/futuresession/CRPD.C.HUN.1_en.doc; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

¹⁴⁴ იქვე, პუნქტი 163

¹⁴⁵ იქვე, პუნქტი 168

8.6. გერმანია

დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერებმა მოახერხეს, შეექმნათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერის წარმატებული მოდელი (ე.წ. გამოყენებითი მოდელი). ასევე დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოდელი. დღესდღეობით შექმნილია დაახლოებით 20 ცენტრი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მართავენ და რომლებიც სთავაზობენ რჩევას და პრაქტიკულ მხარდაჭერას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი განვითარება შეიმჩნევა დამოუკიდებელი ცხოვრების მიმართულებით, რომელიც შესაბამისი კანონმდებლობის შემოღებით იყო განპირობებული.¹⁴⁶

8.6.1. პირადი მოვლის მისაწვდომობა

გერმანიაში, პირადი მოვლის სერვისი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის 1980 წლიდან თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კონტროლირდება და ფუნქციონირებს. აუცილებელი გრძელვადიანი დახმარების მოდელს ეწინააღმდეგებიან აქტივისტები, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას უჭერენ მხარს. თუმცა, სახელმწიფო ამბობს, რომ ეს სქემა ორიენტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თვითდამკვიდრებისკენ.

8.6.2. დეინსტიტუციონალიზაცია

სოციალური მხარდაჭერის სისტემა და ამ სისტემის ნაწილი - „ინტეგრაციის მხარდაჭერის სისტემა“ სათემო პრინციპს ემყარება. გადაწყვეტილება მიიღება ადმინისტრაციის მიერ ინდივიდუალურად საქმის განიხილვისას, რომლის დროსაც გამოიყოფა სოციალური ბიუჯეტი. ოფიციალურად დარეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ აირჩიონ

¹⁴⁶ Disability Equality Act. Section 53 ff. SGB XII – Integration Support for Disabled People

http://bundesrecht.juris.de/sgb_12/BJNR302300003.html#BJNR302300003BJNG001000000 Long Term Care

Insurance (Social Code Book XI) http://bundesrecht.juris.de/sgb_11/ Act for Rehabilitation and Participation of

Disabled People (Social Code Book IX) http://bundesrecht.juris.de/sgb_9/; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

ინსტიტუციონალური და სახლის პირობებში მოვლის სხვადასხვა ფორმები. 2008 წლის კანონმა სხვადასხვა კუთხით შეცვალა გრძელვადიანი მოვლის დაზღვევის სისტემა. სახლის პირობებსა და ინსტიტუციონალური მოვლისთვის გამოყოფილი ერთჯერადი თანხები გაიზარდა, გაუმჯობესდა ქრონიკული დაავადებებითა და სკლეროზის მძიმე ფორმებით დაავადებულ პირებისთვის სოციალური მხარდაჭერის პაკეტი. აგრეთვე შემოღებული იქნა ინდივიდუალური მოვლის სისტემა და შესაძლებელი გახდა განსაკუთრებით მძიმე დარღვევების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ყოველდღიური მზრუნველობა. კანონმდებლობა ასევე ითვლისწინებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შეუძლია, პირადი მომვლელი საავადმყოფოში იყოლოს.¹⁴⁷

8.6.3. სოციალური დაცვა

გერმანიის სოციალური უსაფრთხოების სისტემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სთავაზობს სხვადასხვა სახის შემოსავალს: პენსიები მოხუცებული პენსიონერებისთვის, პენსიები, რომლებიც დამოკიდებულია სამუშაო შესაძლებლობებზე, მინიმალური შემოსავალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომლებიც სიღარიბის ზღვარზე იმყოფებიან და მინიმალური შემოსავალი უმუშევარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

გარდა საპენსიო სადაზღვევო სისტემისა, არსებობს ასევე სოციალური მხარდაჭერა, რომელიც მინიმალურ დახმარებას სთავაზობს ორ სხვადასხვა ჯგუფს. პირველ ჯგუფში შედიან ის პირები, რომლებიც რეგულარულად იღებენ პენსიას ან სხვა ფინანსურ დახმარებებს და სიღარიბის ზღვარზე იმყოფებიან. მეორე ჯგუფი მოიცავს იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც არასოდეს არ ყოფილან დასაქმებულნი ან არ აქვთ დასაქმების შესაძლებლობა.

კანონი, რომელიც არეგულირებს მინიმალურ პენსიებს სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოხუცებულებისა და პირებისათვის, რომლებსაც სამუშაო შესაძლებლობა ნაკლები აქვთ, ძალაში 2003 წელს შევიდა. კანონის თანახმად, აღნიშნული დახმარება გაიცემა 65 წელს მიღწეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე სიღარიბის

¹⁴⁷ Section 13 SGB XII – Social Code Book XII on Social Assistance .Law for the further development of the mandatory long term care insurance <http://www.buzer.de/gesetz/8223/index.htm> Law for personal assistance during a hospital stay <http://www.buzer.de/gesetz/8953/index.htm>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

აღმოსაფხვრელად ან 18-64 წელს მყოფ პირებზე, რომლებიც მოკლებულნი არიან სამუშაო შესაძლებლობას.¹⁴⁸

2008 წელს გერმანიის გრძელვადიანი დახმარების სავალდებულო დაზღვევამ რეფორმა განიცადა და მისი ხარისი გაუმჯობესდა. ასევე უფრო მოქნილი გახდა კონსულტაციები მომვლელებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მზრუნველებისთვის. ასევე, გაუმჯობესდა კონტროლის პროცედურები იმ ინსტიტუტებისთვის, რომლებიც გრძელვადიან მოვლას სთავაზობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

8.7. ბელგია

8.7.1. საცხოვრებლის ადექვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა

27/02/1987 კანონი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ფინანსურ დახმარებას ამ მიზნებისათვის. ფლანდრიაში არის ბევრი ამბოლატორიული სერვისი, რომლებიც ახორციელებენ სახლში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერას. მოქმედებს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი, რომელიც გულისხმობს ყოველდღიურ ცხოვრებაში ან ფინანსურ მართვაში მხარდაჭერას და ა.შ. ზრუნვის ამ სერვისების გარდა, არსებობს პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს ტექნიკური ინსტრუმენტებითა და სახლის აღჭურვილობებით. ფლამანდრიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სააგენტო (VAPH) სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს და ვალონის რეგიონი ახდენს პროფესიონალების დამხმარე სერვისების სუბსიდირებას.¹⁴⁹

მთავრობამ ასევე წამოიწყო რამოდენიმე ინიციატივა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრირების მიზნით. ფლამანდრიის მთავრობის დეკრეტი (2000), რომელიც ეხება ინსტიტუციებში ზრუნვის ხარისხს, იძლევა ხარისხობრივ კრიტერიუმს, რომელიც ყველა ინსტიტუტმა უნდა გაითვალისწინოს.

2003 წლის 17 ოქტომბრის ხარისხის დეკრეტში მოცემულია, რომ ჯანმრთელობის და ზრუნვის ყველა ინსტიტუცია ვალდებულია მიაწოდოს ადექვატური ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ეს ნიშნავს, რომ ზრუნვა უნდა იყოს

¹⁴⁸ გერმანია, დამოუკიდებელი ცხოვრება; Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013); Law to Promote Employment (Social Code Book III)

¹⁴⁹ იხ. ბმული: <http://www.vaph.be/vlafo/view/nl/20496-Wonen+met+begeleiding.html>

საკმარისი და განგრძობადი. ყველა ორგანიზაციამ უნდა აწარმოოს ხარისხიანი მენეჯმენტი და აწარმოოს ყოველწლიური თვითშეფასება.¹⁵⁰

ხანდაზმული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არსებობს ორი სახის პენსია. პირველი მათთვის, ვისაც არ ჰქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო შრომის ბაზარზე და იმ პირებისათვის, რომლებმაც კარიერის დროს დაკარგეს შესაძლებლობა რეგულარულ შრომის ბაზარზე მუშაობისთვის.

რეგიონულ დონეზე მხოლოდ ფლანდრიაშია გათვალისწინებული დამატებითი შეღავათი (ფინანსური სახით) ფლამანდრიული სამზრუნველო დაზღვევის ფარგლებში. ეს არის ხანგრძლივი სამზრუნველო დაზღვევის ფორმულა, რომელიც აძლევს ყოველთვიურ შეღავათს პირებს, რომლებსაც შეუძლიათ ამტკიცონ ზრუნვის საჭიროება. ამ სქემით სარგებლობის უფლება მხოლოდ ფლამანდრიისა და ბრიუსელის რეგიონის მცხოვრებლებზე ვრცელდება და არ გულისხმობს ასაკობრივ შეზღუდვას.

8.7.2. დამოუკიდებლად ცხოვრება და ჩართულობა საზოგადოებაში

ბელგიის მთავრობის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშესაწყობად განვითარდა რამოდენიმე დამხმარე სისტემა:

- პერსონალური მხარდაჭერის ბიუჯეტი (PAB). იგი შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს, იცხოვრონ დამოუკიდებლად სხვა ადამიანების დახმარების გარეშე;
- მხარდაჭერის სერვისები, რომელიც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გარკვეული მხარდაჭერის აღმოჩენას განათლების, სოციალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით;
- თანხლების სერვისები;
- მხარდაჭერის სერვისები საცხოვრებელში;
- მხარდაჭერის სერვისები სახლში;
- მეთვალყურეობის ქვეშ არსებული საცხოვრებლები.¹⁵¹

ფედერალური მთავრობა უზრუნველყოფს ინტეგრაციისათვის შეღავათს, როგორც დამატებით ფინანსებს დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფისათვის. მხოლოდ ბელგიაში მცხოვრებ პირებს 21-დან 65 წლამდე შეუძლიათ ისარგებლონ ამ შესაძლებლობით. 65 წელს ზემოთ პირებმა უნდა მიიღონ სამედიცინო შეღავათები,

¹⁵⁰ იხ. ბმული: <http://www.juriwel.be/Zoeken/Detail.aspx?DID=1007840¶m=inhoud>

¹⁵¹ Federale Overheidsdienst Sociale Zekerheid (2011). *Implementatie van het VN-Verdrag inzake de Rechten van Personen met een Handicap: eerste periodiek verslag van België*. Brussel, België. Randnummer 81-84

მათი ზრუნვის საჭიროებების ზუსტად დასადგენად და მოითხოვონ ხანდაზმული პირებისთვის გათვალისწინებული ფულადი დახმარება.

მთავრობის პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში პერსონალური დახმარების ბიუჯეტი მხოლოდ დახმარების მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე პირებისთვის იყო მისაწვდომი. მაშინ, როდესაც მხარდაჭერის უფლება აღიარებულია ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განურჩევლად შეზღუდულობის სიმძიმისა და ასაკისა.

8.7.3. სახლის და ოჯახის პატივისცემა

ფლანდრია თვალისწინებს პრევენციულ დახმარებას იმ ოჯახებისთვის, რომელთაც ყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი. ეს ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: საგანმანათლებლო სესიებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებისთვის და ასევე დახმარებებით ყოველდღიურ ცხოვრებაში.¹⁵²

ბელგიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ფორუმი აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მიმართებაში დეინსტიტუციონალიზაცია არასაკმარისად არის უზრუნველყოფილი. ბელგიის ანგარიშში, მოცემულია განათლებასა და მშობლების მომზადების მხარდაჭერი ზომები. თუმცა, ეს სერვისები არ წარმოადგენს პიროვნებისთვის ოჯახში ცხოვრების დროს წარმოშობილი ყოველდღიური კონკრეტული საჭიროებების მოგვარების გზას.

არასაკმარისი პერსონალური დახმარების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მშობლების და ოჯახის ყოლის უფლება არ არის გარანტირებული.

8.7.4. პერსონალური მობილობა

ბელგიაში მიღებულ იქნა გარკვეული ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მობილობის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის, დანერგილი/შემოღებული იქნა:¹⁵³

- სპეციალური ავტოსადგომების ნიშნები;
- პერსონალური დახმარების ბიუჯეტის სქემა;

¹⁵² Federale Overheidsdienst Sociale Zekerheid (2011). *Implementatie van het VN-Verdrag inzake de Rechten van Personen met een Handicap: eerste periodiek verslag van België*. Brussel, België. Randnummer 94

¹⁵³ Federale Overheidsdienst Sociale Zekerheid (2011). *Implementatie van het VN-Verdrag inzake de Rechten van Personen met een Handicap: eerste periodiek verslag van België*. Brussel, België. Randnummer 85;

- ფინანსური დახმარების სქემა სპეციალური აღჭურვილობის შესაძენად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მობილობის ხელშესაწყობად.

8.7.5. ჯანდაცვის სისტემა

ბელგიამ მიიღო გარკვეული ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფასო ჯანდაცვის მისაწვდომობის მიზნით. მაგალითად, შემოიღო უფასო სამედიცინო დაზღვევის სისტემა.¹⁵⁴

ბელგიაში არის საკმაოდ ბევრი სარეაბილიტაციო ცენტრი, რომლებიც გადადგილების შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებს აწოდებენ საჭირო ზრუნვას. ყოველი ეს ცენტრი ამგვარ ზრუნვას აწოდებს მულტიდისციპლინარული პროგრამებით.

ამ ცენტრების ყველა თანამშრომელს უტარდება სპეციალური ტრეინინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის რეაბილიტაციის შესახებ. ფრანგულმა თემმა გამოუშვა ბროშურა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია მშობლებისთვის და პროფესიონალებისთვის, უფლებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.¹⁵⁵

¹⁵⁴ Federale Overheidsdienst Sociale Zekerheid (2011). *Implementatie van het VN-Verdrag inzake de Rechten van Personen met een Handicap: eerste periodiek verslag van België*. Brussel, België. Randnummer 118

¹⁵⁵ Federale Overheidsdienst Sociale Zekerheid (2011). *Implementatie van het VN-Verdrag inzake de Rechten van Personen met een Handicap: eerste periodiek verslag van België*. Brussel, België. Randnummer 118-124

9. შრომა/დასაქმება

9.1. შვედეთი

9.1.1. მუშაობა და დასაქმება

შვედეთის მთავრობამ და პარლამენტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამუშაო პირობების გამარტივების მიზნით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს. შვედეთის კონსტიტუციაში გაცხადებულია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დასაქმების უფლება და თავიდან აიცილოს რაიმე სახის დისკრიმინაცია ადამიანების მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

შვედეთის კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ასევე ითვალისწინებს სპეციალურ მხარდაჭერას. სხვადასხვა სახის ინიციატივები, რასაც შესაბამისი ბრძანებულება ადგენს, გამიზნულია ერთის მხრივ, შემცირებული სამუშაო შესაძლებლობების კომპენსირებისთვის და მეორეს მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაძლებლობის გაზრდისაკენ სამუშაოს მოძიებისა ან შენარჩუნების მიზნით.

შვედეთის შრომით ბაზარზე გენდერული უთანასწორობის ზოგადი პრობლემა ქალისა და კაცის დასაქმების კუთხით, ასევე მიემართება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების კუთხით უთანასწორო ვითარებას. სერვისები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სთავაზობს მხარდაჭერას, ხასიათდება უთანასწორო გენდერული განაწილებით. ამ თვალსაზრისით არსებული სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ დასაქმებულთა 60%-ს წარმოადგენენ კაცები, 40%-ს კი ქალები. ყველაზე მეტად უთანასწოროა შრომის განაწილება საჯარო სამსახურში, სადაც დასაქმებულ ქალთა ხვედრითი წილი 30%-ია მიუხედავად იმისა, რომ საჯარო დასაქმების სამსახურმა ბოლო პერიოდში გააძლიერა ძალისხმევა სამუშაოს გენდერულად თანასწორი განაწილების მიმართულებით.¹⁵⁶

შვედეთის შრომის ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის ყველაზე ნაკლებად მენტალური დარღვევების მქონე პირები არიან დასაქმებულები. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად შვედეთის მთავრობის მიერ ახლადშექმნილი

¹⁵⁶ შვედეთის პირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2011 წლის იანვარი, გვ. 42-46;
<http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0?page=1>

ინიციატივები ითვალისწინებს წამახალისებელი სუბსიდიების მიცემას მუნიციპალური ორგანოებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამსახურის შეთავაზების წახალისებისთვის.

სახელმწიფო ასევე ითვალისწინებს შესაბამისი გრანტის გაცემას დამსაქმებლებისათვის, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ სამუშაო ადგილი, რომელიც სხვა შემთხვევაში არ ექნებოდათ. სისტემა ასევე ითვალისწინებს სახელფასო სუბსიდიების არსებობას, რომელიც სპეციალური ბრძანებულებით არის დადგენილი.¹⁵⁷

სამუშაო ადგილებზე პერსონალური მხარდაჭერა მისაწვდომია მათთვის, ვისაც გარკვეული ფუნქციური დარღვევა გააჩნია და საჭიროებს მხარდაჭერას ჭამის, კომუნიკაციის, ჩაცმის, პირადი ჰიგიენის დროს ან სახლიდან გარეთ გასვლისას. პერსონალური მხარდაჭერის უფლება დარეგულირებულია 1993 წელს მიღებული აქტით. სხვადასხვა დარღვევების მქონე ადამიანებს ტექნიკური საშუალებები მიეწოდებათ მთავრობისგან და მუნიციპალიტეტებისაგან. ტექნიკური მხარდაჭერის ოდენობა და მასშტაბი განსხვავებულია საგრაფოების მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში ყველა სპეციალური აღჭურვილობა უფასოა, ზოგიერთში კი მინიმალური ოდენობის საფასური აქვს.¹⁵⁸

შვედეთში პროფკავშირები მთავრობისგან დამოუკიდებელია და აქვთ უფლებამოსილება, დასაქმების პოლიტიკა თავიანთი ინტერესების შესაბამისად აწარმოონ. სოციალური საწარმო თამაშობს საკმაოდ მნიშვნელოვან როლს სამუშაოს შეთავაზების და სამუშაო პირობების თვალსაზრისით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით. სოციალური საწარმოების რიცხვი 2009 წლის მონაცემებით 200-ს შეადგენს. დასაქმებულთა რაოდენობა კი 7000-ია. ამასთან, 2012 წლის მთავრობის სამოქმედო გეგმაში მოცემულია სხვადასხვა ინიციატივა სოციალური საწარმოების რიცხვის ზრდის თვალსაზრისით.

სკოლიდან სამუშაო ცხოვრებაში გადასვლა განსაკუთრებულად კრიტიკული პერიოდია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განათლების აქტის შესაბამისად, მოსწავლეებისთვის უნდა იყოს მისაწვდომი კვალიფიციური მხარდაჭერა საგანმანათლებლო და პროფესიული არჩევანის გაკეთების წინ.¹⁵⁹

¹⁵⁷ შვედეთი, ფინანსური მხარდაჭერა, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹⁵⁸ იქვე, სამუშაო ადგილების ადაპტირება

¹⁵⁹ შვედეთის პირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2011 წლის იანვარი, გვ. 46-47; <http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0?page=1>

9.2. დანია

დანის კანონი თანასწორი მოპყრობის შესახებ, კრძალავს დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის ქონის საფუძველზე დასაქმების სფეროში. თანასწორობის შესახებ საბჭოს შექმნის შემდეგ, საბჭო განიხილავს სხვადასხვა სარჩელებს, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დარღვევებს.¹⁶⁰

9.2.1. დასაქმებასთან დაკავშირებული მომსახურება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არ არსებობს დასაქმებასთან დაკავშირებული ცალკე მომსახურება, ისინი დასაქმების ჩვეულებრივი მომსახურებით სარგებლობენ. თუმცა, 2007 წელს დაარსდა სპეციალური დასაქმების ცენტრი, რომელიც ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ცენტრი მომხმარებლებს აძლევს რჩევებს დასაქმების შესახებ და ასევე უწევს კონსულტაციებს კანონმდებლობასა და პრაქტიკული შესაძლებლობის შესახებ.¹⁶¹

9.2.2. სამუშაო ადგილის მისაწვდომობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, მიიღონ სპეციალური მოწყობილობები, რომლებიც უადვილებენ მათ მუშაობას. სპეციალური ფუნქციური მომსახურების ცენტრი ეხმარება დასაქმების ცენტრებს სამუშაო ადგილის მისაწვდომობის უზრუნველყოფაში.¹⁶²

9.2.3. ფინანსური მხარდაჭერა

დანიაში ფიქსირებული სამსახურის მისაღებად პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იყოს 65 წლის ქვემოთ, მუშაობის შესაძლებლობის შეზღუდვით. ამასთან, ყველა შესაძლებლობა პირის ხელახლა დასაქმების და გადამზადებისათვის ამოწურული უნდა იყოს.

¹⁶⁰ Law on Equal Treatment in the Labour Market (LBK nr 1349 af 16/12/2008); იხ. ბმულები: <http://www.handicap.dk/politik/arbejdsmarked/tema>; <http://www.ligebehandlingsnaevnet.dk/artikler/default.aspx?page=1220>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹⁶¹ Special Function Job and Disability (SJH) on employment services

¹⁶² Special Function Job and Disability (SJH) on workplace adaptations

სამსახურები შეიძლება შექმნილი იყოს კერძო და საჯარო სექტორის მიერ (ცენტრალური ან მუნიციპალური მთავრობა). მუნიციპალიტეტი აფასებს სამუშაო შესაძლებლობებს და თუ ის მნიშვნელოვნად შემცირებულია, პირს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც აადვილებს სამსახურის პოვნის შესაძლებლობას. ასევე, შესაძლებელია სამუშაო საათების შემცირება, შემოსავლის შემცირების გარეშე. სამუშაო პირობები განსაზღვრულია პროფკავშირების მიერ, ხოლო შემოსავლები კი საბაზრო შემოსავლების სტანდარტით განისაზღვრება.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შესთავაზოს სამუშაო სრულ განაკვეთზე. თუმცა, ასევე მათ შეუძლიათ იმუშაონ მხოლოდ ნახევარი განაკვეთის დატვირთვით. დამქირავებელი ასევე იღებს სახელმწიფო სუბსიდიას, რომელიც სახელფასო მინიმუმის 1/2 ან 2/3-ია. სუბსიდია შესაძლებელია გაიზარდოს ან შემცირდეს სამუშაო შესაძლებლობის.¹⁶³

9.3. ესპანეთი

9.3.1. დასაქმება და მუშაობა

ესპანეთმა შეიმუშავა გლობალური სამოქმედო სტრატეგია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების უზრუნველსაყოფად 200-2012 (EGAEPD). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების პოლიტიკა ითვალისწინებს სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შრომის ბაზარზე შესაყვანად. აღნიშნული პოლიტიკის მიხედვით, მთავრობა იღებს ზომებს უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება, რომელსაც ის სპეციალური დასაქმების ცენტრების დახმარებით ახორციელებს. ამასთან, არსებობს სხვადასხვა სახის წახალისებები.

სპეციალური საკანონმდებლო რეგულაციები ადგენს ქვოტებს, რომლის თანახმადაც, საჯარო და კერძო დაწესებულებები რომელთაც 50 ან მეტი პირი ჰყავთ დასაქმებულნი, ვალდებული არიან მათ 2 პროცენტს მაინც შეადგენდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ამასთან, იმ დათქმით, რომ ისინი ამავდროულად ინტეგრირებულნი იქნებიან საერთო სამუშაო სივრცეში/დასაქმების ადგილზე. აღნიშნული წესიდან გადახვევა მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებშია დასაშვები და იმ პირობით, თუ გამოყენებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ალტერნატიული მექანიზმები. მაგალითად, კონტრაქტები სპეციალური დასაქმების ცენტრთან ან თვით-დასაქმებულ მუშაკებთან, რომლებიც

¹⁶³ Law on Active Employment Effort (LBK nr 706 af 28/06/2012)

საბოლოო ჯამში ორიენტირებული უნდა იყოს ამ ალტერნატიული მექანიზმების დასაქმების ჩვეულებრივი მოდელით ჩანაცვლებაზე.

ასევე, კანონმდებლობა ადგენს სპეციალურ ფინანსურ შეღავათებს იმ საწარმოებისათვის, რომლებში დასაქმებულთა 33 პროცენტი ან მეტი წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს.¹⁶⁴

სხვადასხვა დარღვევების მქონე პირების სოციალური ინტეგრაციის შესახებ აქტის 13/1982 თანახმად, დასაქმების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩვეულებრივ შრომის ბაზარზე ინტეგრაციისაკენ. დასაქმების შესახებ კანონი #56/2003 აწესებს გარანტიებს შესაძლებლობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ დასაქმების სფეროში.

ესპანეთში არსებობს დასაქმების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმებას სპეციალურ დასაქმების ცენტრებში. აღნიშნული ცენტრები დაარსებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ფორმისა და სახის მხარდაჭერასა და სუბსიდიებს, მათ შორის ტექნიკურ მხარდაჭერას, ყოველ შექმნილ სტაბილური დასაქმების ადგილზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

არსებობს სხვადასხვა სახის ფინანსური მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამსაქმებლებისთვის ღია შრომის ბაზარზე, მაგ. სახელფასო სუფსიდიები, დასაქმების ქვოტის დაწესებასთან მიზმიანი შეღავათები, გადასახადების შემცირება. არსებობს სხვადასხვა სახის კონტრაქტები და ყოველი მათგანი სხვადასხვა ფინანსური მხარდაჭერით: 1) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დატრეინინგების კონტრაქტი; 2) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პრაქტიკის მიცემის კონტრაქტი; 3) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დროებითი ჩანაცვლება; 4) მუდმივი კონტრაქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის; 5) დროებითი კონტრაქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის; 6) დროებითი კონტრაქტის ტრანსფორმირება ღია შრომის ბაზარზე მუდმივ კონტრაქტად; 7) კონტრაქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სპეციალურ დასაქმების ცენტრებში; 8) დროებითი კონტრაქტის ტრანსფორმირება დასაქმების ცენტრებში მუდმივ კონტრაქტად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, 9) მუდმივი კონტრაქტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მობილური სამუშაო კომპანიებისაგან.¹⁶⁵

¹⁶⁴ ესპანეთის თავდაპირველი ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თაობაზე, 2010 წლის მაისი, გვ.35;

<http://www.internationaldisabilityalliance.org/en/crpd-reports-0>

¹⁶⁵ ესპანეთი, ფინანსური მხარდაჭერა; Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

არსებობს საჯარო დასაქმების სერვისები, რომლებიც ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დასაქმებაში. მათ მიწოდებას ახორციელებს სახელმწიფო დასაქმების საჯარო სამსახური, რომელიც ექვემდებარება შრომისა და იმიგრაციის სამინისტროს.¹⁶⁶

9.3.2. სამუშაო ადგილების მისაწვდომობით უზრუნველყოფა

13/1982 კანონის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, ყოველი სპეციფიური სიტუაციის გათვალისწინებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამუშაოზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. კანონი 49/2007 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორობის სფეროში სანქციებისა და რეგულაციების შესახებ ადგენს სხვადასხვა სანქციებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გონივრული მისადაგების პრინციპის დარღვევის დროს. გონივრული მისადაგება განმარტებულია 51/2003 კანონის მე-7 მუხლში, როგორც ზომები ფიზიკური, სოციალური და დამოუკიდებელი გარემოს მისაწვდომობისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტურად და პრაქტიკულად უზრუნველყოფს მისაწვდომობას.

9.4. ავსტრია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ფედერალური აქტი დამსაქმებელს ბოჭავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებას კვოტირებული სისტემის მიხედვით. ის ასევე იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სამსახურიდან გათავისუფლებისაგან. აქტი შეეხება როგორც ანტიდისკრიმინაციულ რეგულაციებს, ასევე გონივრული მისადაგების ნორმებს და მოიცავს პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის კონცეფციებს.

ავსტრიის შრომითი კანონმდებლობის მაღალი სტანდარტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადეკვატურ სამუშაო პირობებს ქმნის. BMASK-სა და სოციალურ საკითხთა ფედერალურ ოფისს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამსახურში ინტეგრაციისთვის მრავალი სახის ზომების მიღება შეუძლიათ. მნიშვნელოვანია, რომ არსებობს ინდივიდუალური დაფინანსების სქემები (ეს გულისხმობს სახელფასო დახმარებას და სამუშაო გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა) და ასევე არსებობს ე.წ. პროექტების მხარდაჭერა და მასთან

¹⁶⁶ იქვე, საჯარო დასაქმების სერვისი

დაკავშირებული მექანიზმები (პირადი მხარდაჭერა, სკოლიდან სამსახურში ტრანზიციის, კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამა, მობილობის სუბსიდირება და ა.შ.).

ყოველ ორ წელიწადში ერთხელ BMASK ქვეყნის მასშტაბით *შრომის ბაზრის პოლიტიკის პროგრამის* შემუშავებაზე ზრუნავს. მნიშვნელოვანი აქ *თანმხლები მხარდაჭერის სისტემის* ჩამოყალიბებაა. ეს გულისხმობს პროფესიულ გადამზადებაში მხარდაჭერას, პერსონალურ მხარდაჭერას, ტექნიკური აღჭურვილობის შეძენას და ა.შ. ყოველივეს სოციალურ საქმეთა ფედერალური ოფისი კურირებს, რისთვისაც განკარგავს ევროპის სოციალური ფონდისა და ეროვნული ბიუჯეტის სახსრებს.

სახელმწიფოს დასაქმების კამპანიის ფარგლებში სპეციალური ზომები მიღება განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფებისთვის (მაგალითად, ინტელექტუალური დარღვევების მქონე ადამიანებისთვის). ყურადღება ექცევა ახალგაზრდების სკოლიდან დასაქმებამდე ტრანზიციის პერიოდს. ხდება ამ კატეგორიის ადამიანების სპეციალური მომზადება სამუშაოსთვის, კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.

ამასთან, კანონმდებლობა ადგენს, რომ იმ შემთხვევაში თუკი კომპანიები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაიქირავებენ, მიიღებენ ინტეგრაციის სუბსიდიებს, სახელფასო სუბსიდიებს, გადამზადებისთვის საჭირო დახმარებას, დაწესებულების მისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის საჭირო დახმარებას და ა.შ.

2003 წელს ავსტრიაში შეიქმნა ინტეგრირებული პროფესიული გადამზადების კურსები, რომელსაც თან ახლავს მხარდაჭერის სერვისები.

თავისმხრივ, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა უზრუნველყოფს პირთა დაცვას დისკრიმინაციისა და ჩაგვრისაგან სამსახურში. კანონმდებლობა კრძალავს პირდაპირ თუ ირიბ დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ქონის გამო სააპლიკაციო პერიოდში, ანაზღაურების ოდენობასთან მიმართებით და სხვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, კანონმდებლობა ადგენს განსაკუთრებული ზომების ამოქმედების ვალდებულებას. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხის დღის წესრიგში დადგომის შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების მიღებაში ერთვება *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგიონული კომიტეტი*, რომელიც თავის მხრივ NGO-ებისაგან შედგება. კომიტეტზე ხდება სხვადასხვა ფაქტორების განხილვა და მსჯელობა შესაბამის გარემოებებზე.¹⁶⁷

¹⁶⁷ პირველი სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, 5 ოქტომბერი, 2010, მუხლი 27, დასაქმება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაზე მართალია კვოტირების სისტემა არსებობს, მაგრამ თუკი საჯარო სექტორში ამ კვოტებს აკმაყოფილებენ, კერძო კომპანიები ხშირ შემთხვევაში ამჯობინებენ თვითონ ჯარიმა გადაიხადონ (226-336 ევრო) ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დაასაქმონ. ჯამში, კერძო კომპანიების 2/3 ჯარიმის გადახდას არჩევენ. კვოტირების პირობების თანახმად, კომპანიას, რომელსაც დასაქმებული ყავს 24-ზე მეტი ადამიანი, 25-ე დასაქმებული სავალდებულო მოთხოვნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უნდა იყოს.

9.5. უნგრეთი

უნგრეთის თანასწორი მოპყრობის აქტის მიხედვით, სამსახურში თანასწორი მოპყრობის პრინციპი ირღვევა თუკი დამსაქმებელი განახორციელებს პირდაპირ ან ირიბ ნეგატიურ დისკრიმინაციას შემდეგ შემთხვევებში: 1) ვაკანსიის გამოცხადებისას, დაქირავების პირობების განსაზღვრისას; 2) კონტრაქტის შეწყვეტისას; 3) სამუშაო პირობების განსაზღვრისა და ა.შ.¹⁶⁸

კანონმდებლობის თანახმად, კომპანიები საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების შემთხვევაში. უნგრეთში ასევე მოქმედებს კვოტირების სისტემა შემდეგი სქემით: თუ დაწესებულებაში 25 ადამიანზე მეტი დასაქმებულია, მათი 5% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია ჯარიმდება.

ძირითადი სამუშაოები ამ მიმართულებით დასაქმების ცენტრების ქსელის მიერ ხორციელდება. დასაქმების ცენტრებში რეაბილიტაციის ჯგუფების გახსნა დიდ მიღწევადაა მიჩნეული. ეროვნული დასაქმების სერვისის რეგიონალური ტრენინგ ცენტრები ეწევიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადამზადებას მათივე მოთხოვნების გათვალისწინებით.

საკანონმდებლო ბაზა ე.წ. „მოქნილი ხელშეკრულების“ გაფორმებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან უკვე შექმნილია ქვეყანაში. თუმცა, ცალკეული მექანიზმები ჯერ კიდევ არ არის დანერგილი, მაგალითად, დისტანციური მუშაობის პრაქტიკა.

[http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf) (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹⁶⁸ თანასწორი მოპყრობის აქტი CXXV, 2003, მუხლი 21;

<http://www.2.ohchr.org/english/bodies/cescr/docs/E.C.12.HUN.3-Annex3.pdf>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

9.6. გერმანია

საერთო კანონი თანასწორობის შესახებ და სოციალური კოდექსი იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სამსახურში დისკრიმინაციისგან. კანონმდებლობა, რომელიც სოციალურ საკითხებს არეგულირებს, ავალდებულებს ყველა დამსაქმებელს, დაასაქმოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. კერძო კომპანიებსა და სახელმწიფო სამსახურში არსებული კვოტა ადგენს, რომ კომპანია, რომელიც ასაქმებს 20 თანამშრომელს, მათგან 5% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უნდა იყოს. თუ ორგანიზაცია ამგვარ პირობებს არ ექვემდებარება, მაშინ კომპენსაციის სახით იძულებულია, გადაიხადოს ჯარიმა.

ის დამსაქმებლები, რომლებიც სთავაზობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სამსახურს და შესაბამის ტრენინგს, შეუძლიათ მიიღონ დახმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციის სამსახურებიდან; სამუშაო კონტრაქტის შეწყვეტის პირობებში, მძიმე დარღვევის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვს სპეციალური მხარდაჭერა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების მარეგულირებელი შესაბამისი კანონი, რომელიც ძალაში 2006 წლიდან შევიდა მიმართულია გაამჯობესოს სამიზნე ჯგუფის დასაქმებულობის მაჩვენებელი, დამსაქმებლების მიერ მიღებული სუბსიდიების მეშვეობით.¹⁶⁹

9.6.1. საჯარო დასაქმებულთა სქემა

2008 წლის სპეციალური კანონმდებლობა ითვალისწინებს დასაქმებულთა თანამონაწილეობით დახმარებას. ამგვარი სქემა სთავაზობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ინდივიდუალურ მხარდაჭერას სამსახურის მოძიებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მუშაობას იწყებს მისი კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მიხედვით. სამსახურის დაწყებისას უზრუნველყოფილია შესაბამისი ტრენინგი და მხარდაჭერა. ამგვარი მომსახურეობა

¹⁶⁹ Section 2 AGG - General Equality Act ; Additional links: Act for Rehabilitation and Participation of Disabled People (Social Code Book IX) http://bundesrecht.juris.de/sgb_9/; Act on the Promotion of Severely Disabled People's Vocational Training and Employment http://www.soliserv.de/pdf/Gesetz_zur_Foerderung_der_Ausbildung_und_Beschaeftigung_schwerbehinderter_Menschen.pdf; (ბოლო ნახვა: 24.09.2013);

მოიცავს ორ სხვადასხვა ფაზას: ინდივიდუალურ ტრენინგსა და განგრძობითი მხარდაჭერას სამსახურის დროს. სოციალური კოდექსით რეგულირდება ასევე სამუშაო მხარდაჭერით უზრუნველყოფა. ამგვარი მხარდაჭერა ხორციელდება განსაკუთრებით მძიმე დარღვევის მქონე პირებისთვის, რომელიც საჭიროა სამსახურეობრივი ვალდებულების შესრულებისთვის (ყესტების ენაზე გადათარგმნა, ბრაილით წაკითხვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადაადგილების უზრუნველყოფა და სხვა).

სოციალური დახმარების შესახებ კოდექსი არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერას სამუშაო ადგილის მოწყობასთან დაკავშირებით.¹⁷⁰ ამგვარი სამსახურების ამოცანაა, აღმოუჩინონ მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დასაქმებაში და დაფარონ მისაწვდომობასა თუ ტექნიკური ადაპტაციისთვის საჭირო ხარჯები. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ასევე ადგილობრივი ინტეგრაციის მხარდაჭერის სამსახურები.¹⁷¹

9.7. ბელგია

2007 წლის 10 მაისის ანტიდისკრიმინაციული კანონი ვრცელდება სამუშაო ადგილებზე, დასაქმებაზე, სამუშაო გარემოს მისაწვდომობაზე საჯარო და კერძო სექტორში, ყველა დონის სამუშაო იერარქიაზე და ყველა დონის მოქმედებებზე. 2002 წლის 8 მაისს ფლანდრიამ გამოსცა დეკრეტი, რომელშიც გათვალისწინებულია შრომის ბაზარზე თანასწორი მონაწილეობა. მნიშვნელოვანი ზომები იქნა მიღებული შრომის ბაზარზე თანასწორობის და მრავალფეროვნების მხარდასაჭერად და მოწყვლადი ჯგუფების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩათვლით) უკეთესი ინტეგრირებისთვის. 2008 წლის 18 ივლისს ფლამანდრიის მთავრობამ დაამტკიცა დეკრეტი, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შრომის ბაზარზე ინტეგრაციას. ვალონის მთავრობამ დაამტკიცა დეკრეტი 2007 წლის 29 ნოემბერს, შრომის ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული ზომების გატარებას - სამართლიან რეგულაციებს ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისით.¹⁷²

¹⁷⁰ Social Code Book IX (section 33 paragraph 8 sentence 3 SGB IX; section 102 paragraph 4 SGB IX) regulates assistance at the work place;

¹⁷¹ Act for Rehabilitation and Participation of Disabled People (Social Code Book IX)

¹⁷² იხ. ბმული: http://www.diversiteit.be/index.php?action=wetgeving_detail&id=33;
(ბოლო ნახვა: 24.09.2013)

ზომები აგრეთვე იქნა მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჯარო სამსახურში დასაქმების მიზნით:¹⁷³

- 2007 წლის 5 მარტის ფედერალური სამეფო დეკრეტის მიხედვით ფედერალურ დონეზე დასაქმებულების 3 % უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
- ფლანდრიის მთავრობის 2004 წლის 24 დეკემბრის დეკრეტი ეხება თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის მხარდაჭერას ფლამანდრიის ადმინისტრაციაში;
- ვალონის მთავრობამ დაამტკიცა დეკრეტი 2009 წლის 27 მაისს, რომელიც ეხება პროვინციებს, მუნიციპალიტეტებს და მუნიციპალიტეტების გაერთიანებებს, რომლებიც ვალდებული არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმებაზე ნახევარ განაკვეთიან სამუშაოზე;
- ბრიუსელის 2008 წლის 4 სექტემბრის ედიქტი ეხება განსხვავებულობის სტიმულაციას და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას ბრიუსელის რეგიონულ საჯარო ოფისში და აწესებს თანასწორ მოპყრობას ამ ოფისში დასაქმებასთან დაკავშირებით, ამასთან, კრძალავს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიადაგზე;
- დამსაქმებელი ვალდებულია მის მიერ დასაქმებული პირის კეთილდღეობაზე და იღებს გარკვეულ პრევენციულ ზომებს 1996 წლის 4 აგვისტოს კანონის შესაბამისად სარისკო სიტუაციების თავიდან ასარიდებლად და ზიანის მიღების საფრთხის შესამცირებლად. ეს ზომები ეხება სამუშაო ადგილებს, სამუშაო ადგილის დიზაინს და მისაწვდომობას, ინდივიდუალურ დამცავი მექანიზმის გამოყენებას. 2002 წლის 8 მაისის დეკრეტი კერძო შრომის ბაზარზე თანასწორი მონაწილეობის შესახებ აწესებს გარკვეულ ზომებს სამუშაო გარემოს მისაწვდომობისთვის (მაგალითად, სამუშაო ადგილების და სამუშაო ტანსაცმლის ადაპტირება, ნიშნების ენის ინტერპრეტატორის არსებობა). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების სტიმულირებისთვის რეგულარულ შრომის ბაზარზე ვოლანის მთავრობამ დაამტკიცა დეკრეტი 2007 წლის 29 ნოემბერს, რომელიც ეხება მისაწვდომობისთვის და ფინანსური დახმარებებისთვის მიღებულ ზომებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება რეგლამენტირებულია რეგიონულ დონეზე¹⁷⁴ და არსებობს სხვადასხვა სახის ინსტიტუციური მექანიზმები, მათ შორის, ფლამანდრიის სამუშაოს საძიებო სერვისი და გადამზადების

¹⁷³ იხ. ბმული:

http://www.fedweb.belgium.be/fr/binaries/20070305_AR_KB_recrutement_aanwerving_handicap_tcm119-81682.pdf; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

¹⁷⁴ იხ. ბმული: <http://www.gripvzw.be/themas/werk/wetten-en-literatuur/241-besluit-van-de-vlaamse-regering-1-oktober-2008-rond-arbeidshandicap.html>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

ტრენინგები (შემდეგში: VDAB) და ვალონის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის სააგენტო (შემდეგში: AWIP); ფლანდრიაში VDAB და AWIP ცდილობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შრომის ბაზარზე შეყვანას. თუმცა, პრაქტიკაში საკმაოდ რთულად მისაწვდომია ანაზღაურებადი სამსახური.

VDAB აწოდებს სპეციალურ დახმარებას დაუსაქმებელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ისინი ატარებენ საორიენტაციო, პერსონალურ, პროფესიულ ტრენინგებს და უზრუნველყოფენ გასაუბრებებზე თანხლების სერვისს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.¹⁷⁵

ფლანდრიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამსაქმებელს საჯარო თუ კერძო სექტორში შეუძლია მიიღოს ფინანსური მხარდაჭერა სამუშაო ადგილის მისაწვდომლობის უზრუნველყოფისთვის და სამუშაო ტანსაცმლისთვის. ასევე, სამუშაოსთვის საჭირო აღჭურვილობა და ტრანსპორტირების ხარჯები.

მთავრობის მცდელობები საჯარო სექტორში დასაქმებულ თანამშრომლებთან დაკავშირებით არასტანდარტულია. ისინი ხშირ შემთხვევაში ვერ აღწევენ მიზანს. მიუხედავად იმ ინსტიტუციური, საკანონმდებლო თუ პრაქტიკული მექანიზმებისა, ფლამანდრიის დასაქმების პოლიტიკა არასაკმარისად უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მისაწვდომი რეგულარული სამუშაოს მიწოდებას.¹⁷⁶

¹⁷⁵ Federale Overheidsdienst Sociale Zekerheid (2011). *Implementatie van het VN-Verdrag inzake de Rechten van Personen met een Handicap: eerste periodiek verslag van België*. Brussel, België. Randnummer 132-133

¹⁷⁶ GRIP (2011). *Human Rights and Persons with Disabilities. Shadow report Flanders (Belgium)*. p.44-47, Brussel, België

10. ცნობიერების ამაღლება

10. 1. შვედეთი

თანასწორობის ხელშეწყობისთვის შვედეთის მთავრობა ცენტრალურ საკითხად მიიჩნევს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. Handisam ეხმარება მთავრობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის პოლიტიკის გატარებაში. კერძოდ, აწარმოებს 3 წლიან კამპანიას ფსიქიკური დარღვევების მქონე პირების მიმართ არსებული არასწორი განწყობების (ცრურწმენების), დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის წინააღმდეგ. კამპანიის მიზანია ცნობიერების ამაღლება, დამოკიდებულებების შეცვლა და პატივისცემის გაზრდა.¹⁷⁷

ამასთან, არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები სხვადასხვა ჯგუფისათვის, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტულ პროფესიაში მყოფი ადამიანების მიმართ ამ თემაზე ცნობიერების ამაღლებას. მასწავლებლებისთვის ტარდება სავალდებულო ინდივიდუალური ლექციები და დამატებითი კურსები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემაზე. ასევე, მიუხედავად შვედეთის საუნივერსიტეტო სასწავლო კურიკულუმებში არსებული გარკვეული განსხვავებებისა, ისინი ზოგიერთ შემთხვევებში ფოკუსირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემატიკაზე. 2010 წელს შვედეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მასწავლებელთათვის ტრეინინგების უზრუნველყოფის შესახებ, რომლის თანახმად ყველა მასწავლებელი საჭიროებს გარკვეულ საბაზისო ცოდნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თემაზე და ამ ცოდნის მიღება სავალდებულო გახდა.¹⁷⁸

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემაზე არსებობს არასავალდებულო ინდივიდუალური ლექციები იურისტებისათვის. ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკანონმდებლო გარანტიების ზოგადი გაცნობა, თუმცა, ამას სპეციალური კურსების ფორმა არ გააჩნია. ადამიანის უფლებების კურსი სამართლის შემსწავლელ სტუდენტებს საბაზისო დონეზე მიეწოდებათ.¹⁷⁹

¹⁷⁷ შვედეთი, ცნობიერების ამაღლების პროგრამები; Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹⁷⁸ იქვე, მასწავლებლების ტრეინინგი

¹⁷⁹ იქვე, იურისტების ტრეინინგი

10.2. დანია

1993-2009 წლის ჩათვლით, თანასწორი მოპყრობის ცენტრი ასრულებდა ცნობიერების ამაღლების სააგენტოს როლს დანიაში. სააგენტო აგროვებდა ინფორმაციას, არიგებდა ბროშურებს, ორგანიზებას უკეთებდა კონფერენციებს, სვამდა საჭირობოტო კითხვებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე და ა.შ.

UNCRPD-ის ხელისმოწერის შემდეგ კი ეს მექანიზმი შეცვალა დამოუკიდებელმა მონიტორინგის მექანიზმმა - დანიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტმა. დანიის შეზღუდული შესაძლებლობის პირთა საბჭოს ასევე აკისრია ფუნქცია მიიღოს და დაამუშავოს ინფორმაცია, ებრძოლოს სტიგმებსა და სტერეოტიპებს და აამაღლოს ცნობიერება. UNCRPD-ის ტექსტი გავრცელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომი - აუდიო-ვიდეო ფორმატით.¹⁸⁰

10.3. ესპანეთი

ცნობიერების ამაღლების უზრუნველსაყოფად ესპანეთის მთავრობამ განახორციელა სხვადასხვა ღონისძიება. კერძოდ, მიიღო პირველი ეროვნული მისაწვდომობის გეგმა 2004-2010 წლებისათვის, რომელშიც ერთ-ერთი თემაა ცნობიერების ამაღლება და ტრენინგების ჩატარება მისაწვდომობის საკითხებზე. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის საწარმოების წარმომადგენლები, საჯარო მოხელეები და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომელთაც რაიმე გავლენა შეიძლება ჰქონდესთ მისაწვდომი გარემოს შექმნასა ან მართვაზე.

ცნობიერების ამაღლების სტრატეგია ემყარება ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელების კამპანიებს. ასევე ის ითვალისწინებს გრანტებითა და ფინანსურ მხარდაჭერით უზრუნველყოფას მათთვის, ვინც ამ მიმართულებით მუშაობს.

ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს ინფორმაციის გასავრცელებლად. კურსები მოიცავს ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რეალური გამოცდილებების შესახებ.

ამ მიმართებით კოორდინაცია არსებობს ავტონომიური თემების, მუნიციპალურ სოციალურ სერვისებსა და სოციალური, ჯანდაცვის და განათლების სერვისებს შორის.

¹⁸⁰ დანია; ცნობიერების ამაღლება; Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

ესპანეთში არ არსებობს ზოგადი ან სავალდებულო საგანმანათლებლო ტრეინინგები შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე დაწყებითი მასწავლებლებისათვის.¹⁸¹ ასევე არ არსებობს მსგავსი პროგრამები ექიმების, იურისტებისა და ინჟინერების ცოდნის ასამაღლებლად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების თემაზე.¹⁸²

10.4. ავსტრია

BMASK, ისევე, როგორც სოციალურ საკითხთა ფედერალური ოფისი, პასუხისმგებელი არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ 2012-2020 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი თავი ეხება ცნობიერების ამაღლებას და მოიცავს ხუთ კომპონენტს: 1) კვლევა; 2) სტატისტიკა; 3) ანგარიში; 4) საზოგადოებასთან ურთიერთობა; 5) ინფორმაციის გაცემა და პროფესიული ჯგუფების გადამზადება.¹⁸³

სოციალურ საკითხთა სამინისტრომ იზრუნა UNCRPD-ის შესახებ ინფორმაციის დაბეჭდვასა და გავრცელებაზე. ამასთან, გერმანიასთან თანამშრომლობით 2010 წელს გამოიცა UNCRPD-ის მოკლე ვერსია.

2016 წლისთვის კი დაგეგმილია საინფორმაციო კამპანია „მივცეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მონაწილეობის საშუალება - ავსტრიის გზა ინკლუზიისაკენ.“

ავსტრიის შრომის ინსპექტორის უფლებამოსილებაა გენდერსა და მრავალფეროვნებაზე სემინარების ჩატარება დასაქმებულთა შესაძლებლობის შესასწავლად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცნობიერების ამაღლებას ლანდებშიც. კერძოდ, ლანდები ატარებენ სამოქალაქო კამპანიებს, ბეჭდავენ ბროშურებს და მართავენ კონფერენციებს. მაგალითისათვის, ზემო ავსტრიამ დააფინანსა კონფერენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სექსუალობის შესახებ, იგი ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის, როგორც ფაქტორის, გავლენას სქესობრივ

¹⁸¹ ესპანეთი, მასწავლებლების ტრეინინგი, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹⁸² იქვე, ცნობიერების ამაღლება

¹⁸³ ავსტრია, დასაქმება, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

ცხოვრებაზე. ასევე, გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, სახელწოდებით „ცხოვრება ფასადის გარეშე - სიყვარული, კონფლიქტი და თვითგამოხატვა“¹⁸⁴.

მასწავლებლების გადამზადება

ინკლუზიური სწავლების მეთოდოლოგია ან შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება აუცილებელ კომპონენტს არ წარმოადგენს ავსტრიის პედაგოგიური მასწავლებლების სილაბუსებში. ეს მხოლოდ სემინარების და სპეციალური გადამზადების კურსების საფუძველზე ხდება. ზემოთ ნახსენები 2012-2020 წლების ეროვნული გეგმაც არ შეიცავს გასატარებელ ზომებში პედაგოგთა გადამზადებისას შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას¹⁸⁵.

იურისტთა გადამზადება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის და შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება არც იურისტთა კურიკულუმებშია სავალდებულო. თუმცა, ამ შემთხვევაში ეროვნული გეგმა მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ არსებული სამართალმცოდნეობის ჩარჩოს სწავლებას.

ექიმთა გადამზადება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის და შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება ექიმთა პროგრამის სავალდებულო ნაწილს არ წარმოადგენს. თუმცა, ეროვნული სამოქმედო გეგმა შეიცავს თავს ჯანდაცვისა და რეაბილიტაციის შესახებ, სადაც 2 სტრატეგიაა დასახული ექიმებს შორის ცნობიერების ამაღლებისათვის:

- მომსახურებამდელი და მომსახურებისას სამედიცინო პერსონალის დატრენინგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აუცილებელი საჭიროებების შესახებ;

¹⁸⁴ პირველი სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, 5 ოქტომბერი, 2010, მუხლი 8, ცნობიერების ამაღლება; [http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1\[1\].pdf](http://www.bmask.gv.at/cms/siteEN/attachments/7/5/4/CH2439/CMS1320231342895/un-crpd_at-staatenbericht_2010-10-05_en1[1].pdf) (ბოლო ნახვა 23.09.2013)

¹⁸⁵ ავსტრია, ცნობიერების ამაღლება Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა 23.09.2013)

- ექიმთათვის ჟესტური ენის სწავლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტებთან კონფიდენციალური საუბრის საშუალების ქონის მიზნით.¹⁸⁶

10.5. უნგრეთი

ცნობიერების ამაღლების კომპონენტს ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის საკითხთა უნგრეთს ეროვნული პროგრამა (2007-2013).

საუკეთესო პრაქტიკადაა მიჩნეული Hand in Hand Foundation-ის პროგრამა. „საგზაო შოუს“ კონცეფციის თანახმად, კამპანიის ფარგლებში პროგრამის მონაწილეები 4 თვის განმავლობაში მოგზაურობენ ქვეყნის მასშტაბით, რათა ეწვიონ სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებს და გამართონ ფილმების ჩვენებები მენტალური დარღვევების მქონე ბავშვებისა და მოზარდების შესახებ.¹⁸⁷

ასევე საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს ევროკავშირის დაფინანსებით, საჯარო ფონდის მიერ განხორციელებული პროექტი „ფიზიკური და ინფო-კომუნიკაციური ბარიერების გაუქმებისთვის ნიადაგის მომზადება“. 70 განსხვავებული ტრენინგ-პროგრამა ფარავს UNCRPD-ის სხვადასხვა მუხლებს გარკვეულ პროფესიულ სფეროებში¹⁸⁸.

ცნობიერების ამაღლების კომპონენტად მიიჩნევა UNCRPD-ის ბრაილის ენაზე გამოცემა, რაც კონვენციის რატიფიცირების შემდეგ განხორციელა სოციალური დაცვის სამინისტრომ¹⁸⁹.

მასწავლებელთა გადამზადება

უნგრეთის ზოგადი პედაგოგიური განათლება არ იძლევა შესაბამის ცოდნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა საკითხებზე. ამგვარი უნარ-ჩვევების შესასწავლად გადამზადება ხდება სპეციალური განათლების ფაკულტეტებზე მხოლოდ 2 უნივერსიტეტში¹⁹⁰.

¹⁸⁶ იქვე;

¹⁸⁷ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: <https://www.otpbank.hu/csr/en/social-responsibility/hand-in-hand-foundation> (ბოლო ნახვა: 24.09.2013);

¹⁸⁸ სახელმწიფო ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კომიტეტს, ოქტომბერი, 2010; პუნქტი 49

http://www2.ohchr.org/SPdocs/CRPD/futuresession/CRPD.C.HUN.1_en.doc; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

¹⁸⁹ იქვე, პუნქტი 48

¹⁹⁰ უნგრეთი, ცნობიერების ამაღლება, Academic Network of European Disability Experts, <http://www.disability-europe.net/dotcom>; (ბოლო ნახვა: 24.09.2013)

გადამზადება ექიმებისთვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და თანასწორობის საკითხებზე ექიმებს საბაზისო განათლების მიღებისას ცოდნა არ მიეწოდებათ. საჯარო ფონდმა 2010 წელს ტრენინგის კურსი წამოიწყო ჯანდაცვის სფეროში მომუშავეთათვის. კურსი მოიცავს კომუნიკაციის განვითარებას შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შორის და უზრუნველყოფს თანასწორ შესაძლებლობას განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პაციენტთათვის მომსახურების მიღებისას¹⁹¹.

10.6. ბელგია

2003 წლიდან CGKR/CECLR აწარმოებს სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიას ცნობიერების ასამაღლებლად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებით. აღნიშნული კამპანიების მიზანი ასევე არის სხვადასხვა საზოგადოებრივი აქტორებისთვის იმ უფლებების შეხსენება, რომლებიც გარანტირებულია ბელგიის კანონმდებლობით.¹⁹²

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობის დაბალი დონე დასაქმებაში, განათლებასა და კულტურულ ცხოვრებაში ამცირებს ამ ადამიანების ხილვადობას საზოგადოებაში. ეს ასევე ასაზრდოებს სტერეოტიპებს და არსებულ მცდარ მიდგომებს საზოგადოებაში.

მედია წარმოადგენს მნიშვნელოვან აქტორს შემეცნების თვალსაზრისით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ფლამანდრიულ მედიაში იშვითად ჩნდებიან. მედიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პორტრეტს წარმოადგენენ მხოლოდ ამ ნიშნით და არა როგორც მოქალაქეებს, რომლებიც სრულად მონაწილეობენ საზოგადოებაში.

ბელგიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფორუმი იძლევა რეკომენდაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ჟურნალისტთა ეთიკის წესებში ჩაიდოს თავი მრავალფეროვნებაზე, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს

¹⁹¹ იქვე;

¹⁹² Overheidsdienst Sociale Zekerheid (2011). *Implementatie van het VN-Verdrag inzake de Rechten van Personen met een Handicap: eerste periodiek verslag van België*. Brussel, België. Randnummer 26

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით სწორი ტერმინოლოგიის გამოყენებაზე.¹⁹³

¹⁹³ (2011). *Human Rights and Persons with Disabilities. Shadow report Flanders (Belgium)*. p. 15-16, Brussel, België